პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 ივლისი **ხუთშაბათი** 2010

№ 176 (13 164) ფასი 60 თეთრი

## ახალი იტალიური სეზონის განრიგი

ჩემპიონი ბოლონიაში იწყებს. რომა-ინტერი უკვე მეხუთე ტურში

» გვერდი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




## კელატის და გორტატის პოლონეთი ძალიან საშიშია

» გვერდი 12



ფოტო: www.sport.gov.ge

## ჩემპიონატის ბედი დღეს გაირკვევა

რუსები ისევ გვედავებიან

» გვერდი 10

ევროპის ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

კარპატი – ზესტაფონი

შტურმი – დინამო

# შტურმს მარცხნივ უჭირს, შევუტიოთ მარჯვნიდან!



» გვერდი 2

ზესტაფონის გუშინდელი ვარჯიში ლვოვში

## ზესტაფონი რეიკიავიკი არ გეგონოთო...

## ბალანსიც დადებითი და ემოციაც

» გვერდი 3




» გვერდი 6

## რაული ყენიას თანაგუნდელი გახდა

# ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა · შტურმი (ავსტრია)-დინამო (საქართველო) · პირველი მატჩი

## შტურმს მარცხნივ უჭირს, შევუტიოთ მარჯვნიდან!

### ფოდა ფრთხილობს, კინასტი 3:0-სვარაუდობს

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი და ვიცე-ჩემპიონი თბილისის „დინამო", ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, დღეს პირველ მატჩს გამართავს. **კახა კაჭარავას** გუნდი გრაცში, ადგილობრივ „შტურმს" ეთამაშება. გუშინ ჩვენმა გუნდმა „შტურმის" მშობლიურ არენაზე, მატჩისწინა ვარჯიში გამართა. შეგახსენებთ, რომ „დინამოს" ავსტრიაში დისკვალიფიცირებული **მათე ვაწაძე** არ ახლავს. თუმცა კაჭარავას გუნდს მცველი **ლაშა ჩადუნელი** დაემატა, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, მაგრამ უკვე მწყობრშია. „დინამო" ავსტრიელებთან მატჩისთვის 18 ფეხბურთელით ემზადება.

ვნახოთ, თუ რა ვითარებაა მეტოქის ბანაკში. გრაცელთა გუნდის თავკაცი **ფრანკო ფოდა** თბილისში, შვედურ „გეფლესთან" მატჩს დაესწრო და ჩვენს გუნდზე საკმაო წარმოდგენაც აქვს. ავსტრიულ ვებგვერდებზე გუშინ გავრცელებულ მასალებში, „შტურმი"-„დინამოს" დღევანდელი მატჩის თემა ერთ-ერთი მოწინავე იყო და ჩვენი მკითხველისთვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული. ვნახოთ, რას ამბობს „დინამოსთან" მატჩის წინ „შტურმის" თავკაცი ფრანკო ფოდა.

*„ორრაუნდიან დაპირისპირებაში პირველი მატჩი შინ გვაქვს და მასპინძლის როლი უნდა გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, შინ მოგება გვინდა და აქცენტს შემტევ ფეხბურთზე გავაკეთებთ, მაგრამ საკუთარი კარის უსაფრთხოებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. იდეალური ვარიანტი იქნება, თუ მშრალი ანგარიშით მოვიგებთ. მეტოქეს ახალგაზრდული გუნდი ჰყავს, სწრაფად თამაშობენ, ბრძოლისუნარიანობა არ აკლიათ, შეტევაში აფეთქება ეხერხებათ და დაცვაში ყურადღებით თამაში გვმართებს. ასე რომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, ჩვენი გუნდის დაცვაში ჯერ კიდევ არის ხარვეზები"*, - ასეთი ფრთხილი კომენტარი გააკეთა ავსტრიული kleinezeitung.at-ისთვის გრაცელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა.

ფოდამ თავისი გუნდის დაცვის ხარვეზები ახსენა და ამ საკითხზე მეტად აღარ დაკონკრეტდა. თუმცა ავსტრიული მედია ამ თემაზე მეტ კონკრეტიკას გვთავაზობს. როგორც ირკვევა, „შტურმს" დაცვის მარცხენა ფრთაზე უჭირს და სწორედ ამ ფლანგიდან უქმნიან მეტოქეები ხიფათს. გუნდის გასაძლიერებლად, ფოდა სამ მარცხენა მცველს დააკვირდა, მაგრამ ყველა დაიწუნა. ავსტრიული წყაროების მტკიცებით, „შტურმის" თავკაცი დიდ იმედს ამყარებს მის გუნდში სინჯებზე მყოფ **გიორგი ფოფხაძეზე**, რომელსაც დანიურ „ვიბორგთან" გაისად ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი. ფოფხაძის საკითხი ჯერჯერობით კვლავ ღიად არის. ფოდასგან განსხვავებით, ოპტიმისტური კომენტარი გააკეთა ავსტრიის ნაკრების 26 წლის ფორვარდმა **რომან კინასტმა**, რომელსაც ეროვნულში 10 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი, „შტურმში" კი 17 შეხვედრაში 5 გოლის ავტორია.

*„ახალი სეზონი რიხიანად, ორი მოგებით დავიწყეთ და თუ „დინამოს" წინააღმდეგაც იმავე მონდომებით ვითამაშებთ, გავიმარჯვებთ. მჯერა, ხუთშაბათს წარმატება ჩვენ დაგვრჩება, 3:0-ს მოვიგებთ. ეს ჩემი დიდი სურვილია"*, - აღნიშნა კინასტმა.

ცნობისათვის, „შტურმმა" ავსტრიულ ბუნდესლიგაში უკვე ორ ტურში ითამაშა. გრაცელებმა „რიდი" სტუმრად 3:0 დაამარცხეს, „კაპფენბერგს" შინ 2:0 მოუგეს. ფოდას გუნდი „ნიუშტადთან" და „აუსტრიასთან" ერთად I-III ადგილებს იყოფს.

დაბოლოს, დღეს, „შტურმი"-„დინამოს" მატჩი, 22:30 საათზე დაიწყება. შეხვედრას ესტონელი მსაჯები გაუძღვებიან, არბიტრი **ჰანეს კასიკი** იქნება.

**დავით ცაბაძე**

### შტურმი-დინამო ORF 1-ზე

სწორედ ამ ავსტრიულ არხზე შეუძლიათ გულშემატკივრებს „შტურმი"-„დინამოს" დღევანდელი მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაციის ხილვა. შეხვედრა თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ვისაც ამ არხის ცქერის საშუალება არ აქვს, შეუძლია, იმედი ჰქონდეს, რომ თამაშს ინტერნეტის საშუალებით უყურებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „შტურმის" ოფიციალურ ვებგვერდზე „დინამოს" შესახებ მცირე მიმოხილვაა განთავსებული, სადაც ჩვენი გუნდის ყველაზე სახიფათო ფეხბურთელებად **მათე ვაწაძე** და **დონალდ ჯუისი** არიან დასახელებულნი. როგორც იცით, ვაწაძე ავსტრიაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევროპის ლიგა · კარპატი (უკრაინა)-ზესტაფონი (საქართველო) · პირველი მატჩი

## ზესტაფონი რეიკიავიკი არ არისო...

დღეს, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, „ზესტაფონი" ლვოვის „კარპატისთან" პირველ მატჩს ჩაატარებს. შეხვედრა ლვოვში, სტადიონ „უკრაინაზე" გაიმართება და თბილისის დროით 20:15 საათზე დაიწყება. თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს უკრაინული ტელარხი „ფუტბოლი" გადასცემს. მატჩს დანიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება, არბიტრი კი **ლარს კრისტოფერსონი** იქნება.

**გია გეგუჩაძის** გუნდი გუშინწინ, 27 ივლისს ჩაფრინდა ლვოვში. იმერელთა გუნდის თავკაცმა გუშინ „უკრაინაზე" მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. შეგახსენებთ, რომ ზესტაფონელებს ტრავმის გამო მარჯვენა ნახევარმცველი **ალექსი ბენაშვილი** გამოაკლდათ. გეგუჩაძემ 19 ფეხბურთელით ჩაატარა ვარჯიში. წვრთნის დასრულების შემდეგ კი გია გეგუჩაძემ პრესკონფერენცია გამართა:

**- „კარპატის" რომელი თამაშები ნახეთ და მეტოქეს როგორ შეაფასებდით?**

- მეტოქის არაერთი თამაში მინახავს წინა წლებშიც და ახლანდელი შემადგენლობის მატჩიც ვნახე. შემიძლია გითხრათ, რომ „კარპატი" პროგრესირებს. ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელსაც შეტევა და იმპროვიზაცია კარგად შეუძლია. ვფიქრობ, საინტერესო თამაში იქნება.

**- ლვოვში ფრეზე თანახმა ხართ?**

- არ დავკონკრეტდები. ის შედეგი დამაკმაყოფილებს, რომელიც მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს.

**- მოედნის საფარი თუ მოგეწონათ?**

- კარგი მინდორია, მაგრამ ბოლო დღეების უამინდობის გამო, გრუნტი ოდნავ დამძიმებულია.

**- თქვენი გუნდი რა მდგომარეობაშია?**

- ჩვენ საბრძოლო შემადგენლობით ვემზადებით. მიკროტრავმები გვაწუხებს, მაგრამ სერიოზული არაფერია. სამწუხაროდ, თბილისიდან გამომგზავრების წინ, ბენაშვილი გამოგვაკლდა.

**- „ზესტაფონში" მხოლოდ ქართველები თამაშობენ. არ ფიქრობთ, რომ ლეგიონერი თქვენს გუნდს მრავალფეროვნებას შემატებდა?**

- სულაც არ ვფიქრობ, რომ ერთფეროვანი გუნდი გვყავს. პირიქით, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი გუნდი მრავალფეროვანია. ჩვენ შემოქმედი, იმპროვიზაციის უნარის მქონე ფეხბურთელებიც გვყავს და შემსრულებლებიც.

ვნახოთ, თუ რა ვითარებაა მეტოქის ბანაკში. უკრაინულ ვებგვრდებზე მოპოვებული ინფორმაციების თანახმად, „კარპატის" მთავარი მწვრთნელი **ოლეგ კონონოვი** ტაქტიკას არ შეცვლის და შემტევი 4-3-3 ტაქტიკით ათამაშებს გუნდს. ჩვენი გუნდის დარად, დანაკლისი მეტოქესაც აქვს, ლვოველებს უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ოლეგ გოლოდიუკი** აკლიათ. გოლოდიუკს, რომელიც ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ არაა მწყობრში, 21-წლამდელთა ნაკრებში 9 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. უკრაინელი მიმომხილველები „ზესტაფონს" „ქართულ „მეტალურგად" მოიხსენიებენ და უმრავლესობას სჯერა, რომ „კარპატი" ქართულ გუნდს შინ მოუგებს. ზოგი ინტერნეტსაიტი „კარპატის" ფეხბურთელებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებს. თუმცა მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ „ზესტაფონმა" წინა ორი მეტოქე შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა და ჩვენი გუნდის კარგ შემტევ პოტენციალს გამოჰყოფს. იქვე გამოყოფენ, ევროტურნირების მიმდინარე სეზონში, „ზესტაფონიდან" ყველაზე მეტი, 4 გოლი, ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** გაიტანა და მის წინააღმდეგ თამაშში დიდი სიფრთხილეა საჭირო. აშკარად ჩანს, რომ „ზესტაფონის" ვარჯიშმა" ლვოვში ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მოდით ვნახოთ, თუ რა წერია ჩვენი გუნდის ვარჯიშის შესახებ „კარპატის" ოფიციალურ ვებგვერდზე.



*„უკრაინაზე" ჩატარებული წვრთნისას ქართველებს მონდომება აშკარად ეტყობოდათ. უმალ თვალში საცემია ის, რომ „ზესტაფონი" „რეიკიავიკი" არ არის და ამ ბარიერის გადალახვა „კარპატისთვის" იოლი ნამდვილად არ იქნება. ვარჯიშისას, ფეხით თუ თავის, კარში დარტყმისას ქართველი ფეხბურთელები თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდნენ. განსაკუთრებით სახიფათო იყო ჯაბა დვალი, რომელიც მეტოქე გუნდისთვის ზინედინ ზიდანივით სარგებლიანია. კარში დარტყმისას, ახალგაზრდა, 1989 წელს დაბადებული ქართველი მეკარე როინ კვასხვაძე სასწაულ ბურთებს იგერიებდა. კვასხვაძე ახალგაზრდული ნაკრების კიპერია და საქართველოში ბოლო ათწლეულის საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნევა.*

*„ჩვენ ვნახეთ „კარპატის" თამაში და შემიძლია გითხრათ, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს. მოწინაალმდეგე თითქმის ჩვენნაირ სტილში თამაშობს. „კარპატი" ტექნიკური გუნდია, მაგრამ მინუსებიც აქვს და შევეცდებით ეს გამოვიყენოთ. ვიმედოვნებ, საბოლოო შედეგი ჩვენთვის სასარგებლო იქნება. პირველი მატჩი სტუმრად გვაქვს და ფრეც კარგი იქნება"*, - ზესტაფონელთა ფორვარდ **ნიკოლოზ გელაშვილის** ეს კომენტარი „კარპატის" ოფიციალურ საიტზე მოვიძიეთ.

მასმედია იმედოვნებს, რომ ქართველები შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ, მაგრამ დაცვის ცენტრში **მილოშევიჩ-ტუბიჩის** სერბული ტანდემის ეიმედებათ.

**დავით ცაბაძე**

● საფეხბურთო კულისები

## აბრამოვიჩს საქართველოსთან თანამშრომლობა სურს

### ჭანტურია, ოლიმპის აკადემია და რომელიმე ქართული კლუბი აბრამოვიჩის ქოლგის ქვეშ

**ცოტა ხნის წინ მერაბ ჟორდანიასა და „ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩის პარტნიორობაზე ვწერდით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს" ყოფილ პრეზიდენტსა და რუს ოლიგარქს შორის მეგობრობა წლებია, გრძელდება. როგორც ამბობენ, აბრამოვიჩი ყველასთან არ ურთიერთობს. მისი ტელეფონის ნომერი მხოლოდ ოთხმა პიროვნებამ იცის - ჟორდანია მათ შორის ერთ-ერთია, ასევე პუტინი, მაგრამ არა მედვედევი...**

**„ჩელსის" ბოსი ჟორდანიასთან ერთად რამდენიმე პროექტის განხორციელებაზე ფიქრობს. ამის თაობაზე თბილისში დაბრუნებულ, „დინამოს" ყოფილ პრეზიდენტთან გვსურდა გასაუბრება, მაგრამ მან ინტერვიუზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ინფორმაცია საკუთარი, სანდრო წყაროებისგან მოვიპოვეთ...**

აბრამოვიჩმა, მერაბ ჟორდანიას მონაწილეობით, ჰოლანდიაში კლუბი უკვე შეიძინა. როგორც ადრე ვწერდით, ეს კლუბი „ალკმაარი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს „ვიტესზე" შეჩერდნენ. ფინანსური პრობლემების გამო, „ვიტესის" ძველი მეპატრონე ახალ ინვესტორს ეძებდა...

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჰოლანდიური კლუბის შესყიდვა გადაწყვეტილი ამბავია და მისი პრეზიდენტი ქართველი გახდება. „ვიტესის" შესყიდვა ჟორდანიას სახელზე გაფორმდა (კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ამის შესახებ არაფერი წერია). მაგრამ მარტო ეს არა - როგორც სანდო წყარო გვარწმუნებს, აბრამოვიჩმა ჟორდანიას არა მხოლოდ ჰოლანდიური კლუბი, არამედ მისი პატრონობის ქვეშ არსებული საფეხბურთო ინდუსტრიაც ჩააბარა. სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს გარკვეული როლი თავად „ჩელსიში", ოღონდ რა ფორმითა თუ სტატუსით, ჯერჯერობით უცნობია. იგივე წყარო გვიტკიცებს, რომ ჟორდანია უკვე მონაწილეობს ერთ-ერთ სატრანსფერო მოლაპარაკებაში, რომლის მიზანიც „ჩელსიში" კაშკაშა ვარსკვლავის (ფორვარდის) გადასვლაა. მოგვიტევეთ, მაგრამ რაკი ოფიციალური დადასტურება ჯერჯერობით არ არსებობს, კონკრეტიკას მოვერიდებით...

თუმცა გაცილებით მეტი რამ ვიცით **გიორგი ჭანტურიაზე** - დაზუსტებული ინფორმაციით, „ჩელსიში" მისი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. ოღონდ, აქ ერთი პრობლემაა - როგორ გააფორმებს ჭანტურია „ჩელსისთან" პროფესიულ კონტრაქტს, როცა ის ჯერ 17 წლისაა? თუმცა გამოსავალი აქედანაც არსებობს - ეს მოხდება მომავალი წლის იანვარში, ჭანტურიას სრულწლოვანებამდე სამი თვით ადრე (აპრილში ხდება 18 წლის), როცა კონტრაქტის გაფორმება უკვე დასაშვები იქნება.

როგორც ამბობენ, ჟორდანიამ დაარწმუნა აბრამოვიჩი, რომ ჭანტურია **შოთა არველაძისა** და **გიორგი ქინქლაძის** დარი პოტენციალის მოთამაშეა. შესაძლოა, „დინამოს" ექსპრეზიდენტის ნებით კიდევ ერთი ტრანსფერი განხორციელდეს - „ვიტესში" გადავიდეს **ვაკო ყაზაიშვილი**, რომელიც 17-წლამდელთა ნაკრებში ჭანტურიას პარტნიორია.

...და თბილისის „დინამო"? აბრამოვიჩს ჟორდანიასთვის თავად უკითხავს, საქართველოში საინტერესო საფეხბურთო სკოლა და გუნდი თუ ეგულებოდა. ამ დაინტერესებიდან იღებს სათავეს კიდევ ერთი პროექტი - შესაძლოა, ოლიგარქმა ერთ-ერთ ქართულ საფეხბურთო სკოლასა და კლუბს უპატრონოს. ერთ-ერთი ვერსიით, ეს შეიძლება იყოს თბილისის საფეხბურთო აკადემია „ოლიმპი", რომელიც მცირე ხნის წინ „ოლიმპისა" და „საბურთალოს" სკოლათა გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა. ჟორდანია ამ სკოლების მუშაობას სათანადოდ აფასებს - ყოველწლიურად აკადემია გამორჩეულად ნიჭიერ ფეხბურთელებს ზრდის. ჭანტურიას გარდა, შეიძლება მოვიყვანოთ ახლახან დონეცკის „შახტარში" გადასული **თორნიკე ოქრიაშვილის** მაგალითი და 17-წლამდელთა ნაკრების ბირთვი.

თუ როდის გადაწყდება კლუბის საკითხი, ეს აქაურ ვითარებაზეა დამოკიდებული. ჟორდანიას ქართული კლუბის პარტნიორობა სურს, ეს არის აბრამოვიჩის სურვილიც...

გუშინ ჟორდანია საქართველოდან გაემგზავრა. რამდენიმე ხნით ის აბრამოვიჩთან ერთად იახტაზე იქნება, რათა „ჩელსისა" და „ვიტესის" საკითხებზე მშვიდ და საქმიან გარემოში იმუშაოს...

იმედია, ამ ყველაფრის ოფიციალური დადასტურება მალე გვექნება...

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი

## თარხნიშვილის შერიფმა კაცნაკლულ დინამოს ვერ სძლია

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. სხვა გუნდებთან ერთად **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმაც" იასპარეზა. ჩვენებურის გუნდმა ზაგრების „დინამოსთან" საპასუხო მატჩის წინ ფორის მოპოვება ვერ შეძლო. ანგარიში ხორვატთაგან **სამირმა** მე-3 წუთზე გახსნა, 0:1. 35-ე წუთზე **ერიოხინმა** წონასწორობა აღადგინა, 1:1 და ეს შედეგი საბოლოო აღმოჩნდა. არა და, 62-ე წუთზე ბარბარიჩის გაძევების გამო, ზაგრების „დინამომ" კაცნაკლულმა ჩაამთავრა თამაში. თარხნიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩიც ჩაამთავრა. უბერებელი ქართველი მცველი 77-ე წუთზე გააფრთხილეს.

**დავით ცაბაძე**


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა

კარიბჭე-ზესტაფონი

# ბალანსით დადებითი და ემოციაც

**დღევანდელ საღამოს ქართველი გულშემატკივრის ყურადღება ორი ქალაქის, ლვოვისა და გრაცისკენ იქნება მიპყრობილი: უკრაინას „ზესტაფონი" სტუმრობს, ავსტრიას კი თბილისის „დინამო." უნდა ვაღიაროთ, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას ბევრი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა: ევროპის ლიგის (იმავე უეფას თასის), მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთდროულად ორ ქართულ გუნდს აქამდე ხომ არასდროს გაუღწევია! რა თქმა უნდა, წლევანდელ ევროტურნირებზე ჩვენი გუნდების ასპარეზობის საერთო შეფასება ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა წინა წლებთან შედარებით გარკვეული პროგრესი რომ გვაქვს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სარეიტინგო ქულებიც ხომ გვემატება და ვისურვოთ, „ზესტაფონიცა" და „დინამოც" რაც შეიძლება დიდხანს შემორჩენილიყვნენ ევროტურნირებზე.**

...ევროტურნირებზე თბილისის „დინამო", როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელი, 1993 წლიდან ასპარეზობს; აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ამ 17 წლის განმავლობაში ევროტურნირებზე 76 მატჩი ჩაატარა და ესტონურ „ფლორასთან" და შვედურ „გეფლესთან" წლევანდელი წარმატებული ასპარეზობით, საერთო ჯამში, აბსოლუტურად თანაბარ ბალანსს მიაღწია! ანუ, დღემდე „დინამომ" 33 მატჩი მოიგო, 10 ფრედ ითამაშა და 33 წააგო; სამწუხაროდ, ბურთების სხვაობა კვლავაც უარყოფითია - სხვადასხვა დროს „ბოავიშტასთან", „ლევერკუზენთან", „რაპიდთან" თუ „ბრაგასთან" ხუთი და ოთხი ბურთის სხვაობით რომ ვაგებდით, აი, ამის გამოა. მოკლედ, ავსტრიულ „შტურმთან" ორრაუნდიან პაექრობაში **კახა კაჭარავას** გუნდს მშვენიერი შანსი აქვს ევროტურნირებზე ასპარეზობისას დადებით ბალანსს მიაღწიოს. ამას გარდა, „დინამო" კიდევ ერთ მაჩვენებელთანაც ძალიან ახლოს არის: დიდი შანსია, რომ სწორედ „შტურმთან" დაპირისპირებაში (ავსტრიაში ან - თბილისში) ვნახოთ ევროტურნირებზე დინამოელთა... მეასე გოლიც!

...წინა კვირაში „დინამოს" ევროტურნირებზე (კერძოდ, უეფას თასზე) ასპარეზობის ისტორიაზე ვრცლად ვისაუბრეთ; ახლა კი წლევანდელ ევროტურნირებს შემორჩენილ ჩვენს მეორე გუნდზეც გვინდა „რამდენიმე სიტყვის" თქმა. მით უფრო, რომ 1993 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, ევროტურნირებზე სხვადასხვა დროს მოასპარეზე 15 ქართული გუნდიდან („დინამო", „ვიტ ჯორჯია, „ტორპედო", „ლოკომოტივი," „ბათუმი," „კოლხეთი-1913", „ზესტაფონი", „ამერი", „ოლიმპი", „სიონი," „თბილისი", „მერანი-91", „სამტრედია", „მარგვეთი", „დილა") ერთადერთი მხოლოდ „ზესტაფონია", დადებითი ბალანსი რომ აქვს! ვიდრე „ზესტაფონის" ამ, მართლაც, მნიშვნელოვან და წარმატებულ ფაქტორზე ვისაუბრებდეთ, ისიც ვთქვათ, რომ თბილისის „დინამოს" მსგავსად თანაბარი ბალანსი კიდევ სამ გუნდს აქვს: „თბილისს" (ორი მოგება და ორი წაგება), „მერანი-91"-ს (ორი მოგება და ორი წაგება) და „ბათუმს" (5 მოგება, 2 ფრე და 5 წაგება). აი, „ზესტაფონს" კი, როგორც უკვე გითხარით, დადებითი ბალანსი აქვს: 5 მოგება, 2 ფრე და 4 წაგება (ბურთების სხვაობა: 26-12).

„ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 2004 წელს გამოჩნდა და იმის მერე გუნდის ყველაზე უარესი შედეგი... მეხუთე ადგილია; ევროტურნირებზე დებიუტი კი 2007 წლის ზაფხულში ჰქონდა, როცა ცოტა დააკლდა და „ინტერტოტოს თასის" საწყის ეტაპს გადალახავდა. ყაზახურ „ტობოლთან" პირველი შეხვედრა 0:3 წააგო, მაგრამ განმეორებითი მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ **თემურ მახარაძის** შეგირდებს უკვე ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მეტის მიღწევა ველარ შეძლეს. სხვათა შორის, სამი წლის წინანდელი იმ შემადგენლობიდან „ზესტაფონს" დღესდღეობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, **ალექსი ბენაშვილი** შემორჩა.

„ზესტაფონი" მომდევნო წელსაც პირველ ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას; ოღონდ, უეფას თასზე მოასპარეზე გუნდს ბევრად ძლიერი მეტოქე შეხვდა - უნგრული „დიორ ეტო". სტუმრად ჩატარებულმა პირველმა შეხვედრამ იმერული გუნდის ერთგულ ქომაგებს გარკვეული იმედი დაუტოვა - უნგრეთში მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა. სამწუხაროდ, განმეორებით მატჩში მოვლენები აშკარად „სხვანაირად" განვითარდა: მეორე ტაიმის დასაწყისში ახალგაზრდა **ბექა გოცირიძის** გოლით დავწინაურდით, მაგრამ „ზესტაფონმა" უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და სტუმრებისგან ორი გოლიც მიიღო...

აი, შარშან კი ევროტურნირებზე ქართული გუნდებიდან ყველაზე ღირსეულად სწორედ „ზესტაფონმა" იასპარეზა: ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე **გია გეგუჩაძის** გუნდმა ჩრდილოირლანდიურ „ლისბერნს" მართლაც „შავი დღე" დამართა: ჯერ სტუმრად გაანადგურა (6:1), მერე კი უფრო დიდი ანგარიშით მშობლიურ სტადიონზეც მოუგო (6:0). ამ ორ შეხვედრაში ჩრდილოირლანდიელებმა ვერაფერი მოუხერხეს „ზესტაფონის" ფორვარდებს: **ჯაბა დვალმა** და **ნიკოლოზ გელაშვილმა** მეტოქის კარში სამსამი გოლი გაიტანეს.

ჯაბა დვალი სულაც პირველი ფეხბურთელი გახდა, ახალ გათამაშებაში (ევროპის ლიგა) ჰეთ-თრიქი ვინც შეასრულა. ამას გარდა, „ზესტაფონის" ფორვარდს სხვა მიღწევითაც შეუძლია იამაყოს: 1993 წლიდან დღემდე, ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული გუნდების ფეხბურთელთაგან მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი გოლი (10) სწორედ ჯაბა დვალს აქვს გატანილი!

...2009-10 წლის ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონმა" პირველი საშინაო მატჩი შვედურ „ჰელსინბორგთან" მინიმალური სხვაობით (1:2) წააგო. რაც უნდა ბევრი მტკიცება: სტუმართა გუნდში ევროპული დონის ვარსკვლავს, უბერებელ **ჰენრიკ ლარსონს** რომ არ ეასპარეზა, დიდი შანსი იყო, „ზესტაფონს" ეს ბარიერიც გაევლო. თუმცა, ამის მისაღწევად გია გეგუჩაძის გუნდს... სამი-ოთხი წამი(!) დააკლდა: განმეორებითი მატჩი, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო და „ზესტაფონი" 2:0-ს უგებდა „ჰელსინბორგს". და აი, სწორედ მაშინ, მსაჯის მიერ დამატებული დროის უკანასკნელ წამზე(!) ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა წამიერ მოდუნებასა თუ კონცენტრაციის დაკარგვას... მასპინძელთა „მშველელი" გოლი მოჰყვა; შვედებმა, ერთი გოლიც დამატებით დროში გაიტანეს და მომდევნო ეტაპზეც ისინი გავიდნენ...

რაც შეეხება წლევანდელ ევროტურნირებს, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონს" პრობლემა არ შეჰქმნია: სან-მარინოს „ფაეტანოს" ორი მატჩის ჯამში (5:0, 0:0) აჯობა; იგივე განმეორდა მეორე ეტაპზეც, ოღონდ, ამჯერად მეტოქე ბევრად უფრო ძლიერი ჰყავდა - სლოვაკური „დუკლა". და აი, დღეს „ზესტაფონი" ევროტურნირებზე თავის... მეცამეტე შეხვედრას ჩაატარებს და იმედი დავიტოვოთ, რომ ევროტურნირებზე ასპარეზობისას ნაჩვენებ დადებით ბალანსს კვლავაც შეინარჩუნებს...

## ინტერტოტოს თასი

### 23.06.07. კოსტანაი

**ტობოლი (ყაზ)-ზესტაფონი 3:0**

1:0 ჟუმასკალიევი (62), 2:0 ბალტიევი (64), 3:0 ბაკაევი (73)

ზესტაფონი: გ. ჭანტურია - ე. საჯაია, სანტოსი (32. გ. ჩხეტიანი), ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი - გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, რ. ონიანი, ჟონატასი (46. ნ. კვასხვაძე), კესანი, ვიეირა (70. ა. სანაია) - გ. ფიფია.

გაფრთხილება: ე. საჯაია, რ. ონიანი.

არბიტრი: მ. იუგი (სლოვენია)

### 30.06.07. თბილისი

**ზესტაფონი-ტობოლი 2:0**

1:0 ე. საჯაია (3), 2:0 კ. ჩხეტიანი (37)

ზესტაფონი: გ. ჭანტურია - ე. საჯაია, სანტოსი, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი - ნ. კვასხვაძე, რ. ონიანი, კესანი, ბენაშვილი (60. ჟონატასი), ვიეირა (90. გ. ლონღაძე) - გ. ფიფია.

გაფრთხილება: ე. საჯაია, გ. ფიფია.

არბიტრი: ვ. სვილოკოში (ხორვატია)

## უეფას თასი

### I საკვალიფიკაციო ეტაპი

### 17.07.08. დიორი

**დიორი ეტო (უნგ)-ზესტაფონი 1:1**

0:1 ვიეირა (45), 1:1 ბიორი (58)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - უ. ლობჟანიძე, სანტოსი, ს. თოდუა, რ. ონიანი - ნ. კვასხვაძე (46. ბოიომო), ბ. დაუშვილი, ი. ძარია (82. იონანიძე), ვიეირა - ბ. გოცირიძე, ნ. გელაშვილი (70). ჩასემი).

გაფრთხილება: ნ. გელაშვილი, ბ. გოცირიძე.

არბიტრი: ა. ანგელოვი (ბულგარეთი)

### 31.07.08. ზესტაფონი

**ზესტაფონი-დიორი ეტო 1:2**

1:0 ბ. გოცირიძე (51), 1:1 იოჟი (52), 1:2 პაკოლიჩი (66)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - უ. ლობჟანიძე, ბოიომო, ს. თოდუა, რ. ონიანი (82. სანტოსი) - ჩასემი (71. იონანიძე), ბ. დაუშვილი, ი. ძარია (59. ნ. კვასხვაძე), ვიეირა - ბ. გოცირიძე, ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: უ. ლობჟანიძე, ბ. დაუშვილი, ნ. გელაშვილი, ზ. იონანიძე.

გაძევება: უ. ლობჟანიძე.

არბიტრი: ა. კაკოსი (საბერძნეთი)

## ევროპის ლიგა.

### I საკვალიფიკაციო ეტაპი

### 02.07.09. ლურგანი

**ლისბერნი (ჩ. ირლ)-ზესტ. 1:5**

0:1 ნ. გელაშვილი (9), 0:2 შ. გრიგალაშვილი (2), 0:3 ნ. გელაშვილი (33), 0:4 შ. გრიგალაშვილი (37), 0:5 თ. აფციაური (52), 1:5 ფელანი (87)

ზესტაფონი: ზ. მამალაძე - ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, გ. ონიანი, ზ. ელიავა - თ. აფციაური, ბ. დაუშვილი, ი. ძარია (57. ა. ბენაშვილი), შ. გრიგალაშვილი (74. თ. გორგიაშვილი ) - ჯ. დვალი (88. ნ. კვასხვაძე), ნ. გელაშვილი.

არბიტრი: ტ. ბოდნარი (უნგრეთი).

### 09.07.09. ზესტაფონი

**ზესტაფონი-ლისბერნი 6:0**

1:0, 2:0, 3:0 ჯ. დვალი (5, 39, 42), 4:0 ნ. გელაშვილი (44), 5:0, 6:0 ა. ბენაშვილი (86, 90)

ზესტაფონი: ზ. მამალაძე - უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, გ. ონიანი, ზ. ელიავა (46. კ. მაკარიანი) - თ. აფციაური, ბ. დაუშვილი (46. ა. ბენაშვილი), ი. ძარია (60. თ. გორგიაშვილი), შ. გრიგალაშვილი - ჯ. დვალი, ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: ა. ბენაშვილი

არბიტრი: ა. კონსტანტინი (რუმინეთი)

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

### 16.07.09. ზესტაფონი

**ზესტ.-ჰელსინბორგი (შვე) 1:2**

0:1 იონსონი (62), 1:1 ა. ბენაშვილი (70), 1:2 ჰ. ლარსონი (89)

ზესტაფონი: ზ. მამალაძე - უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, გ. ონიანი, ზ. ელიავა - თ. აფციაური (85. ნ. კვასხვაძე), ბ. დაუშვილი, ი. ძარია (68. ა. ბენაშვილი), შ. გრიგალაშვილი - ჯ. დვალი (80). ზ. იონანიძე), ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: ბ. დაუშვილი, ი. ძარია, ზ. იონანიძე.

არბიტრი: კ. ბერტოლინი (შვეიცარია)

### 23.07.09. ჰელსინბორგი

**ჰელსინბორგი-ზესტაფონი 2:2 დ.დ**

0:1 ჯ. დვალი (29), 0:2 ნ. გელაშვილი (32), 1:2 ჯ. ეკსტრანდი (90+3), 2:2 ე. სუნდინი (100)

ზესტაფონი: ზ. მამალაძე - უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, გ. ონიანი, ზ. ელიავა - თ. აფციაური, ბ. დაუშვილი (84. გ. ცხადაია), ი. ძარია (74. ა. ბენაშვილი), შ. გრიგალაშვილი - ჯ. დვალი, ნ. გელაშვილი (90. ნ. კვასხვაძე).

გაფრთხილება: ბ. დაუშვილი, თ. აფციაური, ი. ძარია

არბიტრი: ჰ. კაასიკი (ესტონეთი)

### I საკვალიფიკაციო ეტაპი

### 01.07.10. ზესტაფონი

**ზესტაფონი-ფაეტანო (ს. მარ) 5:0**

1:0 ნ. გელაშვილი (20), 2:0 ჯ. დვალი (23), 3:0 ნ. გელაშვილი (24), 4:0 ჯ. დვალი (62), 5:0 თ. გორგიაშვილი (90)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ა. ბენაშვილი, გ. ონიანი (77. მ. კობახიძე), გ. ხიდეშელი, ზ. ელიავა - ი. ძარია (62. გ. ფიფია), ბ. დაუშვილი, შ. ბაბუნაშვილი (52. თ. გორგიაშვილი), შ. გრიგალაშვილი - ჯ. დვალი, ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: ბ. დაუშვილი, შ. გრიგალაშვილი, შ. ბაბუნაშვილი

არბიტრი: ვ. გლოდჯოვიჩი (სერბეთი)

### 08.07.10. სერავალე

**ფაეტანო-ზესტაფონი 0:0**

ზესტაფონი: ზ. მამალაძე - ა. ბენაშვილი, მ. კობახიძე, გ. ხიდეშელი, ზ. ელიავა - გ. მიქაბერიძე (64. ნ. გელაშვილი), თ. გორგიაშვილი, ი. ძარია (70. შ. გრიგალაშვილი), შ. ბაბუნაშვილი - გ. ფიფია, ს. ლომია (64. ჯ. დვალი).

გაფრთხილება: ა. ბენაშვილი

არბიტრი: ი. როზადოსი (ანდორა)

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

### 15.07.10. ზესტაფონი

**ზესტაფონი-დუკლა (სლო) 3:0**

1:0 ჯ. დვალი (24), 2:0 ი. ძარია (48), 3:0 ჯ დვალი (65)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ა. ბენაშვილი, გ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ზ. ელიავა - ი. ძარია, ბ. დაუშვილი, შ. ბაბუნაშვილი (30. თ. აფციაური), შ. გრიგალაშვილი (79. კ. ალადაშვილი) - ჯ. დვალი (79. გ. ფიფია), ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: ბ. დაუშვილი, ნ, გელაშვილი

არბიტრი: ვ. ბანარი (მოლდოვა)

### 22.07.10. ბანსკა-ბისტრიცა

**დუკლა-ზესტაფონი 1:0**

1:0 მ. დიურიში (28)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - ა. ბენაშვილი (56. კ. ალადაშვილი), გ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ზ. ელიავა - თ. აფციაური (83. გ ფიფია), თ. გორგიაშვილი (57. შ. ბაბუნაშვილი), ი. ძარია, შ. გრიგალაშვილი - ჯ. დვალი, ნ. გელაშვილი.

გაფრთხილება: ზ. ელიავა

არბირტი: დ. სტანკოვიჩი (სერბეთი)

**გია ტუხაშვილი**



2010 წლის 15 ივლისი. ზესტაფონი-დუკლა 3:0. ჯაბა დვალი (№11)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები



# თემურ ქეცბაია თბილისამდე იტყვის

## ნაკრების თავკაცი დღეს გრაცში დინამოს ნახავს

ორ კვირაზე ნაკლები დარჩა საქართველოს ეროვნული ნაკრების ამხანაგურ მატჩამდე. **თემურ ქეცბაიას** გუნდს 11 აგვისტოს კიშინიოვში, მოლდოვას ნაკრებთან აქვს გენერალური რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყების წინ. ამ თამაშისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას ეროვნულის თავკაცი ამ დღეებში დაასახელებს.

ქეცბაია აქამდე კვიპროსზე იმყოფებოდა, გუშინ სალამოს კი ავსტრიაში ჩაფრინდა. ნაკრების თავკაცი დღეს გრაცში, „არნოლდ შვარცენეგერის" არენაზე, „შტურმსა" და „დინამოს" შორის ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს დაესწრება და ნაკრების წევრებსა თუ კანდიდატებს დააკვირდება, თბილისში კი 4 აგვისტოს დაბრუნდება. მოლდოვასთან მატჩისთვის სანაკრებო შემადგენლობას ქეცბაია თბილისში ჩამოსვლამდე დაასახელებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# მილიონი მათეს სანაცვლოდ

ორიოდე კვირის წინ გაცნობეთ, **მათე ღვინიანიძის** გადაბირებით პირეოსის „ოლიმპიაკოსი" რომ არის დაინტერესებული. ბრძნულ გუნდს „მიუნხენ 1860"-ისა და მათეს ყოფილი მწვრთნელი **ევალდ ლინენი** თავკაცობს. ლინენმა კარგად იცის ღვინიანიძის შესაძლებლობები და ამიტომაც უნდა მისი გადაბირება. უკვე გაცნობეთ, რომ პირეოსელებმა 900 ათასი ევრო გაამზადეს მათეს სანაცვლოდ. ცნობისთვის, ავტორიტეტულ ვებგვერდ transfermarkt.de-ს მიერ მათეს სატრანსფერო თანხაც სწორედ ამდენია. თუმცა ამ ცნობის მერე ღვინიანიძის სავარაუდო ტრანსფერზე გერმანულ წყაროებს კარგა ხანი არაფერი დაუწერიათ. გუშინ კი მორიგი ცნობა გამოჩნდა. გერმანულენოვან ვებგვერდ www.4-4-2.com-ის ინფორმაციით, ბერძნული „ოლიმპიაკოსი" მზადაა 23 წლის მათე ღვინიანიძის სანაცვლოდ 1 მილიონი ევრო გაიღოს. როგორც ხედავთ, პირეოსელებმა თანხა 100 ათასით გაზარდეს. ვნახოთ დათმობენ თუ არა ჩვენებურს „ლომები". აღსანიშნავია ისიც, რომ მათე ღვინიანიძეს „მიუნხენ 1860"-თან მომდევნო წლის 30 ივნისს ეწურება საკონტრაქტო ვადა.

ერთი სიტყვით, „ოლიმპიაკოსის" ინტერესი ძალაშია და ტრანსფერის სანაცვლოდ თანხის მომატებაც ერთგვარი წინსვლაა. შედგება თუ არა ტრანსფერი, ძნელი სათქმელია, რადგან ღვინიანიძეს მაინცდამაინც არ ხიბლავს გერმანიის დატოვების პერსპექტივა.

ამასობაში კი მათემ და მისმა „მიუნხენ 1860"-მა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. „ლომები" „ჰამბურგს" გაეჯიბრნენ და ეს შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. მიუნხენელთა ქართველი მცველი სასტარტო შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. პირველი ნახევარი ჰამბურგელებმა მოიგეს, „ლომებმა" კი შესვენების შემდეგ აღადგინეს წონასწორობა.

მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე კიდევ ერთ ჩვენებურზე უნდა გაცნობოთ. **მარკუს ბაბელის** ხელმძღვანელობით ბერლინის „ჰერტა" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. ჩვენებურის გუნდმა მორიგი სპარინგ მატჩი ქვედალიგოსან „ლიუბეკთან" გამართა და 3:1 მოიგო. ბერლინელთა გუნდის ქართველი კაპიტანი **ლევან კობიაშვილი** ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში იყო. კობიმ ჩვეულ პოზიციაზე, მარცხენა მცველად (და შეუცვლელად) ითამაშა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, 80 წუთის განმავლობაში „ჰერტა" ამ შეხვედრას მინიმალურად აგებდა და ბოლო 10 წუთში გატანილი სამი ბურთით მოიგო.

**დავით ცაბაძე**




ამბები

# მარცვალაძემ გაასამა

რუსეთის პირველ დივიზიონში მცირედი პაუზაა და გუნდები საკონტროლო მატჩებს ატარებენ. ჩვენებურთა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" მთავარი გუნდი თავისავე დუბლებს გაეჯიბრა და 6:0 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ 6 გოლიდან ნახევარი ნაკრების თავდამსხმელ **ოთარ მარცვალაძის** ანგარიშზეა. მარცვალაძემ ჰეთ თრიკი პირველივე ტაიმში შეასრულა, სამიდან ერთი გოლი კი პენალტით გაიტანა. ვოლგისპირელთა ქართული ლეგიონიდან ამ შეხვედრაში მხოლოდ ტრავმირებულ მცველ **ედიკ საჯაიას** არ უთამაშია. მცველმა **გიორგი ნავალოვსკიმ** მეორე ტაიმი სრულად ჩაატარა, ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** კი 65-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

**დავით ცაბაძე**

# ვოლგამ ქართველებთან გააფორმა

უკვე გაცნობეთ, რომ **გოჩა ხოჯავა** და **გიორგი ნავალოვსკი** ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გადადიოდნენ. მათ რუსეთის პირველი დივიზიონის ბინადარ კლუბთან კონტრაქტს ხელი გუშინ მოაწერეს. ხოჯავა „ვოლგას" ღირსებას 99-ნომრიანი მაისურით დაიცავს, ნავალოვსკიმ კი 88 ნომერი აირჩია.



გიორგი ნავალოვსკი

შეგახსენებთ, ხოჯავა ბოლოს მახაჩყალის „ანჟის" ღირსებას იცავდა, ხოლო ნავალოვსკი ბაქოს „ინტერში" გამოდიოდა. ისიც გეხსომებათ, რომ „ვოლგას" **ომარ თეთრაძე** წვრთნის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# გამარჯვება პირველი ლიგის გუნდთან

გუშინ „ვიტ ჯორჯიამ" „ავაზას" ბაზაზე საკონტროლო მატჩი ჩაატარა პირველლიგელ საჩხერის „ჩიხურასთან" და დამაჯერებლად, 4:0 გაიმარჯვა. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ მთელმა თამაშმა თბილისელთა უპირატესობით ჩაიარა.

ვეტერინართა მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ კოჭლაშვილმა** ეს მატჩი ფაქტობრივად, ორი შემადგენლობით ჩაატარა. თავიდანვე გეტყვით, რომ პირველი ტაიმი „ვიტ ჯორჯიამ" **ვახტანგ კვარაცხელიას** გოლით მინიმალურად მოიგო, შეხვედრის მეორე ნახევარში კი **ბექა ზაქრაძემ** დუბლი შეასრულა, ხოლო კიდევ ერთი ბურთი **ბესიკ ჩიმაკაძის** ანგარიშზეა.

ვიტ ჯორჯია I ტაიმში: **მიქაბერიძე - ბექვაია, დ. ლომაია, ადამაძე, ჭაკვეტაძე - მაისაშვილი, გურეშიძე, ჯანელიძე - კლიმიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ლიპარტია.**

II ტაიმში: **ძაძამია - ბექვაია (80. ხარატიშვილი), ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - ვასაძე, გურეშიძე, ჯანელიძე - ზაქრაძე, ჩიმაკაძე, კორიფაძე.**

„ვიტ ჯორჯია" მომავალი სეზონისთვის მზადებას თბილისში დაასრულებს. 22-ე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე კოჭლაშვილის გუნდი კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს - 30 ივლისს აზერბაიჯანულ „თურანს" შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17



## კობა ჟორჟიკაშვილი

# შეტევაში არჩევანი დიდია, დაცვაში მცირე

**საქართველოს 17-წლამდელთა ახალი ფორმაციის ნაკრების ჩამოყალიბება მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. შეგახსენებთ, ეს ის გუნდია, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ოქტომბრიდან ჩაერთვება. ისიც გეხსომებათ, რომ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მატჩებს საქართველო უმასპინძლებს, ჩვენი გუნდის მეტოქეები კი პოლონეთი, ინგლისი და შვედეთი იქნებიან.**

**ჩვენმა 17-წლამდელთა ნაკრებმა წლის დასაწყისში ორ ნაწილად გაყოფილი შეკრება გაიარა ზუგდიდში, იმავე პერიოდში იყო ირანის ნაკრებთან გამართული ორი ამხანაგური მატჩი, რასაც ჯერ აშშ-ში, შემდეგ კი ესპანეთში ჩატარებული ტურნირები მოჰყვა.**

**გუნდი ზაფხულშიც აქტიურად ემზადება და ამიტომაც ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**- სად ვარჯიშობს ამჟამად ნაკრები და როგორია ფეხბურთელთა კონდიციები?**

- დღეისათვის გუნდი თბილისშია და აქ ემზადება. ვარჯიშები უმეტესად, ორჯერადია. დილით ნაკრები ფიზიკურად იტვირთება, სალამოობით კი 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე ვარჯიშობს. გუნდის მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. ფეხბურთელები მონდომებით ვარჯიშობენ და ვფიქრობ, ჩვენ მიერ შედგენილი გეგმა ნორმალურად ხორციელდება. გუნდი ეტაპობრივად აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და უკვე რეალური იმედი გვაქვს იმისა, რომ შესარჩევ ტურნირს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**- ნაკრების უახლოესი გეგმები როგორია?**

- 9 აგვისტოს შეკრებაზე ურეკში გავემგზავრებით, რის შემდეგაც პალანგაში წავალთ, სადაც ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 23-29 აგვისტოს გაიმართება. შარშან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ამ ტურნირში გაიმარჯვა და გვსურს, ეს ტრადიცია ამჟამინდელი გუნდითაც გავაგრძელოთ. პალანგის შემდეგ კი შეკრება და საერთაშორისო ამხანაგური მატჩები კიდევ დაგვჭირდება და იმედია, ესეც მოხერხდება.

**- ალბათ, უკვე გამოკვეთილია იმ გუნდის ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება.**

- გარკვეულწილად, გამოკვეთილია, მაგრამ ოფიციალურ მატჩებამდე ჯერ კიდევ გვაქვს დრო და საბოლოო არჩევანსაც მოგვიანებით გავაკეთებთ. ამჟამად 26 ფეხბურთელით ვვარჯიშობთ. პალანგის ტურნირზე ლეგიონერები, ლუკას ჰუფნაგელი და ლუკა ჩხაიძეც შემოგვიერთდებიან და სწორედ ამ შემადგენლობიდან შეირჩევა ის 18 ფეხბურთელი, რომლებიც საქართველოს ღირსებას პალანგასა და შესარჩევ ტურნირში დაიცავენ. ოღონდ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ პალანგის ტურნირზე წამოსულ 18 მოთამაშეს სულაც არ ექნება ნაკრებში ადგილი დაჯავშნილი და სავსებით შესაძლებელია, საკვალიფიკაციო ციკლისთვის გუნდში საკმაო რაოდენობის ცვლილებები მოხდეს. სელექციის პროცესი ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია და ნაკრებში მოსახვედრად თითოეულ ფეხბურთელს დიდი ბრძოლა და შრომა მოუწევს.

**- ჰუფნაგელისა და ჩხაიძის კლუბებისგან რაიმე დაბრკოლებას ხომ არ წააწყდით?**

- არა, საბედნიეროდ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ეს ბიჭები ნაკრებში შეუფერხებლად ჩამოვლენ.

**- რომელ სათამაშო რგოლებში გვაქვს უკეთ საქმე და რომელი ამპლუებია ნაკრებში პრობლემატური?**

- მოხარული ვარ, რომ შემტევ პოზიციებზე მაღალი დონის ფეხბურთელების დიდი არჩევანი გვაქვს, რასაც ვერ ვიტყვი დაცვის ხაზზე, სადაც ძლიერი მოთამაშეები ასევე გვყავს, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით. საერთო ჯამში, მაინც კმაყოფილი ვარ იმ კონტინგენტით, რომელიც ნაკრებში თამაშზე აცხადებს პრეტენზიას. საკმაოდ ნაყოფიერი სელექცია ჩავატარეთ, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო.

**- პალანგაში წასვლამდე ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას ხომ არ გეგმავთ?**

- დიახ, ურეკში გამგზავრებამდე, იქითა კვირას ვაპირებთ თბილისში საკონტროლო მატჩების გამართვას.

**- მომავალ მეტოქეებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ვიცით, რომ სამივე გუნდი სერიოზული ძალაა და მათზე ინფორმაციას ვაგროვებთ. სისტემატურად ვადევნებთ თვალს მათ ასპარეზობას.

**- მოწინააღმდეგეების ცოცხლად ნახვასაც ხომ არ გეგმავთ?**

- შვედეთის ნაკრები სერბეთში ჩადის, სადაც 28 და 30 სექტემბერს ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ იქ მეც ჩავალ და მეტოქის თამაშებს დავესწრები. იმედია, ახლოდან დაკვირვების საშუალება სხვა მოწინააღმდეგეებზეც მომეცემა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### სერია A 2010/11. კალენდარი

**I-XX ტური**
**29.08.10–16.01.11**
ბარი-იუვენტუსი
ბოლონია-ინტერი
კიევო-კატანია
ფიორენტინა-ნაპოლი
მილანი-ლეჩე
პალერმო-კალიარი
პარმა-ბრეშა
რომა-ჩეზენა
სამპდორია-ლაციო
უდინეზე-ჯენოა

**II-XXI ტური**
**12.09.10–23.01.11**
ბრეშა-პალერმო
კალიარი-რომა
კატანია-პარმა
ჩეზენა-მილანი
ჯენოა-კიევო
ინტერი-უდინეზე
იუვენტუსი-სამპდორია
ლაციო-ბოლონია
ლეჩე-ფიორენტინა
ნაპოლი-ბარი

**III-XXII ტური**
**19.09.10–30.01.11**
ბარი-კალიარი
კიევო-ბრეშა
ჩეზენა-ლეჩე
ფიორენტინა-ლაციო
მილანი-კატანია
პალერმო-ინტერი
პარმა-ჯენოა
რომა-ბოლონია
სამპდორია-ნაპოლი
უდინეზე-იუვენტუსი

**IV-XXIII ტური**
**22.09.10–02.02.11**
ბოლონია-უდინეზე
ბრეშა-რომა
კალიარი-სამპდორია
კატანია-ჩეზენა
ჯენოა-ფიორენტინა
ინტერი-ბარი
იუვენტუსი-პალერმო
ლაციო-მილანი
ლეჩე-პარმა
ნაპოლი-კიევო

**V-XXIV ტური**
**26.09.10–06.02.11**
ბარი-ბრეშა
კიევო-ლაციო
კატანია-ბოლონია
ჩეზენა-ნაპოლი
ფიორენტინა-პარმა
იუვენტუსი-კალიარი
მილანი-ჯენოა
პალერმო-ლეჩე
რომა-ინტერი
სამპდორია-უდინეზე

**VI-XXV ტური**
**03.10.10–13.02.11**
ბოლონია-სამპდორია
კიევო-კალიარი
ფიორენტინა-პალერმო
ჯენოა-ბარი
ინტერი-იუვენტუსი
ლაციო-ბრეშა
ლეჩე-კატანია
ნაპოლი-რომა
პარმა-მილანი
უდინეზე-ჩეზენა

**VII-XXVI ტური**
**17.10.10–20.02.11**
ბარი-ლაციო
ბრეშა-უდინეზე
კალიარი-ინტერი
კატანია-ნაპოლი
ჩეზენა-პარმა
იუვენტუსი-ლეჩე
მილანი-კიევო
პალერმო-ბოლონია
რომა-ჯენოა
სამპდორია-ფიორენტინა

**VIII-XXVII ტური**
**24.10.10–27.02.11**
ბოლონია-იუვენტუსი
კიევო-ჩეზენა
ფიორენტინა-ბარი
ჯენოა-კატანია
ინტერი-სამპდორია
ლაციო-კალიარი
ლეჩე-ბრეშა
ნაპოლი-მილანი
პარმა-რომა
უდინეზე-პალერმო

**IX-XXVIII ტური**
**31.10.10–06.03.11**
ბარი-უდინეზე
ბრეშა-ნაპოლი
კალიარი-ბოლონია
კატანია-ფიორენტინა
ჩეზენა-სამპდორია
ჯენოა-ინტერი
მილანი-იუვენტუსი
პალერმო-ლაციო
პარმა-კიევო
რომა-ლეჩე

**X-XXIX ტური**
**07.11.10–13.03.11**
ბარი-მილანი
ბოლონია-ლეჩე
ფიორენტინა-კიევო
ინტერი-ბრეშა
იუვენტუსი-ჩეზენა
ლაციო-რომა
ნაპოლი-პარმა
პალერმო-ჯენოა
სამპდორია-კატანია
უდინეზე-კალიარი

**XI-XXX ტური**
**10.11.10–20.03.11**
ბრეშა-იუვენტუსი
კალიარი-ნაპოლი
კატანია-უდინეზე
ჩეზენა-ლაციო
კიევო-ბარი
ჯენოა-ბოლონია
ლეჩე-ინტერი
მილანი-პალერმო
პარმა-სამპდორია
რომა-ფიორენტინა

**XII-XXXI ტური**
**14.11.10–03.04.11**
ბარი-პარმა
ბოლონია-ბრეშა
კალიარი-ჯენოა
ფიორენტინა-ჩეზენა
ინტერი-მილანი
იუვენტუსი-რომა
ლაციო-ნაპოლი
პალერმო-კატანია
სამპდორია-კიევო
უდინეზე-ლეჩე

**XIII-XXXII ტური**
**21.11.10–10.04.11**
ბრეშა-კალიარი
კატანია-ბარი
ჩეზენა-პალერმო
კიევო-ინტერი
ჯენოა-იუვენტუსი
ლეჩე-სამპდორია
მილანი-ფიორენტინა
ნაპოლი-ბოლონია
პარმა-ლაციო
რომა-უდინეზე

**XIV-XXXIII ტური**
**28.11.10–17.04.11**
ბარი-ჩეზენა
ბოლონია-კიევო
ბრეშა-ჯენოა
კალიარი-ლეჩე
ინტერი-პარმა
იუვენტუსი-ფიორენტინა
ლაციო-კატანია
პალერმო-რომა
სამპდორია-მილანი
უდინეზე-ნაპოლი

**XV-XXXIV ტური**
**05.12.10–23.04.11**
კიევო-რომა
კატანია-იუვენტუსი
ჩეზენა-ბოლონია
ფიორენტინა-კალიარი
ლაციო-ინტერი
ლეჩე-ჯენოა
მილანი-ბრეშა
ნაპოლი-პალერმო
პარმა-უდინეზე
სამპდორია-ბარი

**XVI-XXXV ტური**
**12.12.10–01.05.11**
ბოლონია-მილანი
ბრეშა-სამპდორია
კალიარი-კატანია
ჯენოა-ნაპოლი
ინტერი-ჩეზენა
იუვენტუსი-ლაციო
ლეჩე-კიევო
პალერმო-პარმა
რომა-ბარი
უდინეზე-ფიორენტინა

**XVII-XXXVI ტური**
**19.12.10–08.05.11**
ბარი-პალერმო
კატანია-ბრეშა
ჩეზენა-კალიარი
კიევო-იუვენტუსი
ფიორენტინა-ინტერი
ლაციო-უდინეზე
მილანი-რომა
ნაპოლი-ლეჩე
პარმა-ბოლონია
სამპდორია-ჯენოა

**XVIII-XXXVII ტური**
**06.01.11–15.05.11**
ბოლონია-ფიორენტინა
ბრეშა-ჩეზენა
კალიარი-მილანი
ჯენოა-ლაციო
ინტერი-ნაპოლი
იუვენტუსი-პარმა
ლეჩე-ბარი
პალერმო-სამპდორია
რომა-კატანია
უდინეზე-კიევო

**XIX-XXXVIII ტური**
**09.01.11–22.05.11**
ბარი-ბოლონია
კატანია-ინტერი
ჩეზენა-ჯენოა
კიევო-პალერმო
ფიორენტინა-ბრეშა
ლაციო-ლეჩე
მილანი-უდინეზე
ნაპოლი-იუვენტუსი
პარმა-კალიარი
სამპდორია-რომა



შეინარჩუნებს ინტერი ჩემპიონობას?

## ამბები



ევერ ბანეგა

### მარადონას კონსპექტებით

უმწვრთნელოდ დარჩენილი არგენტინის ნაკრები 11 აგვისტოს დუბლინში ირლანდიელთა წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ირლანდიის ნაკრებთან მატჩისთვის მოემზადებიან, სიაში მოხვდნენ „ვალენსიას" ნახევარმცველი **ევერ ბანეგა**, „რეალის" შუახაზელი **ფერნანდო გაგო** და „ნაპოლის" ფორვარდი **ესეკიელ ლავეცი**. მოგეხსენებათ, მეორე დღეა, რაც **დიეგო მარადონა** აღარ არის არგენტინელთა თავკაცი, ამიტომაც დუბლინური სია მწვრთნელის ასისტენტმა და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **სერხიო ბატისტამ** შეადგინა, თუმცა მარადონას მითითებების მიხედვით. ნაკრები მთლიანად ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული.

**მეკარეები** - სერხიო რომერო, მარიანო ანდუხარი.

**მცველები** - მარტინ დემიკელისი, ვალტერ სამუელი, ნიკოლას ბურდისო, გაბრიელ ჰაინცე, ფაბრიციო კოლოჩინი, ემილიანო ინსუა, პაბლო საბალეტა.

**ნახევარმცველები** - ანხელ დი მარია, მაქსი როდრიგესი, ხავიერ მასკერანო, ხონას გუტიერესი, მარიო ბოლატი, ხავიერ პასტორე, ხესუს დატოლო, ფერნანდო გაგო, ევერ ბანეგა.

**ფორვარდები** - სერხიო აგუერო, კარლოს ტევესი, გონსალო იგუაინი, ლიონელ მესი, დიეგო მილიტო, ესეკილ ლავეცი.

### მატიონი 5 წლით ესპანიოლში




ფელიპე მატიონი

„ესპანიოლმა" „მალიორკას" მარჯვენა მცველი **ფელიპე მატიონი** შეიძინა. მან ახალ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სხვათა შორის, 21 წლის ბრაზილიელით ბევრი კლუბი იყო ესპანეთში დაინტერესებული, მათ შორის „ბარსელონაც", მაგრამ ფეხბურთელმა ყველას „ესპანიოლი" არჩია. შარშან მატიონი „მილანში" ირიცხებოდა და სეზონში 1 მატჩიც ითამაშა იტალიურ კლუბში, შემდეგ კი „მალიორკაში" გადავიდა, სადაც 21 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

### მუნდიალის მოსურნენი: ავსტრალია შეაქეს

2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ავსტრალიელთა განაცხადი სრულ მზადყოფნაშია - განაცხადეს, ფიფას ინსპექტორებმა სანამ ქვეყანას დატოვებდნენ. ფიფას წარმომადგენლებმა ავსტრალიის 10 ქალაქის 12 სტადიონი შეამოწმეს, სადაც შეიძლება ჩატარდეს მსოფლიოს ჩემპიონატი. ფიფას ჩინოსნებმა აღნიშნეს, რომ ავსტრალიელებს ყველაფერი წესრიგში აქვთ და მათ თავისუფლად შეუძლიათ დათქმულ ვადაში ჩემპიონატის მაღალ დონეზე მასპინძლობა. შეგახსენებთ, რომ მომდევნო მუნდიალი 2014 წელს ბრაზილიაში გაიმართება. 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას ბელგია და ჰოლანდია (ერთად), ინგლისი, რუსეთი, პორტუგალია და ესპანეთი (ერთად) და აშშ აცხადებენ. 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა კი ავსტრალიას, იაპონიას, ყატარს და სამხრეთ კორეას სურთ. მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს შემდეგ კი გადაიფიქრეს ინდონეზიამ და მექსიკამ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

# იუვენტუსი აოგოს ადასტურებს

„ჰამბურგისა" და გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველი **დენის აოგო** მომავალ კვირაში შვებულებიდან დაბრუნდება და პირველი, რასაც მოიმოქმედებს, ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა იქნება. ჰამბურგელებს უნდათ, რომ 23 წლის პერსპექტიულმა მცველმა ახალი კონტრაქტი გააფორმოს. მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2012 წლამდე აქვს. „ჰამბურგის" ბოსები იმის გამო ჩქარობენ, რომ ტურინის „იუვენტუსი" აოგოს გადაბირებით უკვე ძალიან სერიოზულადაა დაინტერესებული. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, რა უნდა თვითონ ფეხბურთელს - ჰამბურგში დარჩენა თუ იტალიაში გადასვლა?

*„მარცხენა მცველი გვჭირდება და დენის აოგო სასურველ კანდიდატებს შორის ფავორიტია"*, - ეს სიტყვები „იუვენტუსის" სპორტულ დირექტორ **ჯუზეპე მაროტას** ეკუთვნის. „ბებერი ქალბატონის" დაინტერესება ფეხბურთელის მრჩეველმა **გორდონ სტიპიჩმაც** დაადასტურა: *„ის ფაქტი, რომ „იუვეს" დენისის გადაბირება ძალიან უნდა, ჭორი არ არის. ეს სრული სიმართლეა!"*

სტიპიჩი თავის კლიენტს ამ კვირაში შეხვდება და აოგო გადაწყვეტილებას მიიღებს. ფაქტია, რომ მნიშვნელოვანი როლი ექნება იმას, თუ როგორ ხელფასს შესთავაზებს „ჰამბურგი" ფეხბურთელს. აოგოს ჯამაგირი დღეს წელიწადში 800 000 ევროს შეადგენს და თუ ჩრდილოგერმანელებს სურთ, რომ აოგომ „იუვენტუსში" გადასვლაზე უარი თქვას, ჯიბეზე გვარიანად უნდა გაიკრან ხელი...

# ხედირა რეალს ყველაფერზე შეუთანხმდა

გერმანიის ნაკრებისა და „შტუტგარტის" საყრდენი ნახევარმცველი **სამი ხედირა** მადრიდის „რეალს" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. გუშინ ფეხბურთელის მრჩეველმა **იორგ ნიბაუერმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ხედირას და „რეალს" შორის შეთანხმება მიღწეულია. *„ჩვენ „რეალის" ხელმძღვანელებს უკვე ყველაფერზე მოვურიგდით. ახლა მთავარია, რომ კლუბებმა მოილაპარაკონ. თუ „რეალი" და „შტუტგარტი" შეთანხმდებიან, ტრანსფერი შედგება,"* - განუცხადა ნიბაუერმა „ბილდს".

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ახლა საქმე მხოლოდ სატრანსფერო თანხას ეხება. ალსანიშნავია, რომ ხედირას შვაბურ კლუბთან კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლითღა აკავშირებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს „შტუტგარტის" ბოლო შანსია, ფეხბურთელში ფული აიღოს. კლუბის ახალი მენეჯერი **ფრედი ბობიჩი** ამბობს, ხედირას შენარჩუნება ძალიან კი გვინდა, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, გამოსავალი უნდა მოვძებნოთო.

უკვე ცნობილია, რომ ხედირას „შტუტგარტიდან" წასვლა და „რეალში" გადასვლა უნდა. სამიმ მადრიდული გრანდი იმის გამო დააინტერესა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად იასპარეზა - ხედირამ მუნდიალზე, გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვაში, **ბასტიან შვაინშტაიგერთან** ერთად იდეალური ტანდემი შექმნა. ისიც უნდა ითქვას, რომ ხედირას „რეალის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის ჩინებული შანსი ექნება, მადრიდში მისი კონკურენტები **ფერნანდო გაგო, მაჰამადუ დიარა** და **ლასანა დიარა** იქნებიან.

ტრანსფერი




# სუპერვარსკვლავი შალკეში

## რაულმა გელზენკირხენში 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

გუშინ, გელზენკირხენის „შალკესთვის" ისტორიული დღე იყო: **ლევან ყენიას** კლუბმა მადრიდის „რეალის" ან უკვე ყოფილი ლეგენდარული თავდამსხმელი **რაული** ოფიციალურად წარადგინა. „შალკეს" ხელმძღვანელებმა და გულშემატკივრებმა 33 წლის ესპანელს გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს.

რაულმა „ფელტინს არენა აუფ შალკეს" მინდორზე ლურჯი ხალიჩის გავლით შეაბიჯა და ალბათ ცოტათი გაკვირვებული იყო იმით, რომ მის ოფიციალურ წარდგენას 1000-ზე მეტი ფანი არ დაესრო. ზოგადად, „შალკეს" ევროპაში ფანების ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს და ამდენად ორმაგად გასაოცარია, რომ რაულის პრეზენტაციამ მხოლოდ 1000 ქომაგის თვალწინ ჩაიარა. შედარებისთვის: შარშან, დორტმუნდის „ბორუსიამ" **ლუკას ბარიოსი** რომ წარადგინა, ამ „ლონისძიებას" „დორტმუნდის" 13 000 ქომაგი დაესწრო. თუმცა „აუფ შალკეზე" შეკრებილმა ქომაგებმა ის მაინც მოიფიქრეს, რომ რაულს ესპანეთის დროშებით დახვდნენ...

*„დღეს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული დღეა,* - ასე დაიწყო რაულმა დამსწრე საზოგადოებისთვის მიმართვა, *- 16 წლის შემდეგ, მადრიდის „რეალი" დავტოვე. 16 წელია, სხვა კლუბის ფორმა არ მცმია და დღეს პირველად უნდა ჩავიცვა კლუბის მაისური, რომელიც ლურჯია. „შალკე" ჩემთვის ახალი, უდიდესი გამოწვევაა. ასე რომ არ იყოს, ახლა აქ არ ვიქნებოდი. დღეს ძალიან ბევრმა ნაცნობმა თუ მეგობარმა დამირეკა და მკითხა, რატომ გადმოვდივარ „შალკეში". ეს არის კლუბი, რომელმაც ჩემი გადაბირებისთვის ყველაზე მეტი გააკეთა, ყველაზე მეტად მოინდომა და მე ვაფასებ ამ მონდომებას. მივხვდი, რომ „შალკეს" ძალიან ვჭირდებოდი და მეც სწორედ იქ მინდა ყოფნა, სადაც ყველაზე მეტად ვარ საჭირო. ბუნდესლიგა ჩემთვის ყოველთვის საინტერესო იყო, ეს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. გერმანიაში კლუბები მომხიბვლელ ფეხბურთს თამაშობენ. ამიტომაც ვარ აქ."*

ამ სიტყვების შემდეგ, გელზენკირხენული კლუბის თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** რაულს შვიდნომრიანი მაისური გადასცა და თქვა: *„ბედნიერი ვარ, რომ დღეს შეგვიძლია, ფანებს ისეთი სუპერვარსკვლავი წარვუდგინოთ, როგორიც რაულია. მისი შესაძლებლობები, წარმატებები და მისი პერსონა მაძლევს უფლებას, ვთქვა, რომ ეს ფეხბურთელი „შალკესთვის" უდიდესი შენაძენია. 1958 წლის შემდეგ „შალკე" გერმანიის ჩემპიონი აღარ ყოფილა. იმედი მაქვს, რომ ამას რაულთან ერთად მოვახერხებთ!"*

ამის შემდეგ, მაგათმა სიტყვა კვლავ რაულს გადასცა, რომელმაც მიზნებზე უფრო კონკრეტულად ისაუბრა: *„ცხადია, ჩვენი მიზანი გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „შალკე" ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობს. იმედი მაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ვიასპარეზებთ და მინიმუმ ჯგუფიდან გავალთ. ფაქტი ერთია: ეს სეზონი „შალკესთვის" ძალიან ენერგიული იქნება. იმედია, წარმატებულიც!"*

გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, თითქოს რაულს „რეალის" წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ექნება (თუკი მადრიდული კლუბი „შალკეს" შეხვდება), რაც რაულმა და მაგათმა ერთხმად უარყვეს. *„კონტრაქტში არანაირი პუნქტი არ არსებობს, რომელიც რაულს რამეს უკრძალავს,"* - თქვა მაგათმა და იქვე დასძინა, ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ „რეალს" ჩემპიონთა ლიგის ფინალში შევხვედროდითო.

### პირველი ვარჯიში 2000 ფანის თვალწინ

რაული და „შალკე" ორწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ და ხელშეკრულება გუშინვე გაფორმდა. დილას, რაულმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, „აუფ შალკეზე" წარდგენის შემდეგ კი, გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა. აი, ვარჯიშს კი უკვე 2000 ქომაგი დაესწრო.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ რაულის დებიუტი „შალკეში" ამავე შაბათს შედგება - „ლიგა ტოტალის" თასზე, „ჰამბურგის" წინააღმდეგ მატჩში. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იმის გამო, რომ ესპანელმა გოლეადორმა „შალკეს" უფასოდ მიაშურა, მისი ხელფასი საკმაოდ დიდი იქნება - გონსალეს ბლანკო გელზენკირხენულ კლუბში წელიწადში 6 მილიონ ევროს მიიღებს. ეს ბუნდესლიგის მასშტაბებით მართლაც უდიდესი ხელფასია, მაგრამ რაული ამაზე ნაკლებს არც იმსახურებს. თავად განსაჯეთ: 228 გოლი პრიმერადივიზიონის 550 მატჩში და 66 გოლი ჩემპიონთა ლიგაში - რაული ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გოლეადორია.

შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ რაულ გონსალეს ბლანკო ხუთი შვილის მამაა და „რეალის" ღირსებას 1992 წლიდან იცავდა. შესაძლოა, არც ის იცოდეს ვინმემ, რომ 33 წლის ლეგენდარულ გოლეადორს კარიერის განმავლობაში არასდროს მიუღია წითელი ბარათი...

„შალკეში" გადასვლის მთავარი მიზეზი კი რა თქმა უნდა, ის არის, რომ „რეალში" აღარ ათამაშებდნენ. გასულ სეზონში რაული უმეტესად სათადარიგოთა სკამს ხეხავდა და ასე იქნებოდა მომავალ სეზონშიც. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უკვე 33 წლისაა, „რეალი" დატოვა და „შალკეში" ახალ თავგადასავლებს ეძებს. მაგათი ასი პროცენტით დარწმუნებულია, რომ რაული მის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული ფეხბურთელი იქნება. გონსალეს ბლანკო თვითონაც ამბობს, ერთი მისია მაქვს შესასრულებელი და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ მიზანსაც მივაღწიოო. საქმე ისაა, რომ მას ევროტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობა უნდა. ამ დროისთვის რაული იტალიელ **ფილიპო ინძაგისთან** ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. რაულს და ინძაგის ევროტურნირებზე 68 გოლი აქვთ გატანილი.

რაული ექვსჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა (1998, 2000, 2002) და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი (1998, 2002). სამაგიეროდ, ის ხელმოცარული დარჩა ესპანეთის ნაკრებში, სადაც ტიტული არ მოუგია. 2008 წელს ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდა და რაული იმ დროს ნაკრების წევრი უკვე აღარ იყო (აღარაფერს ვამბობთ „ფურია როხას" წლევანდელ ტრიუმფზე). თუმცა მანამდე რაულმა ესპანეთის ნაკრებში 102 მატჩი ჩაატარა და 44 გოლი გაიტანა, რითაც ესპანეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

„შალკეს" ხელმძღვანელებმა რაული პირველ რიგში იმის გამო შეიძინეს, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით იასპარეზოს. „რეალიდან" „შალკეში" გადასული კიდევ ერთი ფეხბურთელი, **კრისტოფ მეტცელდერი** ამბობს, რაული ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგას 17 წლის ასაკიდან იცნობს და თუ ვინმემ იცის, რას ნიშნავს ჩემპიონთა ლიგა, ეს პირველ რიგში რაულზე ითქმისო.

ამბობენ, რომ მეტცელდერს რაულის ტრანსფერში ლომის წილი მიუძღვის, მაგრამ თვითონ კრისტოფის თქმით, მან მხოლოდ კონტაქტი დაამყარა და ცოტა ითარჯიმნა, რაულის „შალკეში" გადასვლა კი მთლიანად **ფელიქს მაგათის** დამსახურებააო. სწორედ „დესპოტმა ფელიქსმა" დაარწმუნა ესპანელი იმაში, რომ ის მადრიდის „რეალიდან" გელზენკირხენის „შალკეში" უნდა გადასულიყო.

ჩვენ კი დავძენთ, რომ იმედია, **ლევან ყენია** მალე გამოჯანმრთელდება, ფორმაში ჩადგება და რაულს იდეალური პასებით მოამარაგებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ამბები

# ვოლფსბურგი: ტიმოშჩუკი თუ მონტოლივო?

გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე 22 დღეა დარჩენილი. ექსჩემპიონი „ვოლფსბურგი" შაბათიდან ახალი სეზონისთვის მზადების აქტიურ ფაზაში შედის, რადგან შაბათს გუნდის მთავარი მწვრთნელის, **სტივ მაკლარენის** განკარგულებაში ყველა ფეხბურთელი იქნება - მათ შორის ისინიც, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. „მგლებს" ახალწვეულებიც შეუერთდებიან. „ვოლფსბურგის" გულშემატკივრები ყველაზე დიდი ინტერესით „ჰერტადან" ნაყიდ **არნე ფრიდრიხს** ელოდებიან.

მიუხედავად განხორციელებული ტრანსფერებისა, „ვოლფსბურგს" სატრანსფერო აქტივობები ჯერ არ დაუმთავრებია. „მგლები" პირველ რიგში მაღალი კლასის თავდამსხმელს ეძებენ, ისეთ ფორვარდს, რომელიც წინა ხაზზე ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშებს. იყო საუბრები **ჰატემ ბენ არფას** შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი ალბათ მაინც „ნიუკასლში" გადავა. „ვოლფსბურგს" **ბრაიან რუისის** (ტვენტედან) შეძენაც უნდოდა, მაგრამ გერმანული კლუბის მხრიდან ინტერესმა იკლო.

ამრიგად, სანამ „მგლებს" ახალი თავდამსხმელი არ უყიდიათ, გამორიცხულია, რომ ბრაზილიელმა **გრაფიტემ** „ვოლფსბურგი" დატოვოს. თუმცა „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ ყაზანის „რუბინთან" მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა და მხოლოდ შეჩერდა - ტრანსფერი არ ჩაშლილა.

მაკლარენი მაღალი კლასის საყრდენ ნახევარმცველსაც ითხოვს და მას მერე, რაც **მიხაელ ბალაკმა** „ვოლფსბურგში" გადასვლაზე უარი თქვა, მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** სხვა კანდიდატებზე გადაიტანა ყურადღება. **სამი ხედირამ** კარიერის „ვოლფსბურგში" გაგრძელება სასტიკად იუარა, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი - მას ხომ „რეალი" ეპატიჟება. სამაგიეროდ, ვოლფსბურგელებმა ბრაზილიელი **სისერო** (ჰერტადან) შეიძინეს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო შემქმნელი ნახევარმცველია. მაკლარენს კი ტიპური ჩამშლელი სურს. უახლესი ინფორმაციით, „ვოლფსბურგი" „ბაიერნის" უკრაინელ „ექვსიანს" **ანატოლი ტიმოშჩუკს** უმიზნებს, რომელიც მიუნხენურ გრანდში სათადარიგოთა სკამს ხეხავს და არც მომავალ სეზონში ითამაშებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მასთან ერთად, „ვოლფები" ფლორენციის „ფიორენტინასთანაც" აწარმოებენ მოლაპარაკებებს - **რიკარდო მონტოლივოს** თაობაზე, რომელიც საკმაოდ კარგად საუბრობს გერმანულად.

ამასობაში, ესპანური „ასის" ცნობით, მადრიდის „ატლეტიკო" მზადაა, „ვოლფსბურგს" ფლეიმეიკერ **ზვიეზდან მისიმოვიჩში** 9 მილიონი ევრო შესთავაზოს...

# ტოტენჰემი: 16 მილიონი იოზილში

მომავალ უქმეებზე, გერმანიის ნაკრების 21 წლის გამთამაშებელი **მესუთ იოზილი** ბრემენში დაბრუნდება და „ვერდერს" შეუერთდება. შვებულება მასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის გამო გაუხანგრძლივდა. რაც დრო გადის, იოზილის მსურველთა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს და რეალური ხდება ის, რომ მესუთმა „ვერდერი" ახლავე დატოვოს.

ყველაზე მეტად ინგლისური კლუბები აქტიურობენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის", „ჩელსისა" და „არსენალის" შემდეგ, იოზილს თვალი „ტოტენჰემმაც" დაადგა. ინგლისური გაზეთ „დეილი მირორის" ინფორმაციით, „ტოტენჰემი" მზადაა, ბრემენულ კლუბს ახალგაზრდა ნახევარმცველში 16 მილიონი ევრო გადაუხადოს. ალსანიშნავია, რომ ინგლისური ბუკმეიკერები უკვე ფსონებსაც ჩამოდიან იმაზე, თუ ვინ ჩაიგდებს ხელში იოზილს. კოეფიციენტების მიხედვით, ფავორიტი **სერ ალექს ფერგიუსონია...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

ლიგა 1. საზაფხულო მიდი-მოდი

# საფრანგეთის მოკრძალებული ხიბლი

გუშინ საფრანგეთის სუპერთასის მატჩით დაიწყო ამ ქვეყნის საფეხბურთო სეზონი. სუპერთასი ჩემპიონ „მარსელსა" და თასის მფლობელ „პარი სენ ჟერმენს" შორის ტუნისში გაიმართა. ლიგა 1-იც მალე დაიწყება, 7 აგვისტოს უკვე პირველი ტურია. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოს ბოლომდე ღიაა, ფრანგულმა გუნდებმა დაკომპლექტება თითქმის დაასრულეს.

ინგლისისა და ესპანეთისაგან განსხვავებით ფრანგულ ტრანსფერებში ასტრონომიულ თანხებს ვერ ნახავთ. მაგალითად, ამ სატრანსფერო სეზონის ყველაზე „ხმაურიანი" ტრანსფერი ესპანელი მცველის **სესარ ასპილიკუეტას** გადასვლაა „ოსასუნადან" ჩემპიონ „მარსელში". სამხრეთელებს ნავარელი მარჯვენაფლანგელი 7 მილიონი ევრო დაუჯდა. 6 მილიონ ევროდ იყიდა „ლიონმა" „რენის" ფორვარდი **ჯიმი ბრიანი**, რომელიც საფრანგეთის ნაკრების წევრია. 5,5 მილიონ ევროდ გადავიდა ბრაზილიელი ბომბარდირი **ნენე** „პარი სენ ჟერმენში", შარშანდელი სეზონი მან „მონაკოში" გაატარა. გავარდნილი „ლე მანის" ლიდერი **ანტონი ლე ტალეკი** „ოსერს" სულ რაღაც 3 მილიონი ევრო დაუჯდა, თუმცა საფრანგეთის მასშტაბით ეს დიდი თანხაა.

მორიგი ჩემპიონატი, რომელიც 7-8 აგვისტოს აიღებს სტარტს, რიგით 73-ეა. ახალი სეზონის ოფიციალური ბურთი გერმანულმა „პუმამ" დაამზადა.

### არლი

**მოვიდნენ**: პლანტე (სენტ ეტიენი), კერმორგანტი (ლესტერი, ინგლისი), ერბატე (მოღრებ ტეტუანი, მაროკო), ლორენი (ლანსი), ნაჯი (კლერმონი), აიტ ბენ იდირი (ლე ავრი), კაბელა (მონპელიე), ბუაზა (ბლექპული, ინგლისი).

**ნავიდნენ**: დალე (უნირეა, რუმინეთი), აიუ (მარსელი), რეინო (შატორუ), სირილი (ამიენი), ესორი (კლერმონი), ლირონი, სანსი (ბასტია).

### ოსერი

**მოვიდნენ**: ლე ტალეკი (ლე მანი), ლანჟილი (კაენი), კიტამბალა (დიჟონი), ჯონსონი (ამიენი).

**ნავიდნენ**: ნიკულაე (მონაკო), ნარი (ლე მანი), კაპუე (ნანტი), პოპოვი, დუფური (შატორუ), ლეჟუნი (ტური).

### ბორდო

**მოვიდნენ**: ტიგანა (მწვრთნელი), სავიჩი (ბელგრადი, სერბეთი), დიაბატე (ნანსი), აიტე (ნანსი), დიუკასი (ლორიანი), ოლიმპა (ანჟერი), ლანე (შატორუ), მოიმბე (აიაჩო), მარანჟი (ნანსი).

**ნავიდნენ**: ბლანი (მწვრთნელი), შამახი (არსენალი, ინგლისი), მოიმბე (ტური), პლასენტე (სან ლორენსო, არგენტინა), ფარნოლი (კლერმონი).

### ბრესტი

**მოვიდნენ**: ნგოი (პსჟ), დარლასი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), დენეუ (შატორუ), ლიჩკა (ბანიკი, ჩეხეთი), მიკოლა (ბანიკი, ჩეხეთი), ტრაორე (ქუევილი), ლორენზი (ბასტია).

**ნავიდნენ**: ოტრე (ლორიანი), სოკრიე (აიაჩო), ბუარი (ვანი), ლორენი (ლანსი), ლე გალი, სიტრუკი (ვიტრე), ფაბიენი (ბულონი), ტომასი.

### კაენი

**მოვიდნენ**: ჰამუმა (ლავალი), ლაზარევიჩი (ოფკ, სერბეთი), მარკი (ბულონი), მოლო (მონაკო), კ. ტრაორე (სოშო).

**ნავიდნენ**: ლანჟილი (ოსერი), ელუშანსი (უნივერსიდადი, ჩილე), ტუდიჩი (რეიმსი), ფლორენტინი (ანჟერი), პრომენი (ანთალიასპორი, თურქეთი), მუსტაფა, ნდიაე, ტრაორე, დიკამონა.

### ლანსი

**მოვიდნენ**: ს. კეიტა (ხერესი), პოლე (პარიზი), ელ ადუა (ნანტი), დუმენი (ტური), გოემანი (ცვოლე, ბელგია), მონროსი (შატორუ).

**ნავიდნენ**: არუნა (ალ შორტა, ყატარი), მილოვანოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), ლორენი (არლი), ვ. რემი (კრეტეი), გუზუი (ნიორი).



სესარ ასპილიკუეტა

### ლილი

**მოვიდნენ**: სოუ (რენი), ფოვერჟი (სტრასბური), ბასეია.

**ნავიდნენ**: ვიტეკი (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), ფოვერჟი (სედანი), ბენზერგა (ნანტი), ბუტელი (ნიმი), ფრანკუარი (შარლერუა, ბელგია), ობამეიანი (მილანი, იტალი), რივიერესი.

### ლორიანი

**მოვიდნენ**: ეკუელ მანგა (ანჟერი), ოტრე (ბრესტი), რომაო, კოკელინი (არსენალი, ინგლისი), რესე (ვანი).

**ნავიდნენ**: კოშილნი (არსენალი, ინგლისი), ვაირუა (ნანსი), მარშალი (სენტ ეტიენი), დიუკასი (ბორდო), მანსური (ალ საილია, ყატარი).

### ლიონი

**მოვიდნენ**: ბრიანი (რენი), პიკიონი (პორტსმუთი, ინგლისი), მენსა (სანდერლენდი, ინგლისი), პიედი (მეცი).

**ნავიდნენ**: ბოდმე (პსჟ), გოვუ (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), კლერი, პიკიონი (ვესტ ჰემი, ინგლისი).

### მარსელი

**მოვიდნენ**: ასპილიკუეტა (ოსასუნა, ესპანეთი), აეუ (არლი), სამასა (ვალანსიენი), საბო (აიაჩო), ნდიაე (აიაჩო).

**ნავიდნენ**: ბ. კონე (ალ-შორტა, ყატარი), ბონარი, ბოკალი (მონპელიე), როოლი, მორიენტესი, ფომენი (დიჟონი).

### მონაკო

**მოვიდნენ**: ნიკულაე (ოსერი), ჰანსონი (რენი), ობემიანგი (მილანი), გაკპე (ტური), ნიმანი (ბარნლი), დიასი (აიაჩო), გუდიონსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), შაბერი (შარლერუა, ბელგია).

**ნავიდნენ**: კომტა (პსჟ), პინო (გალათასარაი, თურქეთი), სამბოუ (ატრომიტოსი, საბერძნეთი), მოდესტო (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), პიუგრენიე (ზენიტი, რუსეთი), მააზუ (ცსკა, რუსეთი), მოლო (კაენი), შიმიჩი, მიულერი, ლეკო, ტურამი (ტური).

### მონპელიე

**მოვიდნენ**: ჟირუ (ტური), ესტრადა (უნივერსიდადი, ჩილე), კებზე (რუბინი, რუსეთი), ბოკალი (მარსელი), არმანი (კლერმონი).

**ნავიდნენ**: [illegible]სტა (ვალენსია), მონტანიო (რენი), კარასო (რენი), ბენჰა[illegible], კოლომბო, კაბელა (არლი).

### ნანსი

**მოვიდნენ: ვაირუა (ლორიანი)**, ნგუემო (სელტიკი, შოტლანდია), **გავანონი (სოშო)**, ელდერი (რაპიდი, რუმინეთი), კალვე (**გრენობლი**).

**ნავიდნენ**: დია (ფენერბაჰჩე, თურქეთი), კა (ტური), მაკალუზო (ვერაკრუსი, მექსიკა), ელდერი (დინამო, რუმინეთი), უადუ (ლახვია, ყატარი), დიაბატე (ბორდო), აიტე (ბორდო), კურბელო, გაუდო, ლაპეირი, მარანჟი (ბორდო), კამერლინგი.

### ნიცა

**მოვიდნენ**: სიველი (სან ლორენსო, არგენტინა), მოდესტე (ანჟერი), პეიჩინოვიჩი (რადი, სერბეთი).

**ნავიდნენ**: აპამი (რენი), დიგარი (მიდლსბრო, ინგლისი), ეშუაფნი (კარიერა დაასრულა), ენოხი (ნორდსიელანდი, ნორვეგია), სიდი (კარიერას ასრულებს).

### პსჟ

**მოვიდნენ**: ნენე (მონაკო), ბოდმე (მარსელი), როტენი (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), არნო (კლერმონი).

**ნავიდნენ**: ნგოი (ბრესტი), გრონდინი, პარტუში, ლეტელიე (ანჟერი).

### რენი

**მოვიდნენ**: დალმა (სოშო), მონტანიო (მონპელიე), კარასო (მონპელიე), მანდჯეკი (შტუტგარტი, გერმანია), აპამი (ნიცა), ონიანგი (ანჟერი), ბრაჰიმი (კლერმონი), სუპრაენი (დიჟონი), კამარა (ვანი), დემბელე (ბულონი), მულუმბა (ამიენი).

**ნავიდნენ**: ბრიანი (ლიონი), სოუ (ლილი), ჰანსონი (მონაკო), ბოკანეგრა (სენტ ეტიენი), ეჩიეჯილი (ბრაგა, პორტუგალია), ლემარშანი, პაჟისი, ლუზი, პაჟო (ბულონი), ლასიმანი.

### სენტ ეტიენი

**მოვიდნენ**: ბოკანეგრა (რენი), ებონდო (ტულუზი), მარშალი (ლორიანი), ბატლე (გრენობლი), ნდია (ნანტი), გრაქსი (გენგამი).

**ნავიდნენ**: მირალიაში (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დაბო (სევილია, ესპანეთი), დიახატე (დინამო, უკრაინა), ტავრალიდისი (ლარისა, საბერძნეთი), ვარო, ფერნანდესი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პლანტე (არლი).

### სოშო

**მოვიდნენ**: სოუე (გრენობლი), ანინი, სენე (ლე მანი), მაიგა (ლე მანი).

**ნავიდნენ**: დალმა (რენი), გავანონი (ნანსი), იოკიჩი (კიევო, იტალია), კ. ტრაორე (კაენი), პრივატი (კლერმონი), ენსა-იამისი (ამიენი).

### ტულუზი

**მოვიდნენ**: გუნინო (დანუბიო, ურუგვაი), პენტეკო (ბასტია), ბენ იედერი (ალფორვილი).

**ნავიდნენ**: ბლონდელი, კაზიმ-რიჩარდსი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ლარსონი (დუისბურგი, გერმანია), ებონდო (სენტ ეტიენი), ბერსონი, დუპუა (შატორუ), ნდიაე, ნგადი.

### ვალანსიენი

**მოვიდნენ**: აბუბაქარი (კოტონსპორტი, კამერუნი), ნზაი მფუი (სერვეტი, შვეიცარია), პალოა (ქუვილი).

**ნავიდნენ**: სამასა (მარსელი), ნდი ასემბე (ნანტი), ხიტერი (სტრასბური), ტრაორე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სატრანსფერო ბაზარზე


სკოტ პარკერი

# როგორ მუშაობენ ჩაქუჩები?

„ვესტ ჰემმა" **სკოტ პარკერს** ახალი კონტრაქტი შესთავაზა: ხუთ წელიწადში 20 მილიონ ფუნტს გადაუხდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ლონდონელები ამ ფეხბურთელს თავიანთ საკვანძო ფიგურად მიიჩნევენ. გეხსომებათ, „ჩაქუჩების" თავმჯდომარემ და თანამეპატრონე **დევიდ სალივანმა** გასული სეზონის მიწურულს განაცხადა, პარკერის გარდა „აპტონ პარკიდან" მთელი გუნდის გაშვება შეიძლებაო და ამ განცხადებით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. არადა, ფაქტია, „ვესტ ჰემი" გასულ სეზონში გავარდნას დიდწილად ამ მობილური ნახევარმცველის წყალობით გადაურჩა.

29 წლის მოთამაშემ პრემიერლიგაში კარგად რომ ითამაშა იქიდანაც ჩანს, რომ მას ყურადღება ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომაც** მიაქცია და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ავსტრიაში წაიყვანა, სადაც გაფართოებულ, 30 კაციან შემადგენლობაში ავარჯიშა და აკვირდებოდა. სხვა საქმეა, რომ ავსტრიული შეკრების შემდეგ, პარკერი ინგლისში დაბრუნდა - იმ 7 მოთამაშეს შორის მოხვდა, რომელიც იტალიელმა მწვრთნელმა სამხრეთ აფრიკაში აღარ წაიყვანა, მაგრამ მისით უკვე სხვა კლუბების მწვრთნელები დაინტერესდნენ. ამ მწვრთნელებს შორის იყვნენ „ასტონ ვილასა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცები **მარტინ ონილი** და **ჰარი რედნაპი** - ამ უკანასკნელს, როგორც იცით, ამ სეზონში თავისი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაჰყავს. რაღ უნდა ლაპარაკი, ონილსა და რედნაპს პარკერის შეძენისკენ თავად სალივანის სიტყვებიც უბიძგებდა - „ვესტ ჰემის" თავმჯდომარემ სულ ახლახან, გასულ კვირაში თქვა, პარკერი რომ დავიტოვო, ფული არ მაქვსო, მაგრამ ბოლო დღეებში ყველაფერი შეიცვალა და დღეს სალივანს იმედი აქვს, რომ მისი ფავორიტი ნახევარმცველი კვირაში 75 ათას ფუნტს დაყაბულდება. აქ, უნდა განვმარტოთ, რომ პარკერს ძველი, ჯერ კიდევ მოქმედი ხელშეკრულების თანახმად „ჩაქუჩებში" სამი წელიწადი აქვს სათამაშო.

სკოტ პარკერმა კარიერა „ჩარლტონ ატლეტიკში" დაიწყო, საიდანაც შემდეგ „ნიუკასლ იუნაიტედში" მოხვდა, ხოლო „ნიუკასლიდან", სამი წლის წინ, 7 მილიონ ფუნტად „ვესტ ჰემმა" იყიდა. იმხანად ლონდონელების კლუბს ისლანდიელები **ეგეტ მაგნუსონი** და **ბიორგოლფურ გუდმუნდსონი** ფლობდნენ და ფულსაც ხელგაშლილად ახარჯავდნენ. ფეხბურთელებს, მათ რიცხვში, ბუნებრივია პარკერსაც გვარიანი ხელფასები ჰქონდათ და ფეხბურთელის თავდადებაც უსაზღვრო იყო. ნახევარმცველით „ვესტ ჰემის" ფანებიც აღფრთოვანებულები გახლდნენ - ის მათ „წლის ჩაქუჩადაც" კი დაასახელეს. ეს ფეხბურთელი ძალიან მოსწონს გუნდის ახალ მწვრთნელს **ავრამ გრანტსაც**, რომელმაც „ვესტ ჰემი" **ჯანფრანკო ძოლასგან** გასული სეზონის დასრულების შემდეგ ჩაიბარა.

*„ჩვენ მუშაობა კარგ მოთამაშეებთან უნდა გავაგრძელოთ - თქვა გრანტმა, - გუნდში გამოცდილი, მაღალი დონის ფეხბურთელების ყოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ფაქტია, სკოტ პარკერი ერთ-ერთი მათგანია".*

ზოგადად, სალივანისა და მისი ბიზნესპარტნიორის **დევიდ გოლდის** გეგმა ხარჯის, მათ რიცხვში ხელფასების შემცირება გახლდათ. ამ ორმა ბიზნესმენმა „ვესტ ჰემი" იანვარში თავისი ვალიანად იყიდეს - ლონდონელთა ვალი 100 მილიონ ფუნტს აღემატება - და მკაცრი რეფორმების გატარება განიზრახეს, რასაც, ალბათ, გააკეთებენ კიდეც, თუმცა, როგორც ხედავთ, საკვანძო ფიგურებისთვის მათ ფული არ ენანებათ.

სხვათა შორის, ამ ზაფხულს „ვესტ ჰემმა" სცადა „აპტონ პარკზე" **ჯო კოული** და **ტიერი ანრი** ჩაეყვანა - ფაქტია, გოლდისა და სალივანის მხრიდან ეს ფრიად თამამი ნაბიჯი გახლდათ, მაგრამ თამამი თამამად და წარუმატებელიც გამოდგა. ასევე თამამი გახლდათ ბოლო დროს ნაქები „ნიცას" თავდამსხმელის **ლოიკ რემის** გადაბირების სურვილიც. „ვესტ ჰემმა" ფრანგულ კლუბს 11 მილიონი ფუნტი (13,12 მილიონი ევრო) შესთავაზა, მაგრამ ფრანგებმა თანხის ორი მესამედის წინასწარ გადახდა სთხოვეს და მოლაპარაკებებსაც აქ დაესვა წერტილი. იყო კიდევ ერთი ვარიანტი: ნორვეგიულ „ვალერენგაში" თამაშობს ფორვარდი **მოჰამედ აბდელაიე**. ის 24 წლისაა და მხოლოდ და მხოლოდ 2,4 მილიონი ევრო ღირს, მაგრამ ბოლო ცნობების თანახმად ლონდონელებმა ვერც აქ ივარგეს - „ვალერენგა" უკვე გარიგებია ბუნდესლიგის კლუბ „ჰოფენჰაიმს".

ახლა კი იმ ფეხბურთელების შესახებ, ვინც ავრამ გრანტმა უკვე იყიდა. ისენი არიან „ასტონ ვილას" ყოფილი ნახევარმცველი, გერმანელი **თომას ჰიცლშპერგერი**, „ლიონისგან" ნაყიდი ფრანგი **ფრედერიკ პიკიონი**, რომელიც, გასულ სეზონში „პორტსმუთში" იყო გაქირავებული და იქაც გრანტის ხელმძღვანელობით თამაშობდა და მექსიკური „პუმასის" გარემარბი **პაბლო ბარერა**.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ლივერპული

# ორშაბათი და სამართალი

## ტორესს უნდა, მასკერანოს არა

„ლივერპულის" თავკაცი **როი ჰოჯსონი** ამტკიცებს, რომ ესპანელ თავდამსხმელს **ფერნანდო ტორესს** გუნდში დარჩენა სურს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონის ყიდვა „მანჩესტერ სიტისა" და „ჩელსის" სურთ, მერსისაიდელებმა კი ის 60 მილიონ ფუნტად (71,6 მილიონ ევროდ) დააფასეს. თუმცა, ჰოჯსონი იმედოვნებს, რომ საქმე ყიდვა-გაყიდვაზე აღარ მიდგება და 26 წლის ფორვარდი ორშაბათს ვარჯიშზე გამოცხადდება - წინ კონტრაქტით გათვალისწინებული სამი წელიწადია. „წითლების" მწვრთნელმა თქვა:

*„მან თავად გვითხრა, რომ „ენფილდზე" დაბრუნებას და „ლივერპულის" მაისურით თამაშს აპირებს. ტორესი, როგორც იცით, დასასვენებლად არის - ნამდვილად ეკუთვნოდა ხანგრძლივი დასვენება. მგონი, სამი თუ ოთხი წელიწადია, წესიერად არ დაუსვენია. ასე რომ, ახლა ოჯახთანაა და, რამდენადაც ვიცი, არანაირ საჯარო ამბავში არ ერევა, ხალხის ყურადღებას არაფრით იპყრობს".*

ცნობილია, რომ დასასვენებლად მყოფი ტორესი რამდენჯერმე შეხვდა „ლივერპულის" აღმასრულებელ დირექტორს **კრისტიან პარსლოუს**, თუმცა ისეთი რამ, რაც „ლივერპულის" კაპიტანმა **სტივენ ჯერარდმა** გააკეთა ჯერ არ გაუკეთებია - საჯაროდ არ გამოსულა და არ განუცხადებია, რომ „ენფილდიდან" არსად მიდის. ალბათ, ამის გამოცაა, „ჩელსის" მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** ჯერ კიდევ რომ იმედოვნებს ესპანელის შეძენას. რამდენადაც ინგლისურ მასმედიაში გაჟონა ინფორმაციამ, „ლურჯები" მზად არიან 45 მილიონი ფუნტი (53,7 მილიონი ევრო) გადაიხადონ. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის", ამბობენ, რომ მას მერე, რაც „ინტერისგან" **მარიო ბალოტელის** ყიდვაზე გადაერთო, ტორესის ფრონტზე აქტიურობას მოუკლოო, თუმცა სატრანსფერო ბაზარს რას გაუგებ: ისტლენდელთა არგენტინელმა თავდამსხმელმა **კარლოს ტევესმა** ტორესს „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" გადასვლისკენ მოუწოდა. კერძოდ, მან თქვა:

*„ტორესი რომ დავიმატოთ, აშკარად გავძლიერდებით. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მისი თანაგუნდელობა ძალიან გამახარებდა. წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის ვიბრძოდით და სანადელს კინაღამ მივაღწიეთ. ეჭვი არ მეპარება, ამ სეზონში ლიგაში თამაშის უფლებას მოვიპოვებთ და მეტიც, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთ. ხომ ხედავთ, გუნდი სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობს და ძლიერდება. „სიტი" ის გუნდია, სადაც გადახვალ და შენს გადაწყვეტილებას არ ინანებ".*

ტორესის დამაიმედებელი სიტყვა ჰოჯსონს გულზე მალამოდ მოედებოდა, რადგან მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ მისგან განსხვავებით, არგენტინელმა ნახევარმცველმა **ხავიერ მასკერანომ** გაშვება სთხოვა (მეტიც, შესაძლოა, გამაღიზიანებლად მოსთხოვა კიდეც). თუმცა ერთი რამ იკვეთება: საქმე უკვე იმაზეა დამოკიდებული, შესთავაზებს თუ არა ყოფილი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** „ლივერპულს" 25 მილიონ ფუნტს (29,8 მილიონ ევროს) - მოგეხსენებათ, ბენიტესი „ინტერს" ჩაუდგა სათავეში. და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მილანელები ამდენ ფულს ვერ გაიმეტებენ? სავარაუდო სცენარი ასეთია: „ლივერპული" არგენტინელს არ გაყიდის და ის გაიფიცება. ჰოჯსონმა თქვა:

*„დიახ, მასკერანოს წასვლა უნდა, რაც პირდაპირ გვითხრა და მეტიც, ის ერთი წლის წინაც იმავეს ამბობდა. სხვა ამბავია, რომ მას „ლივერპულთან" კონტრაქტზე აქვს ხელი მოწერილი და გავუშვებთ თუ არა, ჩვენი გადასაწყვეტია. მოკლედ, სურათი ასეთია: დღეისათვის მასკერანო „ლივერპულის" ფეხბურთელია და ის, რომ წასვლა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წავა".*

სხვათა შორის, დაირხა ჭორი, რომ ბენიტესი თავისი ყოფილი გუნდიდან ჰოლანდიელი **დირკ კუიტის** წაყვანასაც ფიქრობს, თუმცა ეს შესაძლოა სინამდვილე არც იყოს.

„ლივერპულს" კი ბაზარზე თავისი ინტერესებიც აქვს - მარტო ფეხბურთელების შესანარჩუნებლად კი არ იბრძვის. ასე მაგალითად, „წითლებმა" „ასტონ ვილას" მარჯვენა მცველის **ლუკ იანგის** სანაცვლოდ 2,75 მილიონი ფუნტი (3,3 მილიონი ევრო) შესთავაზეს. სავარაუდოდ, ფეხბურთელს, რომელსაც 2005-2009 წლებში ინგლისის ნაკრების 7 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული მერსისაიდელთა წინადადება გაახარებს, რადგან ბირმინგემში, გასულ სეზონში, ესპანელმა **კარლოს კუელიარმა** ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან. თავის მხრივ, იანგის „ენფილდზე" გამოჩენა ლივერპულელებს განაპირა მცველების კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა - გუნდიდან წავიდნენ **ფილიპ დეგენი, ემილიანო ინსუა** და **ფაბიო აურელიო**. თან იანგს ერთი სეზონი მარცხენა ფრთაზეც აქვს გატარებული, ასე რომ, უნივერსალურ მოთამაშეთა კატეგორიას განეკუთვნება.

თუმცა, იანგის ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა და მანამდე ჰოჯსონმა ჟურნალისტებს სამი ახალი მოთამაშე **ჯო კოული, მილან იოვანოვიჩი** და **დენი უილსონი** წარუდგინა. ამასთან მერსისაიდელთა თავკაცმა დასძინა, რომ დანარჩენ „ახალწვეულებს" პრემიერლიგის დაწყებამდე წარადგენს - „ლივერპულს" ახალი ჩემპიონატის პირველი თამაში, არც მეტი არც ნაკლები, „არსენალთან" უწევს.

ჰოჯსონმა ბრძანა: *„იმედი მაქვს, რომ ჩვენი სატრანსფერო აქტიურობა ამ სამი ფეხბურთელის ყიდვით არ ამოიწურება. ჩვენი მიზანია, გუნდმა ნებისმიერი მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლოს. ვიცით, რომ დიდი ზეწოლის ქვეშ ვართ, კარგად თამაში და შედეგის მიღწევა უბრალოდ გვმართებს და ამისთვის კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატება გვჭირდება".*

„ლივერპულის" შენაძენთაგან ყველაზე სახელოვანი, რასაკვირველია, „ჩელსიდან" წამოსული ჯო კოული გახლავთ. 28 წლის ვარსკვლავმა ტრავმებიანი პერიოდი დასძლია და მზადაა, „წითლებს" ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაბრუნებაში დაეხმაროს. ფეხბურთელმა, რომელსაც მატჩი თავიდან ბოლომდე თებერვლის შემდეგ არ ჩაუტარებია, თქვა:

*„მე „ჩელსიში" ხუთი დიდებული წელიწადი გავატარე, რომელთაგან ორი ტრავმებმა ჩამიმწარა. ჩემი „სტემფორდ ბრიჯიდან" წამოსვლა მანამდე გადაწყდა, სანამ ახალ გუნდს შევარჩევდი. ასეთი რამ ყოველთვის ძნელი გადასაწყვეტია, მაგრამ ცხოვრების გამოწვევებს არ გავურბივარ. მინდოდა, რაიმე ახალი და დიდი საქმის სათავეში ვყოფილიყავი და როდესაც ვნახე, რომ ასეთი საქმე ისეთმა ბუმბერაზმა კლუბმა წამოიწყო, როგორიც „ლივერპულია", სიხარულით ჩავები მასში. გასული სეზონი მძიმე იყო. ვცდილობდი ფიზიკური ფორმა აღმედგინა და დამემტკიცებინა, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშის ღირსი ვარ. შესაძლოა, მეტისმეტიც კი მომივიდა, თუმცა ჩემპიონატში გარკვეული მონაწილეობა მაინც მივიღე და ამით კმაყოფილი დავრჩი. ახლა კი ყველაფერს თავიდან ვიწყებ. რომმ მითხრა, რომ ვჭირდები და ამიხსნა, რა უნდა გავაკეთო მოედანზე. მიმოიხედეთ „ენფილდზე" და ნახავთ, რომ აქაურობა წარმატებებით არის გაჟღენთილი. „ლივერპულის" ისტორია წარმატებათა ისტორიაა. ვგრძნობ, რომ აქ გამარჯვება სწყურიათ. როგორც კი აქ ფეხი დავადგი, მივხვდი, რომ განსაკუთრებულ ადგილზე მოვხვდი და განსაკუთრებული შეგრძნებაც დამეუფლა. მე ჩემი კვალი „ჩელსიში" დავტოვე და ახლა მინდა იგივე გავაკეთო ისეთ დიდ კლუბში როგორიც „ლივერპულია".*



**ლივერპულის ახალწვეულები. მარცხნიდან: მილან იოვანოვიჩი, დენი უილსონი, მთავარი მწვრთნელი როი ჰოჯსონი და ჯო კოული**



ხავიერ ერნანდესი

**...ეს გახლავთ ახალგაზრდა მექსიკელი კაცი, რომელიც სადღაციდან ელვისებურად ამოვარდა და აგერ, უკვე მეორე დღეა, ამერიკაში ვარსკვლავების გვერდით ზის. ეს დღეები „მანჩესტერ იუნაიტედი" ჰიუსტონში, NASA-ს ცენტრში იმყოფებოდა...**

ახალი მანჩესტერელი

# მწვანე ჩიჩარიტო გვადალახარიდან

დიახ, შარშან ამ დროს **ხავიერ ერნანდესის** ვინაობა მექსიკის გარეთ ერთი-ორმა ადამიანმა თუ იცოდა. საფეხბურთო ოჯახიდან გამოსული გვადალახარელი ბიჭი იმედისმომცემი ახალგაზრდა იყო, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ... კაცმა რომ თქვას, ასეთი დედამიწის ზურგზე ბევრია.

*„ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა, თუმცა პიროვნულად ყოველთვის ვცდილობ, იგივე დავრჩე. რა მნიშვნელობა აქვს, რას მიაღწიე, რაც ხარ, ის უნდა იყო"*, - თქვა 22 წლის თავდამსხმელმა ჰიუსტონში, სადაც მას ათასზე მეტი გულშემატკივარი მიესალმა.

ერნანდესმა თავისი მანჩესტერელი თანაგუნდელები ორშაბათს გაიცნო. ადვილად ითქმის, არა? რეალურად კი ახალგაზრდა ბიჭისთვის ეს გახლდათ შეხვედრა იმ ხალხთან, რომელთაც ტელეეკრანიდან და „ფლეისთეიშენით" იცნობდა - ერნანდესი პირველი მექსიკელია „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორმა რომ მოირგო.

*„ზეწოლას რასაკვირველია განვიცდი, მაგრამ ვცდილობ, ყველაფერს სხვა თვალით შევხედო. იმან, რაც ჩემ გარშემო ხდება, მოტივაცია უნდა შემმატოს. აბა, წარმოიდგინეთ, დედამიწაზე ხომ მილიონობით ადამიანი ინატრებდა ჩემს ადგილზე ყოფნას. ხანდახან ჩვენს წარმატებებსა და ოცნებებზე იმდენს ვფიქრობთ, რომ ამ წარმატებებით და ახდენილი ოცნებებით სიამოვნება გვავიწყდება. მე ამ ფეხბურთელების მხარდამხარ თამაშს ვნატრულობდი და მინდა მათგან ბევრი რამ ვისწავლო. კიდევ მინდა, ჩემი წილი ქვიშის მარცვალი შევმატო საერთო საქმეს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი აქ ყოფნის პერიოდში „იუნაიტედი" ძალიან დიდი გუნდი იქნება. მე მანჩესტერელ ფეხბურთელებს ყოველთვის ვეთაყვანებოდი. აღფრთოვანებული ვიყავი რუნით, მანამდე კი ვან ნისტელროითა და რონალდოთი".*

ერნანდესთან ერთად მანჩესტერში მისი მშობლები და დაც გადასახლდებიან. მამა **ხავიერ ერნანდეს-უფროსი**, მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდა, ხოლო პაპა **ტომას ბალკასარი** 1954 წლის მუნდიალზე ასპარეზობდა და საფრანგეთის ნაკრების კარში გოლიც შეაგდო. სწორედ ასე მოიქცა ხავიერიც ამ ზაფხულს, სამხრეთ აფრიკაში.

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე სწრაფმა ფეხბურთელმა, რომელსაც მწვანე თვალების გამო მეტსახელად მამამისივით „ჩიჩარიტოს" ანუ ბარდის მარცვალს ეძახიან, ერთი გოლი არგენტინასაც შეუგდო.

*„ძალიან მაგარია, როდესაც მეტსახელიც კი ოჯახურ ტრადიციად იქცევა და თაობიდან თაობაზე გადადის. ბედნიერი ვარ, რადგან სახლში დამატებით ორი მწვრთნელი მყავს - მამაჩემი და პაპაჩემი. ისინი ყოველთვის მასწავლიან და მეუბნებიან, რა გავაკეთე სწორად და რა - არასწორად. მათი შენიშვნები რეალობის გრძნობას არ მაკარგვინებს. სწორედ მათ მასწავლეს, რომ თავი თანაგუნდელებზე უკეთესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეგონოს".*

ინგლისში ცხოვრების თავისებურებებზე კი ერნანდესს მისი თანამემამულეები, „ტოტენჰემში" ნათამაშები **ჯოვანი დოს სანტოსი** და „არსენალში" გამოვლილი **კარლოს ველა** ელაპარაკებიან. კაცმა რომ თქვას, პრემიერლიგაში ვერც ერთმა ივარგა და ვერც მეორემ, აი, ერნანდესზე კი უკვე წერენ, რომ „იუნაიტედში" ისეთსავე წარმატებას მიაღწევს, თავის დროზე „რეალში" დიდმა **უგო სანჩესმა** რომ მიაღწია.

*„მექსიკელთათვის სახელის განთქმას ყველგან და ყოველთვის შევეცდები, მაგრამ შედარებები არ მიყვარს და ნამდვილად ზედმეტი მგონია. ყველას თავისი კარიერა და ბედი აქვს"*, - ამბობს მექსიკის ნაკრების მეთოთხმეტე ნომერი.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** კი თავისი ახალი შენაძენის შესახებ ასე ბრძანა: *„ჩვენ გვინდა ის რაც შეიძლება მალე ვაქციოთ ჩვენი გუნდის ორგანულ ნაწილად".*

ამერიკულ ტურს „იუნაიტედი" გვადალახარაში სწორედ ერნანდესის ყოფილ გუნდ „ჩივასთან" დაპირისპირებით ამთავრებს. „ჩიჩარიტო" ერთ ტაიმს „ჩივასის" შემადგენლობაში ითამაშებს, მეორეში კი ახალი გუნდის მაისურს მოირგებს. ფერგიუსონს ჰკითხეს, რას იტყვის ის, თუ ერნანდესი გოლს „ჩივასის" შემადგენლობაში თამაშის დროს გაიტანს. სერ ალექსმა უპასუხა: *„დავაჯარიმებ და გვადალახარაში დავაბრუნებ"*, - იყო პასუხი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ჟორკაეფს სომხეთის ნაკრებში სურს

**იური ჟორკაეფი** ამბობს, რომ დიდი სიამოვნებით ჩაუდგებოდა სათავეში სომხეთის ეროვნულ ნაკრებს. როგორც იცით, საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს სომხური ფესვები აქვს.

*„მართალია, სომხეთის ფეხბურთის ფედერაციისგან შეთავაზება არ მიმიღია, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ თუ ოდესმე მსგავსი წინადადებით მომმართავენ, აუცილებლად დავთანხმდები“*, - აცხადებს ჟორკაეფი.

## კინკი ესტონეთის რეკორდსმენია

გუშინ ესტონური ფეხბურთისთვის უნიკალური ტრანსფერი განხორციელდა – თავდამსხმელი **ტარმო კინკი** უნგრული „დიორიდან“ ინგლისურ „მიდლსბროში“ 1,2 მილიონ ევროდ გადავიდა, რაც ესტონელ ფეხბურთელში გადახდილი სარეკორდო თანხაა.

*„საოცარი ემოციები მიპყრობს. ეს ჩემს კარიერაში უდიდესი ნაბიჯია და ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ თავი ინგლისშიც გამოვიჩინო“*, - ამბობს კინკი, რომელმაც 2008 წელს ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრების კარში გოლი გაიტანა.

## მარჩენა ვილიარეალში გადადის

„ვილიარეალმა“ და „ვალენსიამ“ ერთმანეთთან უკვე ყველა დეტალი შეათანხმეს და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ესპანეთის ნაკრების 30 წლის მცველი კლუბს შეიცვლის. **კარლოს მარჩენამ** წარმატებით გაიარა სამედიცინო გამოკვლევა და „ვილიარეალთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „ყვითლებს“ მარჩენა მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასული ურუგვაელი უკანახაზელის, **დიეგო გოდინის** იდეალურ შემცვლელად ესახებათ.

## გრაფიტე ვოლფსბურგის ერთგულია

**იმის** მიუხედავად, რომ რუსული „რუბინი“ ხელსაყრელ ფინანსურ პირობებს სთავაზობდა, **გრაფიტემ** მაინც „ვოლფსბურგში“ დარჩენა გადაწყვიტა.

*„აქ ყველაფერი მომწონს და ამიტომაც კლუბის შეცვლის არავითარი საფუძველი არ გამაჩნია. ველაპარაკე გუნდის ახალ მწვრთნელ სტივ მაკლარენს, რომელმაც დამარწმუნა, რომ „ვოლფსბურგისთვის“ საჭირო ფეხბურთელი ვარ“*, - აცხადებს 31 წლის ბრაზილიელი ფორვარდი, რომელმაც გასულ სეზონში ბუნდესლიგაში 30 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა.

## ბენდტნერი სტარტს გამოტოვებს

**არსენ ვენგერმა** განაცხადა, რომ **ნიკლას ბენდტნერს** სეზონის სტარტი გაუცდება. „არსენალის“ დანიელ ფორვარდს საზარდულის ტრავმა აწუხებს. ეს ადგილი მას მთელი გასული სეზონის განმავლობაშიც სტკიოდა, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე კი ბენდტნერმა თავი კიდევ უფრო უარესად იგრძნო.

*„იგი მომავალი სეზონის პირველ მატჩებში ვერ დაგვეხმარება. სამაგიეროდ, თავს კარგად გრძნობენ სესკ ფაბრეგასი და რობინ ვან პერსი, რომლებიც ვარჯიშს 5 აგვისტოდან შეუდგებიან“*, - თქვა ვენგერმა.

## კემპბელმა ნიუკასლთან მოაწერა




**უკვე** გაცნობეთ, რომ **სოლ კემპბელი** „ნიუკასლში“ გადასვლასთან ახლოს იყო. ვეტერანმა ინგლისელმა მცველმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და „კაჭკაჭებთან“ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

*„ამ ეტაპზე „ნიუკასლი“ ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი ასეთ ტიტულოვან კლუბში, რომელსაც შეუდარებელი გულშემატკივრები ჰყავს“*, - ამბობს კემპბელი.

**ლევან ჟანეჟაშვილი**

ინტერი

# მორატი: ბალოტელი უნდა წავიდეს

**პრაქტიკულად** გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომავალი სეზონიდან **მარიო ბალოტელი** „მანჩესტერ სიტიში“ იასპარეზებს. ახალგაზრდა ფორვარდმა **რაფაელ ბენიტესისგან** ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტიები მოითხოვა, რაც ვერ მიიღო და გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. მარიოს თქმით, მას სურს, რომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, ამისათვის კი სასტარტო შემადგენლობაში რეგულარულად ასპარეზობაა საჭირო. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა სხვა გუნდში გადასვლა და თუ რაიმე გაუთვალისწინებული არ მოხდა, კარიერას ინგლისში გააგრძელებს. ბალოტელის ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „ინტერის“ პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ**:

*„მარიო ძალიან ნიჭიერია და შეუძლია დიდი ფეხბურთელი გახდეს. თუმცა, ჯერჯერობით ვერ გაიხსნა ბოლომდე, რაც მისი ხასიათის ბრალია. ყველა პირობა შევუქმენით, რომ განვითარებულიყო და პროგრესი განეცადა, თუმცა ყველაფერი ძალიან სწრაფად მოინდომა და ამიტომ ჩვენი გზები იყრება. მას სურს, რომ ოცი წლის ასაკში ევროპის საუკეთესო გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყოს, რასაც ნამდვილად ვერ შევპირდებით. ისეთ დიდ და გამოცდილ ფეხბურთელებს, როგორებიც მაგალითად სამუელ ეტოო, დეიან სტანკოვიჩი და მარკო მატერაცი არიან, კარგად ესმით, რომ მუდმივად ძირითად თერთმეტეულში ვერ იქნებიან. ბალოტელის დიდი ამბიციები აქვს და ღმერთმა ხელი მოუმართოს, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დიახ, „მანჩესტერ სიტისთან“ მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული და ალბათ, უახლოეს დღეებში ყველაფერს წერტილი დაესმება“.*

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „ინტერს“ ეხება. როგორც გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, „ნერაძურის“ მესვეურები **ხავიერ მასკერანოს** გადაბირებას ცდილობენ. ბენიტესს არგენტინელის დამატება ძალიან უნდა და მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებს. მილანში გადაბარგების სურვილი თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა, რამაც ტრანსფერი კიდევ უფრო რეალური გახადა. თუმცა, „ლივერპულის“ მესვეურებმა ფეხბურთელში 30 მილიონი ევრო მოითხოვეს, აი აქ კი კითხვის ნიშნები გაჩნდა, რადგან მასიმო მორატის არგენტინელის სანაცვლოდ მაქსიმუმ 20 მილიონის გადახდა ჰქონდა განსაზღვრული.




მარიო ბალოტელი

„ინტერის“ მესვეურებმა მალევე მონახეს გამოსავალი და თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, უახლოეს დღეებში „მერსისაიდელებს“ ახალ შეთავაზებას გაუკეთებენ: ლაპარაკია 15 მილიონ ევროსა და **სალი მუნტარზე**, რომელიც თანახმაა, კარიერა ინგლისში გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ მუნტარიმ თავის დროზე ერთი სეზონი „პორტსმუთში“ იასპარეზა და მისთვის პრემიერლიგა უცხო არ გახლავთ. ვნახოთ, რამდენად საინტერესო იქნება ახალი შეთავაზება ლივერპულელებისთვის.

**ლაშა წიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბურდისო იუვეს სამიზნეში



რომა ნიკოლას ბურდისოს დარჩენითაა დაინტერესებული

**გასული** სეზონი **ნიკოლას ბურდისოსთვის** მეტად წარმატებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით ეს მეორე წრეზე ითქმის, რომელიც „რომაში“ გაატარა და ის, რომ დედაქალაქელებმა სკუდეტოსთვის ბოლო ტურამდე იბრძოლეს, ამაში მისი წვლილი საკმაოდ დიდია. ბურდისომ „ჯალოროსიში“ იჯარის წესით იასპარეზა და დასრულდა თუ არა სეზონი, მილანში დაბრუნდა. თუმცა ნიკოლასი **რაფაელ ბენიტესის** გეგმებში არ ჯდება და კლუბი მის გასხვისებას აპირებს. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მილანელები არგენტინელი მცველის სანაცვლოდ ათ მილიონ ევროს ითხოვენ და პირველ რიგში, „რომას“ მესვეურებთან აპირებენ მოლაპარაკებებს. აპირებს თუ არა „ჯალოროსი“ ფეხბურთელის გამოსყიდვას ამაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** საუბრობს:

*„ამის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ დღეს პირველად გავიგე, რომ „ინტერი“ ნიკოლასის სანაცვლოდ ათ მილიონ ევროს მოითხოვს. ეს ძალიან ცუდია, რადგან ასეთი თანხები დღეს კლუბს არ გააჩნია. აუცილებლად უნდა მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, რათა კონსენსუსს მივაღწიოთ. თუ მილანელებს ნამდვილად სურთ არგენტინელის გასხვისება, მაშინ უნდა დაუკლონ თანხას, რადგან ჩვენ ბურდისოს გადაბირებით მართლაც ვართ დაინტერესებულნი. ვნახოთ, წესით, მალე უნდა გაირკვეს ყველაფერი“.*

ამასობაში, ბურდისოს მსურველთა რიცხვს ტურინის „იუვენტუსიც“ შეუერთდა და თუ პრესას დავუჯერებთ, პიემონტელები ათი მილიონის გადასახდელად სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ. ანუ, გამოდის, რომ ბურდისოს შეძენის მთავარი პრეტენდენტი „ბიანკონერი“ ხდება. ამ ინფორმაციას ნიკოლასის პირადი აგენტი **ფერნანდო იდალგო** ადასტურებს:

*„ტურინელებმა მართლაც გამოხატეს ინტერესი, რაც ჩემს კლიენტს ძალიან ეამაყება. როდესაც შენით ასეთი ისტორიის კლუბი დაინტერესდება, თავისთავად ძალიან სასიამოვნოა. ბურდისოს არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ტურინში გადაბარგდეს და კარიერა „იუვეში“ გააგრძელოს. მთავარია, რომ პიემონტელებმა ის ფინანსური მოთხოვნები დააკმაყოფილონ, რომელიც „ინტერს“ აწუხებს“.*

უახლოეს დღეებში ტურინელები ალბათ ოფიციალურ პოზიციას დააფიქსირებენ და გავიგებთ, რამდენად დიდია ბურდისოს „იუვენტუსში“ გადაბარგების შანსები.

**ლაშა წიკლაური**

ლაციო

# ლოტიტო როკის ვერ ელევა

„ლაციოს“ ფეხბურთელებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და კლუბის მესვეურებს სერიოზული შეტევების მოგერიება უწევთ. ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდნენ **ტომაზო როკის** მიმართულებით, რომელიც „ბიანკოჩელესტეს“ ლიდერი და მთავარი დამრტყმელი ძალაა. თუ „ილ ტემპოს“ დავუჯერებთ, როკის გადაბირება „ჯენოასა და „პალერმოს“ მესვეურებს სურთ. განსაკუთრებულად აქტიურნი გენუელები არიან, რადგან მათი პრიორიტეტი შეტევის გაძლიერებაა. გავრცელებული ცნობის თანახმად, „ჯენოა“ მზად არის 32 წლის ფორვარდის სანაცვლოდ ექვსი მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც ვეტერანი ფეხბურთელისთვის არცთუ მცირე თანხაა. თუმცა, „ლაციოს“ პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** შეუვალია და აცხადებს, რომ როკი არ იყიდება:

*„უახლოეს პერიოდში სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდებით და რამდენიმე ფეხბურთელს შევიძენთ. ჩვენი მიზანია, გავაძლიეროთ გუნდი, რათა მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. შესაბამისად, წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა ჩვენს გეგმებში არ შედის. ტომაზო როკი გუნდის სული და გულია, მისი გასხვისება აზრადაც არ მოგვსვლია. დიახ, „ჯენოას“ და „პალერმოს“ მესვეურები შემოგვეხმიანნენ, მაგრამ საქმე ამაზე წინ არ წასულა. ყველა სიკეთესთან ერთად, ტომაზო გუნდის საბრძოლო განწყობაზე შესანიშნავად მოქმედებს და მისი სხვაგან გაშვება დიდი სისულელე იქნებოდა“.*

ლოტიტომ **კრისტიან ლედესმასთან** ურთიერთობის დალაგების პერსპექტივაზეც ისაუბრა. თურმე ყინული გალღვა და არის შანსი, არგენტინელმა ნახევარმცველმა კლუბთან სულაც კონტრაქტი გაახანგრძლივოს. მის ხელშეკრულებას ვადა ერთი წლის შემდეგ ეწურება და ლოტიტოს სურვილია, რომ თანამშრომლობა კიდევ სამი წლით გაგრძელდეს. აი, რას ამბობს „ბიანკოჩელესტეს“ პრეზიდენტი:

*„ლედესმა მაღალი დონის ფეხბურთელია, ეს კარგად ვიცი და მსურს, მასთან ახალი ხელშეკრულება გავაფორმოთ. რაც მთავარია, გუნდში დარჩენის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, რაც ჩემთან პირად საუბარში განაცხადა. უსიამოვნება წარსულში უნდა დავტოვოთ და ყველამ ერთად „ლაციოს“ საკეთილდღეოდ ვიზრუნოთ. იმედია, კრიატიანი მოაწერს ხელს კონტრაქტს და კიდევ არაერთი წლით დარჩება „ლაციოში“. სულ მალე, ჩვენ შორის კიდევ ერთი შეხვედრა შედგება და საბოლოო შეთანხმებას მივაღწევთ“.*

**ლაშა წიკლაური**




ტომაზო როკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამინისტრო | მსოფლიოს პირველობა სამბოში

# ჩემპიონატის ბედი დღეს გაირკვევა

## რუსები ისევ გვედავებიან



სტუმარ-მასპინძლები სპორტის სასახლეში ფოტო: sport.gov.ge

თბილისში სტუმრად იმყოფება ლატვიის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, სამბოს საერთაშორისო ფედერაციის კომისარი **ანდრეი ბირიუკოვი**, რომელიც ამ ფედერაციის ეგიდით გამართული ყველა დონის საერთაშორისო ტურნირის მუდმივი დირექტორია. იგი თბილისშიც კონკრეტული მიზნით ჩამოვიდა - ადგილზე გაეცნო 7-11 ოქტომბერს გასამართი ჭაბუკებისა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას, დაათვალიერა ამ შეჯიბრების მასპინძლად შეგულებული გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე, შეხვდა და საორგანიზაციო საკითხებზე ესაუბრა ორგანიზატორებს. სპორტის სასახლეში მასთან ერთად მივიდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი**, მისი მოადგილე **დავით ნამგალაური**, სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **გია გალდავა**, საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე**, რომლის მხრებზეც გადადის საორგანიზაციო საკითხების მთელი სიმძიმე... სტუმარ-მასპინძლებმა ერთად დაათვალიერეს არენა, სადაც იმ წუთებში კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადებოდა. ბირიუკოვმა განმარტა ის ძირითადი პრიორიტეტები, რასაც შეჯიბრების ჩატარებისას ორგანიზატორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ - არენა, სტუმართა მიღება-განთავსება, ტრანსპორტირება. თან ეს ყველაფერი სრული ოთხი დღის განმავლობაში - ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით, 11 ოქტომბერი, ანუ ორშაბათი კი გუნდების გამგზავრების დღეა. ბირიუკოვი სარეკლამო კამპანიითაც დაინტერესდა - იქნება თუ არა ბილბორდები და აფიშები ქალაქში, ექნება თუ არა მედია-საშუალებების საინფორმაციო მხარდაჭერა ტურნირს... მასპინძლებმა სტუმარს განუმარტეს, რომ შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც უკვე დაიწყო ზრუნვა ამ საკითხების მოსაგვარებლად და არანაირი პრობლემა არ შეიქმნება. კაცმა რომ თქვას, ეს მართლაც არაა ძნელად მოსაგვარებელი საკითხები. მით უფრო, ბოლო წლებში საქართველომ ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება უკვე დააგროვა. ბირიუკოვმა არც სტუმრისთვის დამახასიათებელი ჟესტი დაივიწყა და მოგვიანებით დითირამბები უძღვნა ჩვენს ნაკრებებს, დიდი შანსი გაქვთ, გუნდური პირველობა მოიგოთ და სოლიდური წარმატებით გამოხვიდეთო. მან ისიც აღნიშნა, საქართველო ჭიდაობის ქვეყანაა და ამ ტურნირის ჩასატარებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც ასეთი საჭიდაო ტრადიციების, ასეთი მოჭიდავეების ქვეყანას ეკადრებაო.

გვჯერა, საქართველო მართლაც ყველაფერს გააკეთებს საამისოდ. მით უფრო, ჩემპიონატის მასპინძლობაში აქტიურადაა ჩართული სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელმაც ყველანაირი ფინანსური დახმარება აღუთქვა საქართველოს სამბოს ფედერაციას, მაგრამ არაა გამორიცხული, ამ შეჯიბრების მასპინძლობა მაინც ჩამოგვერთვას და ჩვენ ნაცვლად რუსეთში ჩატარდეს. მსოფლიოს პირველობის ყოფნა-არყოფნა ამ საღამოს გაირკვევა მოსკოვში, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე.

ამ ტურნირის მასპინძლობა პოლიტიკურ ჭიდაობაში გადაიზარდა. დღეს და ხვალ მოსკოვი „რუსეთის პრეზიდენტის თასს" მასპინძლობს, რომელშიც ევროპის მოწინავე რვა გუნდია მიწვეული, მათ შორის, საქართველოც, მაგრამ ჩვენმა სამბისტებმა ხელისუფლებისგან მიიღო მითითება, რომ ტურნირზე არ წავიდნენ. საპასუხოდ რუსული მხარე ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაგვემუქრა, თუ არ ჩამოხვალთ, მაშინ მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის უფლებას წაგართმევთო. კერძო საუბრებში რუს კოლეგებს ჩვენებისთვის არ დაუმალავთ, რომ ასეთი დავალება მათაც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისგან მიიღეს. ასეა თუ ისე, რუსული მხარე ახლა დანაქადნის ასრულებას ლამობს - დღეს საღამოს პრეზიდიუმი ამ საკითხის განსახილველად იკრიბება. მას საქართველოდან იაძე დაესწრება, რომელიც წუხელ გაემგზავრა ერევანში, იქიდან კი დღეს, დილის 7 საათზე გადაფრინდებოდა მოსკოვში. იაძის წასვლის მიზანი პრეზიდიუმის წევრებთან მოლაპარაკებაა, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ საქართველოსთვის ამ შეჯიბრების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას. გუშინ ის საკმაოდ იმედიანად იყო, რადგან სამბოს სამყაროში სიტყვაც ეთქმის და პრეზიდიუმშიც ბევრი მეგობარი ჰყავს, მაგრამ ბრძოლა რომ ძალზე ძნელი იქნება, ესეც კარგად ესმის. როგორი საქმეა - სამბოს ევროპულსა და მსოფლიოს ფედერაციებს რუსები ხელმძღვანელობენ, ორივე ფედერაციაში მაღალ თანამდებობებზეც ბლომად რუსია და პრეზიდიუმშიც. ცხადია, მათ სხვებზე ზემოქმედების ბევრი ბერკეტი გააჩნიათ, რასაც აუცილებლად გამოიყენებენ. სამბოში ყველაფერს ისინი განაგებენ და აკი კიდეც ჭრიან და კერავენ თავის ჭკუაზე, რასაც მათი ახლანდელი მცდელობაც ადასტურებს. ერთი მხრივ, პოლიტიკა მართლაც არ უნდა ავურიოთ სპორტში, მაგრამ ვერც ის ჟღერს კარგად, საქართველოს ნაკრები მისთვის ომის გამჩაღებელ, ტერიტორიების წამრთმევ სახელმწიფოში ჩავიდეს და მტრული ქვეყნის პრეზიდენტის თასისთვის იბრძოლოს. ანდა, ვთქვათ და, მოიგო, ის თასი როგორ უნდა ჩაიბაროს და ჩამოიტანოს საქართველოში! თუმცა სრულიად უპრეცედენტოა რუსთა სურვილიც - ტურნირის მასპინძლობა ვილაცას წაართვას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქვეყანა რაღაც შეჯიბრებაში არ გამოვიდა! იქნებ თქვათ, რომ ამას საერთაშორისო ფედერაცია აკეთებს და რუსები რა შუაში არიანო, მაგრამ, ალბათ, ყველა კარგად ხვდება, ვისი მიზეზით ხდება ეს. ახლანდელი მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს სამბოში რუსთა ბოგინს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# დღეს გაიხსნება




მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში დღეს საზეიმოდ გაიხსნება ფიდეს ქალთა გრან-პრის მეხუთე ეტაპი. როგორც გაუწყეთ, სხვადასხვა ქვეყნის 11 წარმომადგენელთან ერთად მასში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძეც** მონაწილეობს. სასტარტო შეხვედრები ხვალ გაიმართება. სულ 11 ტური გათამაშდება. ასპარეზობის მონაწილენი 3 და 8 აგვისტოს დაისვენებენ. პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე 160 ქულას და 6500 ევროს დაიმსახურებს, მეორეადგილოსანი - 130+4750, III.110+4000, IV. 90+3750, V. 80+3500, VI. 70+3250, VII. 60+3000, VIII. 50+2750, IX. 40+2500, X.30+2250, XI. 20+2000, XII ადგილი. 10 ქულა+1750 ევრო.

**ვაჟა დანელია**

# ისევ მარცხი

ბილის საერთაშორისო ტურნირზე არასტაბილურად ასპარეზობს ქართველი დიდოსტატი **ნაზი პაიკიძე**, რომელიც მე-9 ტურში **ანდრეას ეიჩჰორთან** დამარცხდა და 5 ქულით 37-ე ადგილზე გადაინაცვლა. რაც შეეხებათ ლიდერებს, მათ ბრძოლის გამწვავებას დაზავება არჩიეს. ყაიმზე შეთანხმდნენ: **სებასტიენ ფელერი-ნადეჟდა კოსინცევა, ალექსანდრ რიაზანცევი-კრისტიან ბაუერი, არნაუდ ჰაუჩარდი-იგორ ლისი, ფრანკო მისიანო-ევგენი გლეიზეროვი, ლარს ოოტსი-მისო გებალო**, სამ შეხვედრაში კი თეთრებმა იმარჯვეს: **ლეონიდ კრიტცი-საშა კაპლანი 1:0, ვიტალი გოლოდი-ბენჯამინ ბოკი 1:0, მოჰამედ ალ-სეიდი-მაიკლ როიზი 1:0.**

9 ტურის შემდეგ კოსინცევა, ბაუერი, კრიტცი და ფელერი 7-7 ქულით პირველ-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

**ვაჟა დანელია**

# მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა

ესპანურ ბალეგერში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **ლევან აროშიძეც** მონაწილეობდა. ბოლო ტურში იგი შავი ფიგურებით **ვადიმს დაშკევიჩს** (ლატვია) დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა. მეწინავეთაგან, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **პაველ მალეტინი** (რუსეთი)-**ვინეი ბჰათი** (აშშ), **იური დროზდოვსკი** (უკრაინა)-**არტურს ნეიკსანი** (ლატვია), **ანგელ გუერა** (კუბა)-**რობერტ ალომა** (ესპანეთი). ერთპიროვნულმა ლიდერმა **დანიელ ვოკატურომ** (იტალია) შავი ფიგურებით **მანუელ ლეონი** (მექსიკა) დაამარცხა, **ინიესკი ქესადამ** (კუბა) **ზავენ ანდრიასიანს** (სომხეთი) სძლია, **ფიდელ კორალესმა** (კუბა) **ხორდი ფლუვიას** (ესპანეთი) მოუგო, **იოსეფ ომსმა** (ესპანეთი) **კიპრიან ბერბატოვს** (ბულგარეთი) აჯობა.

ამდენად, 9 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ ადგილზე ვოკატურო გავიდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ქესადა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილები მალეტინმა, ბჰათმა, კორალესმა და ომსმა გაინაწილეს. აროსიძეს 6 ქულით მე-11 ადგილი ხვდა.

**ვაჟა დანელია**

# სულაშვილი ქულით ჩამორჩება

ერთი მოგება, ორი ყაიმი და ამდენივე მარცხი - ასეთია ქართველ მოჭადრაკეთა გუშინდელი შედეგები პალეოხორას (საბერძნეთი) საჭადრაკო ფესტივალის მე-8 ტურში. **ანა გავაშელმა** შავებით მასპინძელ **პანაგიოს პაპამიჩელაკისს** სძლია, **მალხაზ სულაშვილი** უკრაინელ **ადამ ტუხაევს** დაუზავდა, **ნინო ბაციაშვილმა** კი ლუქსემბურგელ **ალბერტო დავიდთან** გაიყო ქულა. დამარცხდნენ **ბელა ხოტენაშვილი** და **ალა ვახანია**, შესაბამისად, ფრანგ **რობერ ფონტენთან** და რუს **ევგენი ვორობიოვთან**.



მალხაზ სულაშვილი

ლიდერთაგან მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს: **ანდრეი რიჩაგოვი** (რუსეთი) - **იური კრივორუჩკო** (უკრაინა), **მისა პაპი** (სერბეთი) - **ალექსანდრ ზუბარევი** (უკრაინა). დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ხრისტო ბანიკასი** (საბერძნეთი) - **ანდრეი ორლოვი** (რუსეთი) 1:0, **დმიტრი სვეტუშკინი** (მოლდოვა) - **რაინერ პოლსინი** (გერმანია) 1:0, **ნიკიტა მაიოროვი** (ბელარუსი) - **ალექსანდრ ხარიტონოვი** (რუსეთი) 1:0.

8 ტურის შემდეგ 7 ქულით ისევ ერთპიროვნულად კრივორუჩკო ლიდერობს. 6.5-6.5 ქულით მეორე-მერვე ადგილებს ზუბარევი, პაპი, რიჩაგოვი, ბანიკასი, სვეტუშკინი, მაიოროვი და ფონტენი ინაწილებენ. სულაშვილს 6 ქულა აქვს, ხოტენაშვილსა და ბაციაშვილს - 5.5-5.5, გავაშელს - 5, ვახანიას - 4.5 ქულა.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა | მსოფლიოს ჩემპიონატი

# დიდი სროლები მიუნხენში

წუხელ ქართველი ტყვიის მსროლელები და მესტენდურები მიუნხენში გაფრინდნენ, სადაც დღეიდან 10 აგვისტოს ჩათვლით მსოფლიოს პირველობა გაიმართება სროლის სახეობებში. ტყვიის მსროლელთა გუნდში სამი მონაწილეა - ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** პნევმატურსა და სპორტული პისტოლეტით სროლაში იასპარეზებს. ვაჟთა შორის ამ დისციპლინებში **ლევან ქადაგიძე** ისვრის, ახალგაზრდა გოგოებში კი **ნინო ფანჩულიძე** მხოლოდ პნევმატური პისტოლეტით სროლაში გამოვა. ოთხკაციანი გუნდი გვეყოლება სასტენდო სროლაში - **მაია გუბიევა, დავით ქვათაძე, გივი შენგელია** და **პავლე ლაკია**. ტყვიის მსროლელებს კვლავაც **ვახტანგ სალუქვაძე** წვრთნის, მესტენდურებს კი - **თამაზ იმნაიშვილი**.

სროლის სახეობებში მსოფლიოს პირველობა ოლიმპიური პრინციპით - ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ზრდის ამ ისედაც მნიშვნელოვანი ტურნირის დატვირთვას, რასაც მისი სალიცენზიო სტატუსიც ემატება - როგორც წესი, აქ ყოველთვის თამაშდება ოლიმპიადის საგზურები. ასე იქნება ამჯერადაც - სროლის სახეობებში საგზურებს 5-5 საუკეთესო მსროლელი მიიღებს.

მოგეხსენებათ, აქ ლიცენზიების განაწილება სპორტის სხვა სახეობებზე ბევრად ადრე - თამაშებამდე მთელი სამი წლით ადრე იწყებოდა, მაგრამ პეკინის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციას ერთიანი ვადა დაუდგინა - საგზურების განაწილება ოლიმპიადამდე ორ-ნახევარი წლით ადრე უნდა დაიწყოს. ამდენად, მსროლელებისთვის პირველი სალიცენზიო ტურნირი სწორედ აღნიშნული მსოფლიოს პირველობაა.

ლონდონის ოლიმპიადაზე სპორტის სამ სახეობაში 390-მა მსროლელმა უნდა იასპარეზოს 15 დისციპლინაში. ლიმიტირებულია ოლიმპიელთა რაოდენობაც ცალკეულ ქვეყანაზე - მაქსიმუმ 28 მონაწილე, ამასთან, ერთ სახეობაში მოპოვებული საგზურით მეორეშიც შეგიძლია გამოსვლა, ანუ ორივეში ცალ-ცალკე აღარ გჭირდება მოპოვება. სამაგიეროდ, მეორე დისციპლინაში კიდეც რომ მოხვდე ლიცენზირებულთა სიაში, შენი საგზურით თანაგუნდელს ველარ გაიყვან, როგორც ეს ათენის ოლიმპიადამდე იყო. თან ლიცენზიას კვლავინდებურად ფედერაცია იღებს და არა პირადად სპორტსმენი.

წლეულს მეტი სალიცენზიო ტურნირი აღარ ტარდება, მაგრამ ახლა ხელმოცარულებს საგზურების მოპოვება ოლიმპიადამდე დარჩენილ ორ სეზონში რამდენიმე ტურნირში შეეძლებათ - მსოფლიოს თასის ცალკეულ ეტაპებზე და ცალკეულ კონტინენტურ - აფრიკის, ამერიკის, ევროპის, აზიის და ოკეანეთის ჩემპიონატებში. ოღონდ მხოლოდ გამარჯვებულებს, მაგრამ აქ ადგილმონაცვლეობის პრინციპი იმოქმედებს, ანუ, თუ ჩემპიონს უკვე ექნება ლიცენზია, მაშინ ის მის მომდევნოს გადაეცემა. თუ იმასაც ექნება, იმის მომდევნოს და ასე შემდეგ... ამდენად, ლონდონის საგზურის მისაღებად აღნიშნულ შეჯიბრებებში გამარჯვება იქნებ სულაც არ იყოს საჭირო. აქვე ისიც განვმარტოთ, რომ სეზონში მსოფლიოს თასის ოთხ-ოთხი ეტაპი იმართება, ანუ ორ წელიწადში რვა, რასაც ტყვიის სროლის ჩვენთვის საინტერესო დისციპლინებში გასამართი ორ-ორი ევროპის პირველობა ემატება - პნევმატური და სპორტული პისტოლეტებით სროლაში.

ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა ამ ჩემპიონატისთვის დასკვნითი შეკრება მოსკოვში გაიარეს რუსეთის ნაკრებთან ერთად. მას შემდეგ, რაც ჩვენებს ჯერ ერევანში, მერე კი ალუშტაში დაგეგმილი შეკრებები ჩაეშალათ, მოსკოვიდან მიიღეს მიწვევა ერთობლივ ვარჯიშებზე და სიამოვნებითაც დასთანხმდნენ. ვიზების მიღების პროცესის გაჭიანურების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ჩავიდნენ და ივარჯიშეს. როგორც სალუქვაძემ გვითხრა, მასპინძლებმა ისინი ძალიან კარგად მიიღეს, სავარჯიშოდ მაქსიმალურად კარგი პირობები შეუქმნეს და მართლაც ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა.

ჩვენებურთაგან მსოფლიოს ჩემპიონატში პირველი ქადაგიძე ჩაებმება - 31 ივლისს სპორტული პისტოლეტით სროლაში საკვალიფიკაციო ეტაპში, 3 აგვისტოს კი პნევმატურიდან ისვრის. 5-ში ფანჩულიძე იასპარეზებს, ნინო სალუქვაძე კი 8 აგვისტოს ასევე პნევმატურიდან სასროლად დადგება სტარტზე, ხოლო მეორე დღეს სპორტულში შეეცდება წარმატების მოპოვებას. 7 აგვისტოს იასპარეზებს გუბიევა, ვაჟთა სამეული კი 8-ში ჩაერთვება შესარჩევ ეტაპში.

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი | მსოფლიო ტური

# საქა-რთველომ ფავორიტები დასცა



მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, რომელიც ავსტრიის საკურორტო ქალაქ კლაგენფურტში დაიწყო, ქალთა შეჯიბრებაში **საქა-რთველომ** ბრწყინვალე სტარტი აიღო. ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯგუფური ტურნირის პირველ დღეს ორიდან ორივე შეხვედრა მოიგეს.

საქა-რთველო, რომელიც ტურნირზე მე-18 ნომრადაა განთესილი, B ჯგუფის პირველ მატჩში კარგად ნაცნობ, მაგრამ უხერხულ მეტოქეს, მე-15 ნომრად განთესილ ბერძნულ წყვილ **ციარციანი-არვანითის** დაუპირისპირდა. ჩვენმა დუეტმა თითქმის ერთსაათიანი ბრძოლა სამ სეტში მოიგო - 17:21, 21:17, 19:17.

შემდეგი მეტოქე ტურნირის ფავორიტი, მე-2 ნომრად განთესილი ბრაზილიური წყვილი **ტალიტა-ანტონელი** გახლდათ. ამ დუეტთან ჩვენს ბრაზილიელებს არაერთხელ უთამაშიათ, მაგრამ არასდროს მოუგიათ. ამჯერად საქართველომ სენსაცია გამოაცხო და ფავორიტებს ურთულეს ბრძოლაში, რომელმაც საათსა და 10 წუთს გასტანა, სამ სეტში მოუგო - 24:26, 21:17, 15:10.

ჯგუფში მესამე შეხვედრას საქართველო დღეს გამართავს. მოწინააღმდეგენი იქნებიან სლოვენიელი დები ფაბიანები, რომლებმაც ორიდან ორივე შეხვედრა წააგეს. გამარჯვების შემთხვევაში საქა-რთველო პირდაპირ მერვედფინალში გავა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შესაძლოა მერვედფინალის შესარჩევში მოუწიოს ასპარეზობამ.

ვაჟთა შეჯიბრებაში **გეორ-გია** დღეს ჩაებმება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | საქართველოს ნაკრების მეტოქე. პოლონეთი

# კელატის და გორტატის



ტომას კელატი

2 აგვისტოს საქართველოს ნაკრები პოლონელებს უმასპინძლებს. ორივე გუნდმა საკონტროლო მატჩები მოისტუმრა და პირველი ოფიციალური შეხვედრისთვის გამალებით ემზადება.

პოლონეთის ნაკრები შეკრების დასკვნით ეტაპს ლოძში გადის. **იგორ გრიშჩუკის** გუნდი პარასკევს დედაქალაქ ვარშავაში გადავა, საიდანაც შაბათს, საქართველოში გამოფრინდება. მათი თვითმფრინავი თბილისში შაბათს შუადღისას დაეშვება.

პოლონელებს ჩამოყვებათ **თორნიკე შენგელიას** თანაკლუბელი **ტომას კელატი**, რომელსაც პოლონეთის პასპორტის აღება გაუჯანჯლდა... თუმცა ქვეყნის მეთაურის ბრძანება ოფიციალურ მატჩებამდე მოესწრო და გადაწყდა, რომ კელატი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. იგი „ვალენსიას" გასულ სეზონში ევროთასის მოგებაში დაეხმარა, გაისად კი არანაკლებ ძლიერ გუნდში ითამაშებს - მიწვევები აქვს „რეალიდან", „ოლიმპიაკოსიდან" და „კახა ლაბორალიდან".

პოლონეთის ნაკრებს 20 ივლისს შეუერთდა „ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **მარცინ გორტატი**. მან გუნდთან ერთად ორი მატჩი ჩაატარა და სლოვაკების ძლევაში დიდი წვლილიც შეიტანა: პირველ შეხვედრაში 21 ქულა ჩააგდო, მეორეში - 18. ასე რომ, **ზაზა ფაჩულიას** და **გიორგი შერმადინს** მის შესაჩერებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.

პოლონელებს გორტატის გარდა კიდევ ერთი მაღალი დონის მეფარე ჰყავთ - **მაცეი ლამპე**, რომელიც შარშან რუსულ უნიქსში თამაშობდა. მან სლოვაკეთთან ორივე მატჩში 12-12 მოხსნა მიითვალა.

პოლონელთა თავკაცი საქმეშია ჩართული და მეტოქეებზე ჯერ არაფერს ამბობს, სამაგიეროდ, იქაური კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან ლუდვიჩუკმა** თანამემამულეებს გაახსენა, რომ NBA-ს ცენტრი მხოლოდ პოლონეთის ნაკრებში არ თამაშობს:

- ფავორიტებად მიგვიჩნევენ, მაგრამ წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ყველა მეტოქესთან რთული მატჩი გველის. ავიღოთ თუნდაც საქართველოს ნაკრები, რომელიც A დივიზიონში შარშან გადმოვიდა. ჩვენს მსგავსად ქართველებსაც ჰყავთ NBA-ს წარმომადგენელი - ზაზა ფაჩულია.

პოლონურ პრესაში კიდევ ერთ ქართულ გვარს შევხვდით: გამოცემა „გაზეტა" გვახსენებს, რომ **გიორგი ცინცაძე** გასულ სეზონში პოლონურ „სოპოტში" თამაშობდა და 2009 წელს B დივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი იყო...

**პოლონეთი-სლოვაკეთი 108:57**

25:16, 26:10, 30:10, 27:21

პოლონეთი: ჩილინსკი (14 წთ, 7 ქ), ბერიშა (12 წთ, 3 ქ), ლამპე (21 წთ, 15 ქ, 12 მ), შუბარგა (23 წთ, 10 ქ, 2 მ, 8 პ), დილევიჩი (14 წთ, 6 ქ, 4 მ), ბიალეკი (5 წთ, 2 ქ, 2 მ), პრიჩანიუკი (16 წთ, 12 ქ), მაიევსკი (14 წთ, 3 ქ, 2 მ), ვაჩინსკი (14 წთ, 5 ქ), გორტატი (18 წთ, 21 ქ, 3 მ, 2 პ), ლაპეტა (7 წთ, 2 ქ, 2 მ), კოზარეკი (17 წთ, 12 ქ, 7 პ), კელატი (22 წთ, 10 ქ, 3 მ), კიკოვსკი (4 წთ).

**პოლონეთი-სლოვაკეთი 70:46**

18:9, 19:11, 17:12, 16:14

პოლონეთი: ჩილინსკი (15 წთ, 4 ქ), ბერიშა (15 წთ, 5 ქ), ლამპე (23 წთ, 9 ქ, 12 მ), შუბარგა (20 წთ, 4 ქ, 2 მ, 4 პ), დილევიჩი (17 წთ, 9 ქ, 6 მ, 2 პ), ბიალეკი (2 წთ, 2 ქ, 2 მ,), პრიჩანიუკი (10 წთ, 4 ქ, 4 მ), მაიევსკი (15 წთ, 5 ქ, 2 მ), ვაჩინსკი (10 წთ, 2 ქ, 2 მ), გორტატი (28 წთ, 18 ქ, 15 მ, 2 პ), კოზარეკი (20 წთ, 2 მ, 3 პ), კელატი (25 წთ, 8 ქ, 2 პ).

ვაჟა სიმონიშვილი

U 18 | XVII-XX ადგილები

# კიდევ კარგი, C დივიზიონი არ არსებობს

28 ივლისი, თელ-ავივი (ისრაელი)

**საქართველო-სლოვაკეთი 64:78**

23:19, 16:17, 11:26, 14:16

საქართველო: ჩერქეზიშვილი (9 წთ, 3ქ), სანაძე (37 წთ, 21ქ, 7მ, 4ჩ), ბოქოლიშვილი (7 წთ), ელიაძე (26 წთ, 14ქ, 4მ), ტეტელაშვილი (37 წთ, 8ქ, 7პ), თენიეშვილი (34 წთ, 12ქ, 8მ), ჯავახიშვილი (18 წთ, 3ქ, 4მ), მუმლაძე (28 წთ, 3ქ), რევაზაშვილი (4 წთ)

სლოვაკეთი: ბოიანოვსკი (23ქ, 7მ), სუსკა (10ქ), პატრიკი (18ქ)




ევროპული ნაკრებები ორ დივიზიონად 2003 წელს გაანაწილეს. მას შემდეგ პირველად გუშინ დავინტერესდით, B დივიზიონის ქვემოთ რა ლიგაა...

ამის მიზეზი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წარუმატებელი სვლაა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით წააგო ესტონეთთან, ავსტრიასთან, ლუქსემბურგთან, ჩერნოგორიასთან. ოთხი მარცხის შემდეგ ჩვენი გუნდი მოხვდა ჯგუფში, რომლის მონაწილეები მეჩვიდმეტე-მეოცე ადგილებს ინაწილებენ. აუტსაიდერთა რბოლაში ქართველები წარუმატებლად ჩაებნენ და ზედიზედ მეხუთე წაგება მიითვალეს. ამჯერად სლოვაკეთთან - 64:78.

როგორც წინა შეხვედრებში, მეტოქემ ფარქვეშ თამაშისას ამჯერადაც იყოჩაღა, **მიხეილ კობეშავიძის** გუნდს მოხსნებში 48:32 აჯობა. როცა წინა ხაზში არაფერი გამოდის, პერიმეტრიდან ტყორცნებს უნდა მიეძალო, თუმცა ქართველმა 18-წლამდელებმა სლოვაკებს ვერც სამქულიანებში აჯობეს (6:7).

ჩვენი ნაკრები დღეს პორტუგალიას დაუპირისპირდება, 31 ივლისს - რუმინეთს. იმედი დავიტოვოთ, რომ ბოლო (მეოცე) ადგილს თავს დააღწევს.

...ბევრი ვეძებეთ და აღმოვაჩინეთ, რომ 18-წლამდელებში C დივიზიონი არ არსებობს.

ვაჟა სიმონიშვილი




კალათბურთი და ტელევიზია

# ვიხილავთ გასვლითი მატჩების რეპორტაჟებს?

საქართველოს ნაკრების თბილისური შეხვედრების სანახავად ვინც სპორტის სასახლეში ვერ მივა, ჩვენი გუნდის ქომაგობა პირველი არხის ტელეეთერით შეეძლება. ეს საკითხი დიდი ხანია, გარკვეულია. გაცილებით მნიშვნელოვანია ეროვნული გუნდის გასვლითი მატჩების ამბავი - გულშემატკივრებთან ერთად მედიელებსაც გვაინტერესებს, ვიხილავთ თუ არა რეპორტაჟებს ბელგიიდან, პორტუგალიიდან, პოლონეთიდან და ბულგარეთიდან.

როგორც აღმოჩნდა, პორტუგალიელები მატჩის ტრანსლირებას საკუთარ ქვეყანაშიც არ აპირებენ, ამიტომ შეიძლება, პორტუგალია-საქართველო ჩვენც ვერ ვიხილოთ. თუმცა პირველი არხის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელმა **ვლადიმერ ნიკოლაიშვილმა** გვითხრა:

- პორტუგალიელებს თხოვნით მივმართეთ, რომ ტრანსლირებისთვის საჭირო აპარატურა დარბაზში მიიტანონ. თუ ეს მოახერხეს, მატჩის საქართველოში ჩვენებას შევძლებთ.

ასე რომ, ჯერჯერობით გაურკვეველია, განხორციელდება თუ არა რეპორტაჟი პორტუგალიიდან.

ბელგიასთან, პოლონეთთან და ბულგარეთთან ჩვენმა ტელევიზიამ შეთანხმებას უკვე მიაღწია და თითქმის გადაწყვეტილია, რომ სამივე გასვლითი მატჩი პირველი არხით გადაიცემა.

- პოლონელებთან, ბელგიელებთან და ბულგარელებთან კონტრაქტები უკვე შევათანხმეთ. თუმცა დასაზუსტებელია გარკვეული ტექნიკური საკითხები. ამიტომ დღეს შემიძლია განვაცხადო, რომ სამი რეპორტაჟის ჩვენი არხით ჩვენება 90 პროცენტითაა გადაწყვეტილი, - დასძინა ბატონმა ვლადიმერმა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება

ყაზახეთის ქალაქ ალმათის ტურნირის (25 ათასი დოლარი) მეორე წრე ჩვენებურებმა წარმატებით გადალახეს. მე-7 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (343) კორეელ **სუნ ჰე ჰანს** (445) აჯობა - 6:1, 4:6, 6:3. ხოლო მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (292) იოლად მოუგო ყირგიზ **ბერმეტ დუვანაევას** (731) - 6:3, 6:1. მიქაძის მეტოქე მეოთხედფინალში ყაზახური სენსაცია **ზარინა დიასია** (273). ეს გოგონა ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და შარშან რეიტინგის მოწინავე ორასეულშიც იყო. დიასი ალმათის ტურნირის პირველი ჩოგანია. თათიას ერთეულთა თანრიგში უკვე ზედიზედ 7 მოგება დაუგროვდა. არც შაფათავას მეტოქეა ურიგო ჩოგბურთელი, ყირგიზეთის სახელით მოასპარეზე ხაბაროვსკელი **ქსენია პალკინა** (319), რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრად განთესეს.

მიქაძისა და შაფათავას წყვილიც ბრწყინვალედ ასპარეზობს. ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ქართული დუეტი უკვე ნახევარფინალშია. მეოთხედფინალში მათ კორეელი ჰანი და რუსი **კუჩმინა** დაამარცხეს - 6:1, 6:4. ახლა მათი მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი უზბეკურ-ყირგიზული (**ხაბიბულინა, პალკინა**) დუეტია.

ესპანურ ვიგოში (25 ათასი დოლარი) წარუმატებლად იასპარეზა **სოფიო ქვაცაბაიამ** (397), მან ესპანელ **ლეტისია კოსტას-მორეირასთან** (338) წააგო - 2:6, 5:7. ქვაცაბაია წყვილთა თანრიგში აგრძელებს თამაშს გერმანელ **იუსტინ ოზგასთან** (342) ერთად.

ფერლანაში, ახალგაზრდული ტურნირის მერვედფინალში 14 წლის **თამარ ჩალალანიძემ** მე-8 ნომრად განთესილ 17 წლის უზბეკ **კაროლინა ჩერნაიასთან** წააგო, - 3:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

# შემდეგი გაჩერება აკი ბაშო

დასრულდა სუმოს ისტორიაში ყველაზე სკანდალური ბაშო და ჩვენც მცირე შეჯამებას შემოგთავაზებთ. გარდა იმისა, რომ ნაგოიას სუპერტურნირი სკანდალური იყო (მარტო ელიტურ დივიზიონში 6 სუმოისტი არა მხოლოდ დისკვალიფიცირებული იყო, არამედ ბაშოს განმავლობაში შინაპატიმრობასაც იხდიდა), ჩვენთვის მას ისტორიული დატვირთვაც ჰქონდა - პირველად ისტორიაში ელიტის უმაღლეს დივიზიონში (სუმოს სამყაროში ელიტად პირველ ორ დივიზიონს მიიჩნევენ) სამი ქართველი ჭიდაობდა: **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** და **ლევან ცაგურია (კოკაი)**. სამიდან ორისთვის ნაგოიას ბაშო წარუმატებელი გამოდგა, მხოლოდ „ძველმა გვარდიამ", კოკაიმ შეძლო ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება...

ახალი რეიტინგი გუშინ შეადგინეს ასოციაციის მსაჯთა კომიტეტში, მაგრამ მას კაციშვილი ვერ იხილავს 30 აგვისტომდე, როცა ბანძუკე ოფიციალურად გამოქვეყნდება. რეიტინგი მხოლოდ კალიგრაფებს დაურიგდებათ, რომელთაც თითოეულ სუმოისტს ბანძუკე ხელნაწერის სახით უნდა მიართვან. ასეთია ტრადიცია, იაპონიაში კი ტრადიცია ყველაფერია. გამოაქვეყნეს მხოლოდ იმ სუმოისტთა ვინაობა, რომელთაც მე-2 დივიზიონ ძურიოში მოხვედრა დაიბევეს (ესეც ტრადიციაა), ანუ სეკიტორები გახდნენ. ასე გახდა 22 წლის **ტოჩინოვაკა** ყველაზე ახალგაზრდა სეკიტორი, მან ეს წოდება ქართველ ტოჩინოშინს ჩამოართვა, თუმცა ტოჩინოშინი რჩება ელიტის უმაღლესი დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა წევრად.

ლევან გორგაძემ ბაშო 6-9 ბალანსით დაასრულა და ის დაკარგავს კომუსუბის ტიტულს, თუმცა რეიტინგში დიდად არ დაქვეითდება. სექტემბერში მას მიეცემა შანსი, დაიბრუნოს ტიტული. ქართველმა ბაშო ძალზე უიღბლოდ დაიწყო, პირველი 7 დღის შემდეგ 1-6 ბალანსი ჰქონდა, შემდეგ კი გამოფხიზლდა (5-3), მაგრამ უკვე გვიანი იყო. ელიტის დებიუტანტმა გაგამარუმ აშკარად ჩააგდო ნაგოიას ბაშო (5-10). 199-კილოგრამიან ქართველს რეიტინგში დაქვეითება არ ასცდება, თუმცა ის კვლავ ელიტაში დარჩება. აი, შემდეგი მაკეკოში კი მას უკან, ძურიოს დივიზიონში დააბრუნებს. წინ წაიწევს კოკაი, რომელიც მე-7 ან მე-8 მაეგაშირა გახდება. „შავმა ზღვამ" კარგად ჩაატარა მისთვის მე-40 ბაშო ელიტაში.

მორიგი სუპერტურნირი, აკი ბაშო ტოკიოში 12-26 სექტემბერს გაიმართება. ჩვენ კი სუმოს 30 აგვისტომდე დავემშვიდობოთ...

**ქართველები ციფრებში**

**ტოჩინოშინ ცუიოში**
(ლევან გორგაძე)

ასაკი: 22
სიმაღლე: 192; წონა: 159
დებიუტი: 2006 წ. მარტის ბაშო
უმაღლესი რეიტინგი: კომუსუბი
კლუბი: კასუგანო
ტიტულები: 1 ჯუნ-იუშო (მე-2 ადგილი), 2 მებრძოლი სული, ძურიოს ჩემპიონი.
კარიერის ბალანსი: 177-132-1 (27 ბაშო)
ელიტის ბალანსი: 102-108 (14 ბაშო)
ილეთები: 81 იორიკირი, 22 უვატენაგე, 14 იორიტაოში, 13 ოშიდაში, 12 ცურიდაში.

**გაგამარუ მასარუ**
(თეიმურაზ ჯუღელი)

ასაკი: 23
სიმაღლე: 185; წონა: 199
დებიუტი: 2005. ნოემბრის ბაშო
უმაღლესი რეიტინგი: მე-12 მაეგაშირა
კლუბი: კიტანოუმი
ტიტულები: ძურიოს, მაკუშიტას და ჯონოკუჩის ჩემპიონი.
კარიერის ბალანსი: 143-93 (29 ბაშო)
ელიტის ბალანსი: 5-10 (1 ბაშო)
ილეთები: 50 ოშიდაში, 33 იორიკირი, 15 იორიტაოში, 12 ოშიტაოში, 10 ჰატაკიკომი

**კოკაი ფუტოში**
(ლევან ცაგურია)

ასაკი: 29
სიმაღლე: 189; წონა: 165
დებიუტი: 200. მაისის ბაშო
უმაღლესი რეიტინგი: კომუსუბი
კლუბი: ოიტეკაძე
ტიტულები: 1 ჯუნ-იუშო, 2 მებრძოლი სული, 2 კინბოში (იოკოძუნას წაქცევა), ძურიოს, მაკუშიტას, სანდანმესა და ჯონიდანის ჩემპიონი.
კარიერის ბალანსი: 384-353 (56 ბაშო)
ელიტის ბალანსი: 287-313 (40 ბაშო)
ილეთები: 95 ოშიდაში, 83 იორიკირი, 58 ჰატაკიკომი, 18 ჰიკიოტოში, 16 ოშიტაოში.

ნიკოლოზ ნეფარიძე


კოკაი


გაგამარუ


ტოჩინოშინი

**მილოცვები**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაბადების დღეს ულოცავს ღვაწლმოსილ ვეტერან ქართველ სპორტსმენებს ვლადიმერ ბარქაიას (ფეხბურთი), თამაზ იმნაიშვილს (სასტენდო სროლა) და ომარ ეგაძეს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტული ქრონიკები

## გამოხმაურება

რედაქციისაგან: 1989 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა ფილოლოგმა, პროფესორმა თამაზ კვაჭანტირაძემ. „ქართული ქრონიკების“ წინა გამოშვებაში გამოქვეყნდა „ლელოს“ არქივში შემორჩენილი სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც, სამწუხაროდ, დაზღვეული არ ყოფილა დასანანი ხარვეზებისგან.

ზემოხსენებული პუბლიკაციის შემდეგ ბატონი თამაზი რედაქციაში გვესტუმრა და გადმოგვცა იმ გამოსვლის სრული ტექსტი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

# ქება სიჯანსაღეს

### სიტყვა, წარმოთქმული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებისას

**ბატონებო!**

სიჯანსაღე, ასე მგონია, თავისუფლებაც არის... და — პირუკუ: თავისუფლება სიჯანსაღეც გახლავთ... მოკლედ, ერთი მეორეს გულისხმობს. ჯანმრთელობას დაკარგავ და — სულ ერთია, კერძო კაცი იქნები თუ მთელი ერი — თავისუფლებაც გეზღუდება. მეორე მხრივ, თავისუფლების წაგვრა უცილობლად იწვევს ჯანმრთელობის შერყევას, დაავადებას. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს თავისუფლების წამგვრელი ერი სნებოვანების გამავრცელებლად. ჩვენ, ქართველებს, გვაკლდა თავისუფლება, ესე იგი, გვკლებია სიჯანსაღეც. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ჩვენს დაავადებაზე ლაპარაკი და არა იმ უკულმართული გაგებით, რის დამკვიდრებასაც რასპუტინ-ასტაფიევი და „ძმანი მათნი“ ლამობენ; ეს იმასა ჰგავს, ბოდიში მომითხოვია და, ნაძრახმა დედაკაცმა ლუესის ჯვრებით დაგაჯილდოვოს და თანაც აქეთ გიჩივლოს — გლახა სნეულებას ავრცელებო.

მრავალი ფაქტისა და ციფრობრივი მონაცემის მოყვანა შეიძლებოდა ჩვენი ერის სპორტულობის დამადასტურებლად. აქ ითქვა, რომ ერთ სულ მოსახლეზე ოლიმპიური ჩემპიონების რაოდენობით ჩვენ, ვგონებ, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი ვუსწრებთ... ამგვარმა სტატისტიკამ მეც გამახარა, ოლონდ... არ მინდოდა ერთგვარი დისონანსი შემეტანა ამ ზეაწეულ განწყობილებაში, მაგრამ მაინც ვიტყვი — ციფრები და სტატისტიკა ყოველთვის როდია არსის წარმომჩენი. სტატისტიკას რომ გავყვეთ, ერთ სულ მოსახლეზე ჩვენ, ქართველებმა, ექიმების რაოდენობითაც უკვე კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ ამერიკაცა და საფრანგეთიც, ჩვენს ავადმყოფებს კი — ამერიკას სად შევწვდებით და — ლამის გლანდების ამოსაკვეთადაც მოსკოვს მივარბენინებთ. მეც ვგრძნობ, რომ — როგორც ყოველი შედარება — ეს ანალოგიაც მოიკოჭლებს, მაგრამ ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდოდა:ვაითუ დიდი სპორტის მიღწევებმა და ოლიმპიური მედლების ბრჭყვიალმა თვალი ისე მოგვჭრას, რომ ვერ დავინახოთ მთლიანად ერის სიჯანსაღის, მისი ჯანმრთელობის მრავალი უმძიმესი და გადაუჭრელი პრობლემა. განა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელია ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდების ან თუნდაც „ძველგაზრდების“ ფიზიკური მზადყოფნა? ეს დონდლო, ქონმოდებული და გათრიაქებული ხალხი ვაპირებთ საქართველოს გათავისუფლებას?

არადა, ჩვენ მართლაც ვართ სპორტული ერი, რამდენადაც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ფეთქავს ჩვენში ძველი მეომარი ტომის გენი; ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი შერკინების, შეტოქების, შეჯიბრის, ჭიდილის ჟინი. და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ჩვენი სპორტულობა, ჩემი აზრით, ჩვენი დემოკრატიული ბუნებიდანაც გამომდინარეობს: ჩვენ, ქართველებს, უთანასწორო ომებში რომ გავცვდით, გვიზიდავს სპორტული არენა, ის ასპარეზი, რომელიც მოდელია სისხლსავსე ცხოვრებისა, მაგრამ — გაუმჯობესებული მოდელი: აქ დემოკრატიული თანასწორობის სული ტრიალებს, სპორტულ ასპარეზზე ორნი ერთს არ ებრძვიან, მძიმე მჩატეს არ ერკინება, აქ არ არსებობს პატრონი და ყმა... „ვეფხისტყაოსანი“ გავიხსენოთ, სადაც თამამი მოყმე ავთანდილი საასპარეზოდ იწვევს თავის პატრონს მეფე როსტევანს:

**„მინაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია,**
**ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მონმედ თქვენნივე ყმანია.**
**მოასპარეზედ ვინ მგავსო? — ცუდნილა უკუთქმანია,**
**გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია“.**

და, ცხადია, ისიც გახსოვთ, რომ სპორტულ ასპარეზზე სამეფო ჯილამ ვერ უშველა როსტევანს, შეჯიბრის ბედი თვალმა და მკლავმა გადაწყვიტა. ამ თანასწორობისა და სამართლიანობისთვისაც გვიყვარს და გვიზიდავს ქართველებს სპორტი.

ოლიმპიური დამოუკიდებლობა ერთი შემადგენელი ნაწილია საერთო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ამავე დროს სპორტული სუვერენიტეტი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ერის გაჯანსაღებას. აკი თავშივე მოგახსენეთ, თავისუფლება სიჯანსაღეც არის-მეთქი. ზოგი ასე ფიქრობს, ჯერ გავთავისუფლდეთ და მერე გავჯანსაღდებითო... არადა, განსათავისუფლებლად სწორედ სიჯანსაღეა საჭირო. მიზანიც ნათელია: ჩვენი ერის გაჯანსაღება-გათავისუფლების წმინდა საქმეს უნდა ემსახუროს ახლად დაფუძნებული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ცრემლი მარტო უბედურებამ როდი იცის... გვინახავს ოლიმპიურ ჩემპიონთა ბედნიერების ცრემლიც თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავად ეროვნული დროშის აღმართვისას. მჯერა, ჩვენც აგვიკიაფდება თვალზე ამგვარი ცრემლი, როცა ოლიმპიური გამარჯვების მაცნედ საქართველოს ეროვნული დროშა ცად აიჭრება.

## თარიღი — 29 ივლისი–4 აგვისტო

**29.07.1937 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ბარქაია** — ფეხბურთი.
**29.07.1948 წ.** ლონდონში გაიხსნა ზაფხულის XIV ოლიმპიური თამაშები.
**30.07.1970 წ.** დაიბადა **ლევან თიბილოვი** — ციგაობა.
**31.07.1970 წ.** დაიბადა **ქრისტინა ფალასანიდი** — სინქრონული ცურვა.
**1.08.1949 წ.** დაიბადა **ქეთევან ლოსაბერიძე** — მშვილდოსნობა.
**1.08.1936 წ.** ბერლინში გაიხსნა ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშები.
**1.08. 1925 წ.** დაიბადა **მზია ჯუღელი** — ტანვარჯიში.
**2.08.1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია.
**2.08.1940 წ.** დაიბადა **ოთარ მიმინოშვილი** — წყალბურთი.
**3.08.1922 წ.** დაიბადა **ავთანდილ ღოღობერიძე** — ფეხბურთი.

## იყო ასეთი შემთხვევა...

# ადამიანებს არ ერჩისო...

**ზურაბ ყიფშიძე იგონებს:** თბომავალ „გრუზიაზე“ ვიმყოფებოდით ლევან თედიაშვილთან, ლანა ღოღობერიძესთან, მამუკა კიკალეიშვილთან და სხვებთან ერთად. ბათუმიდან დავიძარით, 1986 წელია, გახურებული მსოფლიოს ჩემპონატია მექსიკაში და ისეთ განცდაში ვარ, ვის ახსოვს გართობა და დასვენება? მამუკა კიკალეიშვილი მაწყნარებდა: გიჟი ხარ, ეგრე ნუ იკლავ თავს. ყველა გულაობს, შენ კი ეკრანს მისჩერებიხარო. რომელი გუნდების შეხვედრა იყო, აღარ მახსოვს, მაგრამ რაღაც საშინელება მოხდა მინდორზე, ისე გავნერვიულდი, იქვე კედელი იყო (ჩვეულებრივი მეგონა), გაცოფებულმა მუშტი ვგლიჯე და ბოლომდე გავარღვიე. რა ვიცოდი, სიფრიფანა და დეკორატიული თუ იყო? — გემი დაამტვრია ამ შობელძაღლმაო — აყვირდა ლევან თედიაშვილი. ირგვლივმყოფები კი დაამშვიდა: ეგა თავის მატორზე არ არის, მაგრამ ნუ გეშინაათ, ადამიანებს არ ერჩისო...

\ჟურნალი „ათიანი“, №27, 2009 წ.\

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** „სათრეველა“ (საბაგირო გზა) საქართველოში აიგო ბაკურიანში, კოხტაგორას მთაზე 1954 წელს. მისი სიგრძე იყო 1400 მ.

**პირველმა** საქართველოს მოციგურავეებიდან დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში იასპარეზა **ბესარიონ ცინცაძემ** (1994 წ.)

**პირველად** საქართველოდან ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მწვრთნელთა სამკაციან ჯგუფში შედიოდა **ნოდარ ახალკაცი**. ეს მოხდა 1982 წელს ესპანეთში. სსრ კავშირის ნაკრებში კი ქართველებიდან ხსენებულ ჩემპიონატში ითამაშეს **ალექსანდრე ჩივაძემ** (გუნდის კაპიტანი), **თენგიზ სულაქველიძემ, ვიტალი დარასელიამ** და **რამაზ შენგელიამ.**

## ვინ რა თქვა

ხელოვნებაა ტექნიკური ცოდნითა და შემოქმედებითი ინტუიციით შეთხზული ყველა ნაწარმოები. ოსტატობა ხელოვნებისადმი ეკვივალენტურია. ჭადრაკი შემოქმედებაა, ვინც ერუდირებული და ტალანტით დაჯილდოებულია, ის ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის. კარგი საჭადრაკო პარტია მუდამ კმაყოფილების მომნიჭებელია.

**სერგო ქობულაძე**

## ივერია წერდა

ძველ დროს ქართველსა ნადირობა მარტო სახეირო და სასარგებლო საქმედ არ მიაჩნდა. ნადირობა უფრო სავაჟკაცო დროს გატარება და ვარჯიშობა იყო...

**გაზ. „ივერია“, 1879.**

## თქვენთვის ერუდიტებო — ვიქტორინა

1. რომელ წელს გავიდნენ პირველად საქართველოს ძიუდოისტები საერთაშორისო სარბიელზე?
ა – 1955 წელს
ბ – 1956 წელს
გ – 1957 წელს

**2. რომელ წელს შეიტანეს პირველად ძიუდო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?**
ა – 1960 წელს
ბ – 1964 წელს
გ – 1968 წელს

**3. რომელ წლებში მოიპოვა ძიუდოში ქართველებიდან პირველმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული თემურ ხუბულურმა?**
ა – 1977 და 1978 წლებში
ბ – 1978 და 1980 წლებში
გ – 1979 და 1981 წლებში

**4. რომელმა ქვეყანამ მიიწვია ქართველი მწვრთნელები ძიუდოში პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად?**
ა – საფრანგეთმა
ბ – იაპონიამ
გ – თურქეთმა

5. გასული საუკუნის რომელ წლებში მიიჩნეოდა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები საუკეთესოდ მთელს საბჭოთა კავშირში?
ა – 1970-იან წლებში
ბ – 1980-იან წლებში
გ – 1990-იან წლებში

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

## ფოტოისტორია — 35 წლის წინათ



მარცხნიდან: ლია გაბელია, მარინე ცერცვაძე, ირაკლი ჯაფარიძე

მაგიდაზე სიყვითლეშეპარული სურათები ელაგა. ერთმა ფოტომ მიიპყრო ჩემი ყურადღება. მასზე ქართველი ფიგურულად მოციგურავეები — **მარინე ცერცვაძე, ლია გაბელაია და ირაკლი ჯაფარიძე** არიან აღბეჭდილნი.

— ეს სურათი 1975 წელს არის გადაღებული თბილისის საციგურაოზე, — მითხრა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ. — ის წელიწადი ჩვენთვის უხვმოსავლიანი გამოდგა. თებერვალ-მარტის მიჯნაზე სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მარინე ცერცვაძემ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველ-მეორე ადგილებზე ლენინგრადელი ტატიანა რაკონსა და მოსკოვში მცხოვრები ქართველი მეკარის ვალტერ სანაიას ქალიშვილი მარინე სანაია გავიდნენ. 3-5 აპრილს კი ტაშკენტში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდა, რომელშიც, ელენა ვოდორეზოვას გარდა, ყოფილი საბჭოეთის ყველა უძლიერესი ფიგურულად მოციგურავე გამოდიოდა. კვარცხლბეკის სამივე საფეხური ქართველებმა დაიპყრეს — პირველ ადგილზე მარინე ცერცვაძე გავიდა, მეორეზე — თბილისელი ლია გაბელაია, ბრინჯაო მარინე სანაიას ხვდა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა. ეს სურათი მე, მარინემ და ლიამ უზბეკეთის დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ გადავიღეთ...

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ორივე სპორტსმენს მაშინ ირაკლი ჯაფარიძე ავარჯიშებდა და ტაშკენტში მიღწეული წარმატებისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

მკითხველს, უეჭველია, ქართველ მოციგურავე ქალთა შემდგომი ბედიც დააინტერესებს: მარინე ცერცვაძემ 1976 წელს ნოვოსიბირსკში ზედიზედ მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, საკავშირო ჩემპიონატზე კი მეოთხე იყო. როსტოვში საერთაშორისო ტურნირზე ბრინჯაო ხვდა. 1977 წელს მძიმე ტრავმის გამო აქტიურ სპორტს თავი დაანება, მწვრთნელობა დაიწყო. თბილისში შეიქმნა მარინე ცერცვაძის სახელობის კლუბი. 1979 წელს თავისი ბედი ირაკლი ჯაფარიძეს დაუკავშირა. ორი ვაჟი შეეძინათ. უმცროსი, **ოთარი** მშობლების გზით წავიდა და წლეულს სპორტულ ცეკვებში **ელისონ რიდთან** ერთად ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა.ქალბატონი მარინე ამჟამად საქართველოს მოციგურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

ლია გაბელაიამ სპორტთან განშორების შემდეგ საქმიანობის სხვა სფერო აირჩია — ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს ოჯახთან ერთად და იქვე მუშაობს.

მარინე სანაია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია. მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებშიც იწვევენ სამსაჯოდ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით კაკაბაძესთან



# უმაღლესში დასარჩენად ხარებს ხარივით შრომა დასჭირდებათ

**რუსთავის „ხარები“, ისევე, როგორც შარშანდელ სეზონში, ამჟამადაც უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. საკმაოდ ახალგაზრდული, საინტერესო მორაგბეებით დაკომპლექტებული გუნდი ვერაფრით ახერხებს, რუსთავულ რაგბის ოდინდელი დიდება დაუბრუნოს. არადა, საქართველოს ნაკრებში ამ ქალაქში დაფრთიანებული მორაგბეები ამჟამადაც მრავლად თამაშობენ.**

**„ხარები“, რომლის მწვრთნელთა შტაბში ახლახან ცვლილებები მოხდა, საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და აქტივში მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს. რუსთაველები თასის გათამაშებაშიც ვერ გამოვიდნენ კარგად და ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ. კლუბში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო მიზნებზე ალმასრულებელ დირექტორს დავით კაკაბაძეს ვესაუბრეთ.**

- საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრეში გუნდის თამაშით, ცხადია, უკმაყოფილონი ვართ. შვიდი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოვიგეთ. არადა, გუნდს პოტენციალი ბევრად მეტი აქვს. მართალია, ყველაფერთან ერთად მოთამაშეთა ხშირმა ტრავმიანობამაც შეგვიშალა ხელი, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, გუნდს გაცილებით უკეთესად უნდა ეთამაშა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ განბილებულები დავრჩით.

**- რა მიზანი დაუსახეთ გუნდს სეზონის წინ და რა გააკეთა ხელმძღვანელობამ მის მისაღწევად?**

- მიზანი შარშანდელზე უკეთესი შედეგის მიღწევა იყო. გახსოვთ, ალბათ, „ხარები“ ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად პლეი ოფში მოუწია თამაშმა. შარშან პირველი წრის შემდეგ ორი მატჩი გვქონდა მოგებული და ბოლოსწინა ადგილზე ვიყავით. წლეულს მდგომარეობა უფრო მძიმეა.

ასე რომ არ ყოფილიყო, გუნდის ხელმძღვანელობამ ყველაფერი ილონა. მოთამაშეებმა ვერ შეძლეს თავიანთი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა. მათ გაცილებით მეტი შეუძლიათ.

**- გუნდმა მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა, თანაც ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ვისოლი\ყოჩებთან“. „ხარებმა“ ლიდერთა რისხვის სახელი შარშანდელი სეზონიდან დაიგდო, როცა პირველივე ტურში მაშინდელი ჩემპიონი, თბილისის „ლოკომოტივი“ დაამარცხა. რით შეიძლება ეს აიხსნას?**

- ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, აქ მთავარი ფსიქოლოგიური მომენტია. როგორც ჩანს, ჩვენი მორაგბეები ლიდერებთან თამაშში მეტად ინდომებენ, რაც მათი პოტენციალის სრულ გამოვლენას უწყობს ხელს. ეს, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ ძალების ასეთივე კონცენტრაცია გუნდს ყველასთან უნდა შეეძლოს. ვეცდებით, ამ მიმართულებით ბევრად მეტი ვიმუშავოთ.

**- თქვენ აქამდე გუნდის მთავარი მწვრთნელი იყავით. ამჟამად კი ალმასრულებელი დირექტორი ხართ. ვინ მოამზადებს გუნდს ჩემპიონატის მეორე წრისთვის?**

- „ხარების“ მწვრთნელი ზაზა ხუციშვილი იქნება. ალბათ, გახსოვთ, რომ სეზონის დაწყების წინ თვრამეტწლამდელთა ნაკრებთან ვმუშაობდი. ამიტომ გუნდი ჩემპიონატისთვის მან მოამზადა. მე საწვრთნელ პროცესს ჩამოცილებული ვიყავი და ამიტომ გადავწყვიტეთ, საქმე ბოლომდე მან მიიყვანოს. ჩემი ფუნქცია ამჟამად საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტით შემოიფარგლება. პარალელურად „ხარების“ ბავშვთა გუნდებსაც ვწვრთნი.

**- „ხარებმა“ ვერც საქართველოს თასის გათამაშებაში შეძლო დამაკმაყოფილებელი შედეგის ჩვენება...**

- დიახ, თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოვეთიშეთ. სამწუხაროა, მაგრამ ნახევარფინალისკენ გზა ჩემპიონატში უშუალო კონკურენტმა „ბათუმი XV“-მ გადაგვიკეტა. სტუმრად თამაშში ორი ქულის სხვაობით - 18:20 წავაგეთ. არადა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ მოგებაც შეგვეძლო.

**- შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატი წლეულს პირველად ტარდება რამდენიმე ეტაპად. მეორე ეტაპზე „ხარებს“ მონაწილეობა არ მიუღია...**

- იმიტომ, რომ იმ დროისთვის, როცა მეორე ეტაპის გამართვა გადაწყვიტეს მორაგბეები შვებულებაში იყვნენ წასულნი. არადა, პირველ ეტაპზე, რომელიც გაზაფხულზე, საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ გაიმართა, მე-5 ადგილი დავიკავეთ. მაშინ გუნდმა მშვენივრად ითამაშა და კმაყოფილნი ვიყავით.

შვიდკაცა რაგბი ძალიან სასარგებლოა გუნდის უკანა ხაზის მოსამზადებლად. მოთამაშეები მეტ გამოცდილებას ილებენ, თამაშს უფრო ხვეწენ და, ვფიქრობ, შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპად ჩატარება კარგი წამოწყებაა. ოლონდ საჭიროა, ამ ეტაპების გამართვის დრო სწორად შეირჩეს.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „ხარებს“ საკმაოდ სოლიდური სპონსორი ჰყავს და მალე სარაგბო ინფრასტრუქტურის საკითხიც დადებითად გადაწყდება...**

- „ხარების“ სპონსორი „ჰაიდელბერგცემენტია“. დიდ დახმარებას გვიწევს ქალაქის მერიაც. სწორედ მათი უშუალო ხელშეწყობითაა, რომ რუსთავში სარაგბო სტადიონის მოსაწყობად ტერიტორია გამოიყო და მალე მშენებლობაც დაიწყება. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია.

**- საქართველოს ჩემპიონატი დაახლოებით თვენახევარში განახლდება. „ხარებს“ უძნელესი მეორე წრე ელის. რა ცვლილებებია მოსალოდნელი შემადგენლობაში და როგორ აპირებთ ურთულესი ბრძოლებისთვის მზადებას?**

- მართალია, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ყველაფერი დაკარგული არ არის. მეორე წრის პირველივე შეხვედრა რუსთავში უშუალო კონკურენტ „ბათუმი XV“-სთან გვაქვს. ფარ-ხმლის დაყრას არც სხვა გუნდებთან ვაპირებთ. იოლად არაფერს დავთმობთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

რაც შეეხება ცვლილებებს, „ბათუმი XV“-დან გადმოვიდა პირველხაზელი სერგო მოქია, რომელიც ამ სათამაშო რგოლში არსებულ ხარვეზს აღმოგვიფხვრის. სხვა ცვლილება მოსალოდნელი არ არის. საწვრთნელ შეკრებას 22 აგვისტოდან, სავარაუდოდ, მანგლისში მოვაწყობთ. ვეცდებით, კარგად მოვემზადოთ და უძლიერესთა შორის ადგილი შევინარჩუნოთ.

სამი ერი

# პაპარაცები ოლ ბლექსის წინააღმდეგ

სამი ერის წლევანდელი გათამაშება სკანდალებითა და მხიარული ამბებით ალსავსე ალმოჩნდა. გუშინ ავსტრალიურ გაზეთებში დაიბეჭდა ფოტო, რომელიც ერთ-ერთმა მელბურნელმა ფოტოკორესპონდენტმა ახალი ზელანდიის ნაკრების ვარჯიშისას გადაიღო.

სურათზე ალბეჭდილია დაცვაში თამაშის სქემები, რომელთა დამუშავებასაც „ოლ ბლექსის“ მწვრთნელი **გრემ ჰენრი** ვარჯიშისას აპირებდა. ფურცელი, რომელზეც ეს სქემებია გამოსახული, ხელში ახალზელანდიელთა თავკაცს უჭირავს.

ამ ფაქტმა, ბუნებრივია, ახალზელანდიელთა ალშფოთება გამოიწვია:

„ჩვეულებრივი ამბავია, რომ პრესის წარმომადგენლებს რამდენიმე წუთით ვარჯიშზე დასწრების უფლებას ვაძლევთ. მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა ნდობა ბოროტად გამოიყენა და დაუწერელი კანონი დაარლვია.

გუშინ მთელი ვარჯიში დაცვაში თამაშს დავუთმეთ და მიუხედავად იმისა, რომ დამუშავებული სქემები მეტოქისთვის ხელმისაწვდომი გახდა, მაინც არაფრის შეცვლას ვაპირებთ. შაბათ სალამოს რაგბის ქომაგს ღირსეული კაცების ბრძოლის ხილვა ელის და არა მგონია, ერთი უტაქტო ადამიანის საქციელმა, ერთმა ფოტომ რამეზე გავლენა იქონიოს“ - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **სტივ ჰენსენმა.**

ცხადია, მომხდართან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა „ვოლაბების“ მწვრთნელთა შტაბმაც. ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ჯიმი ვილიამსი** ამტკიცებს, რომ ისინი არ აპირებენ თავიანთ მუშაობაში რალაც ფოტოთი იხელმძღვანელონ.

„გუნდი გეგმის მიხედვით ემზადება და მომავალი უძნელესი თამაშისთვის მხოლოდ თავისი ტაქტიკური მონახაზის დამუშავებითაა დაკავებული. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, ამ ამბის ზედმეტად აჟიტირება ხდება. ეს ფაქტი რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ და კონცენტრირება მთლიანად თამაშზე გადავიტანოთ“ - თქვა ვილიამსმა

ამ ეპიზოდმა ყველას 2008 წელს გოლფში „რეიდერ კაპის“ გათამაშებაში მომხდარი გაახსენა. მაშინ ფოტოგრაფმა თამაშის დამწყებთა სია დააფიქსირა, რომელიც ევროპელთა კაპიტან **ნიკ ფელდოს** ეჭირა და... ევროპელებმა აშშ-ის ნაკრებთან წააგეს.



# დისკვალიფიკაცია ძალაში

სამი ერის ორგანიზატორის, SANZAR-ის სააპელაციო კომისიამ ავსტრალიის ნაკრების მგეზავის **ქუადე კუპერის** აპელაცია არ დააკმაყოფილა და ორკვირიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა.



შეგახსენებთ, რომ SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტმა კუპერი სამხრეთ აფრიკასთან გასულ უქმეებზე ბრისბენში გამართულ მატჩში მეტოქისთვის განზრახ ტრავმის მიყენების მცდელობისთვის ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ავსტრალიის რაგბის კავშირმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და კუპერისთვის მხოლოდ ფულადი ჯარიმის დაკისრება მოითხოვა.

სააპელაციო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან **პიტერ ჰობსი** (ახალი ზელანდია), **ტერი ვილისი** (ავსტრალია) და **პიტერ ინგვერსენი** (სამხრეთ აფრიკა), ავსტრალიელთა არგუმენტები ყურადღებით გააანალიზა და ხანგრძლივი განსჯის შემდეგ დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა.

ამრიგად, ქუადე კუპერი ავსტრალიის ნაკრებში თამაშს მხოლოდ 8 აგვისტოს შემდეგ შეძლებს. შესაბამისად, მას „ვოლაბების“ ორივე შეხვედრის გამოტოვება მოუწევს ახალი ზელანდიის ნაკრებთან - 31 ივლისს მელბურნში და 7 აგვისტოს სტუმრად ქრაისთჩერჩში.

# ბისმარკ დუ პლესი ბრუნდება

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ბანაკში სიწყნარეა. თუმცა „ბოკეს“ ქომაგებისთვის ერთი სასიხარულო ინფორმაცია მაინც გვაქვს. გუნდს დაუბრუნდა შერკინების კვაჭი **ბისმარკ დუ პლესი**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო ოთხი თვე გაუცდა.

დუ პლესი 7 აგვისტოს „ქარის თასის“ გათამაშებაში „ბლუ ბულზის“ შემადგენლობაში „ლეოპარდსის“ წინააღმდეგ ითამაშებს და მერე „ბოკეს“ საწვრთნელ შეკრებაზე შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები სამი ერის მორიგ შეხვედრას 21 აგვისტოს ახალი ზელანდიის ნაკრებთან სოვეტოში გამართავს.

მეტოქეები

# არადი ჩემპიონობისთვის იბრძვის

რუმინეთის ჩემპიონატში მეორე დასკვნითი ეტაპი შაბათს, 31 ივლისს დაიწყება. ქართველი მორაგბეების **ბიძინა სამხარაძის, ლაშა თავართქილაძის, ირაკლი ნატრიაშვილის, ოთარ ტურაშვილისა** და **კახაბერ უჩავას** „ფარული“ მეორე ჯგუფური ეტაპის დაწყების წინ ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ექვსეულში 40 ქულით მეოთხე ადგილზეა.

ჩვენებურთა გუნდს 13 ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მეხუთე საფეხურზეა „არადი“, რომელიც 24 აგვისტოდან თბილისში გასამართ „შავი ზღვის თასის“ გათამაშებაში იასპარეზებს. არადელებმა გუშინ ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრა გამართეს მეორეადგილოსან ბუქარესტის „სტიაუასთან“ და 3:38 წააგეს.

კიდევ ერთი გუნდი, „ბუქარესტი“, რომელიც ასევე თბილისში იასპარეზებს, უმაღლეს დივიზიონში დარჩენისთვის იბრძოლებს. თუმცა ამ ექვსეულში მას საქმე ყველაზე კარგად აქვს. „ბუქარესტი“ 28 ქულით პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ „იაშის“ ათი ქულით უსწრებს.

შეგახსენებთ, რომ ამ ორი რუმინული გუნდის გარდა, „შავი ზღვის თასზე“ ორი უკრაინული კლუბი, ოდესის „კრედო“ და „ხარკოვი“ იასპარეზებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

კალათბურთი

## იაო მინი წასვლაზე დაფიქრდა

ჩინელი კალათბურთელი საკალათბურთო ასოციაციის ჩინელი ვარსკვლავი **იაო მინი** კარიერის ნაადრევად დასრულებას არ გამორიცხავს.

აზიელმა ლეგიონერმა „ჰიუსტონ როკეტსში" დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მას ჯერ მოურჩენია ტერფის უმძიმესი ტრავმა, რის გამოც მთელი გასული სეზონი გამოტოვა. როგორც სააგენტო AP წერს, ჩინელმა კალათბურთელმა განაცხადა, რომ შეიძლება დაასრულოს აქტიური კარიერა, თუ წელსაც ვერ შეძლებს ძველი ტრავმებისგან თავის დაღწევას. მიუხედავად ყველაფრისა, იაო „როკეტსის" წინასასეზონო წვრთნაში აპირებს მონაწილეობას და სწორედ იქ გაარკვევს, რამდენად არის მზად სათამაშოდ.

*„თუ უახლოეს სეზონში ტრავმა ისევ შემაწუხებს, სავარაუდოდ, დავასრულებ აქტიურ კარიერას, - ამბობს 29 წლის კალათბურთელი FIBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - აქედანვე შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი მონაწილეობა 2012 წლის ოლიმპიადაზე ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხულია. არა მგონია, რომ ფეხთან დაკავშირებულმა პრობლემებმა სეზონში ბევრი მატჩის ჩატარების საშუალება მომცეს".*

## რუდი აღმოსავლეთში მიდის

ამერიკული პრესის ცნობით, NBA-ის აღმოსავლეთი კონფერენციის სამი გუნდი **რუდი ფერნანდესის** გადაბირებითაა დაინტერესებული. ესპანელის ამჟამინდელმა კლუბმა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" უკვე დაიწყო მზადება ტრეიდის განსახორციელებლად.

ინფორმაციის თანახმად, ფერნანდესის შეძენა სურთ „ნიუ იორკ ნიქსს", „ჩიკაგო ბულზსა" და „ბოსტონ სელტიქსს". შეგახსენებთ, რომ NBA-ში თავის პირველ სეზონში რუდიმ დებიუტანტებს შორის რეკორდი დაამყარა გამოყენებული სამქულიანების რაოდენობით (159).

განიხილება სავარაუდო ტრეიდის რამდენიმე ვარიანტი. შესაძლოა, „პორტლენდმა" ფერნანდესის სანაცვლოდ დრაფტზე არჩევანი მიიღოს ან უფრო მასშტაბური გაცვლა მოხდეს, რომელშიც „ბლეიზერსის" სხვა მოთამაშეებიც იქნებიან ჩართულები.

25 წლის მცველი შარშანდელ სეზონში საშუალოდ 8.1 ქულას აგროვებდა. მომავალ სეზონში ესპანელის ხელფასი 1.2 მილიონი დოლარი იქნება.

## შაქს ატლანტას ვარიანტი აქვს

ლეგენდარულ ცენტრ **შაკილ ო'ნილს** კარიერის გაგრძელების კიდევ ერთი ვარიანტი გაუჩნდა. კერძოდ, NBA-ის ოთხგზის ჩემპიონს „ატლანტა ჰოქსში" გადასვლის შანსი აქვს.

*„როგორც „ატლანტას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, კლუბში ჯერ კიდევ აქტუალურია შაკილ ო'ნილის ვარიანტი. „ჰოქსის" ხელმძღვანელობა კვლავინდებურად განიხილავს მისი გადაბირების პერსპექტივას",* - წერს NBA.com-ის მიმომხილველი **სეკუ სმიტი**.

## ლიტველი სიენაში დაბრუნდა

33 წლის ლიტველი შემტევი მცველი **რიმანტას კაუკენასი** მადრიდის „რეალიდან" იტალიურ „მონტეპასკიში" ბრუნდება. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მხარეებმა სამწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს.

კაუკენასი სიენურ კლუბში 2005-09 წლებში თამაშობდა. შარშან ესპანეთის ჩემპიონატში ლიტველი კალათბურთელი საშუალოდ 8.3 ქულასა და 1.1 მოხსნას აგროვებდა.

ველოსპორტი

## კონტადორი ასტანას ტოვებს

უახლოესი რამდენიმე საათის განმავლობაში ტურ დე ფრანსის სამგზის გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი** ოფიციალურად გამოაცხადებს ყაზახური „ასტანადან" წასვლის შესახებ. დაახლოებით ერთი თვის წინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ესპანელი ველომრბოლი კიდევ ორი წლით აპირებდა თავის ამჟამინდელ გუნდში დარჩენას, მაგრამ სხვა ველოსაჯინიბოებიდან მიღებული წინადადებების შემდეგ, კონტადორმა გადაწყვეტილება შეცვალა და მომავალი სეზონიდან მას ახალ გუნდში ვიხილავთ.

ალბერტოზე პრეტენზიას სამი საჯინიბო აცხადებს, თუმცა ესპანელის გადაბირების ყველაზე კარგი შანსი Saxo Bank-ს აქვს, რომელშიც წლევანდელ ტურზე კონტადორის მთავარი კონკურენტი - ლუქსემბურგელი **ენდი შლეკი** ირიცხება.

ჩოგბურთი

## მიურეიმ მწვრთნელი გაუშვა

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **ენდი მიურეი** მწვრთნელ **მაილს მაკლეგანთან** თანამშრომლობა შეწყვიტა. ისინი ერთად სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. უფრო ადრე, 23 წლის ბრიტანელს, რომელიც ჯერჯერობით ვერ ახერხებს „დიდი სლემის" ტურნირის მოგებას, ცნობილი ამერიკელი **ბრედ გილბერტი** ავარჯიშებდა.

ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ ეს გადაწყვეტილება მიურეის ინიციატივა გახლავთ, ამასთან, ენდიმ მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის აწ უკვე თავის ყოფილ დამრიგებელს.

ფორმულა 1

## ინდოელს ისევ იამამოტო შეცვლის

ესპანური HRT-ის ინდოელი პილოტი **კარუნ ჩანდჰოკი** მიმდინარე ჩემპიონატის ზედიზედ მეორე რბოლას გამოტოვებს. უნგრეთის გრან-პრიზე, რომელიც ამ კვირას გაიმართება, მის ადგილს კვლავ იაპონელი **საკონ იამამოტო** დაიკავებს. ისევე როგორც გერმანულ ეტაპზე, HRT-ის მეორე პილოტი ბრაზილიელი **ბრუნო სენა** იქნება.

*„მოუთმენლად ველი „ჰუნგარორინგზე" დაბრუნებას. კარგად ვიცნობ ამ ტრასას, რადგან აქ GP2-ის სერიის რბოლებში მიმიღია მონაწილეობა",* - ამბობს იაპონელი პილოტი.

ცურვა

## წმენდა ამერიკის ფედერაციაში

ამერიკის ცურვის ფედერაციამ 46 მწვრთნელის სია შეადგინა, რომლებიც სამუდამოდ არიან დისკვალიფიცირებული სამწვრთნელო მოღვაწეობიდან. უმეტესი მათგანისთვის მკაცრი სასჯელის მიზეზი გახდა შეგირდების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის მცდელობა.

არის კიდევ მეორე სია, რომელშიც ანალოგიურ ულირს საქციელში ეჭვმიტანილი სპეციალისტები შედიან. ახლა ფედერაცია ფიქრობს, რა სანქციები გამოიყენონ ამ მწვრთნელების მიმართ. სავარაუდოდ, ისინიც სამუდამო დისკვალიფიკაციით დაისჯებიან.

კალათბურთი

# კარგად იმუშავეს




ᲛᲣ დღემდე უმუშევარ **შაკილ ო'ნილს** არ ჩავთვლით, NBA-ში ყველა მნიშვნელოვანი ტრანსფერი უკვე განხორციელებულია. ამიტომაც შეიძლება შეფასება მივცეთ ამ ზაფხულს კლუბების მიერ გაწეულ სასელექციო სამუშაოს. ESPN-ის მიმომხილველი **ჯონ ჰოლინჯერი** ყველაზე წარმატებული კლუბებისა და მოთამაშეების შესახებ მსჯელობს.

### მაიამი

ყველაზე მოკლე და უბრალო ისტორია. მხოლოდ იმის თქმა არ იქნება საკმარისი, რომ ფლორიდელებმა კარგი სასელექციო სამუშაო ჩაატარეს - აღმოსავლეთი კონფერენციის ოთხი საუკეთესო მოთამაშიდან სამი „მაიამის" ფორმით გავა მოედანზე. კომენტარი ზედმეტია.

ერთადერთი ხარვეზია **ჯოელ ენტონის** 18-მილიონიანი კონტრაქტი. გუნდი, რომელსაც სერიოზული ფინანსური სირთულეები აწუხებს, უფლება არა აქვს, ამდენი ფული დახარჯოს ასეთი ვიწრო პროფილის მქონე მოთამაშეზე. თუმცა **პატ რაილის** ეს ერთი ჩავარდნა ეპატიება, ამიტომაც მისი გუნდი 2010 წლის ბაზარზე ნებისმიერ შემთხვევაში პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ.

### ჩიკაგო

ეს იყო „ხარებისთვის" ძალიან ძლიერი ზაფხული. მათ გასული სეზონიც კარგი და პერსპექტიული გუნდის სტატუსით დაასრულეს, ახლა კი საფუძვლიანად გაძლიერდნენ. მართალია, კლუბი დატოვეს **ჯონ სალმონსმა** და **კირკ ჰაინრიხმა**, მაგრამ მათი შემცვლელები უფრო სოლიდურად გამოიყურებიან. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პოზიციები შეავსეს **კარლოს ბუზერმა** და **კაილ კორვერმა**, **დერიკ როუზს** კი კარგი შემცვლელი ეყოლება **სი ჯეი უოტსონის** სახით. **რონი ბრიუერი** თამაშს აგრესიასა და სისწრაფეს დაუმატებს. **ჟოაკიმ ნოას** ახალგაზრდა და პერსპექტიული თურქის - **ომერ აშიქის** მხრიდან ექნება მხარდაჭერა. და თითქოს **ტრისი მაკგრიდისთან** კონტრაქტის გაფორმებაც არ არის შორს. თუ ტი-მაკი სამედიცინო ტესტებს გაივლის და თავის რეალურ დონეს მიუახლოვდება, „ჩიკაგო" თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ პირველობის ფავორიტთა რიცხვს.

### მილუოკი

ეს გუნდი შეიძლება სერიოზული ძალა გახდეს მოახლოებულ სეზონში. კარგი შენაძენია აღიარებული სნაიპერი (რაც ასე აკლდა „ბაქსს" გასულ სეზონში) **კორი მაგეტი**, არაელიტური, მაგრამ საიმედო „მაღალი" **დრიუ გუდენი**, აგრეთვე უნივერსალი ფორვარდი **ჯონ სალმონსი**. წინა წელს „ირმების" დაბალანსებული და ორგანიზებული თამაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. არ დავივიწყოთ ისიც, რომ მნიშვნელოვან პირველ და მეხუთე პოზიციებზე „მილუოკის" ძლიერი შემსრულებლები ჰყავს - **ბრენდონ ჯენინგსი** და **ენდრიუ ბოგუტი**.

### გოლდენ სტეიტი

ამ გუნდში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა - „მეომრებს" ახალი მეპატრონეები ჰყავთ - ბიზნესმენები **ჯო ლეიკობი** და **პიტერ გუბერი**. მთავარი ის არის, რომ „გოლდენ სტეიტს" აღარ ფლობს **კრის კოანი**. მისი მმართველობის პერიოდი მართლაც უნიკალური გამოვიდა: 16 წლის განმავლობაში „უორიორზი" 15-ჯერ მონაწილეობდა დრაფტ-ლატარიაში! დაუჯერებელი მაჩვენებელია. შედეგი? ნული. „გოლდენ სტეიტმა" ვერც ერთი ვარსკვლავური ახალბედა ვერ აიყვანა და ერთხელაც ვერ ვიხილეთ კონკურენტუნარიანი გუნდის შექნის რეალური პროექტი. არადა, კლუბს უერთგულესი გულშემატკივარი ჰყავს - მოგებათა მწვავე დეფიციტის მიუხედავად, ისინი დარბაზს ავსებენ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება მაშინ, როცა „გოლდენ სტეიტი" მოგებას დაიწყებს.

რა თქმა უნდა, ყოფილ ნიუიორკელ **დევიდ ლისთან** კონტრაქტის გაფორმებას ძნელად თუ უწოდებ გენიალურ ნაბიჯს, თუმცა ეს მეტად ხარისხიანი შენაძენია. ლი და **სტივენ კარი** კარგად გაუგებენ ერთმანეთს და მათგან პროდუქტიული დუეტი შეიქმნება. ხოლო თუ „უორიორზი" ერთ-ორ ძლიერ დამცველს იპოვის და თან მიხვდება, რომ **მონტა ელისს** შეუძლია ლიდერის ფუნქციები საკუთარ თავზე აღება, ოკლენდში შეიძლება მართლაც ძლიერი გუნდი მიიღონ.

### სან ანტონიო

„სპურსმა" მოახერხა ამ ზაფხულში ერთდროულად ყველაზე კარგი (**ტიაგო სპლიტერი**) და ყველაზე ცუდი (**რიჩარდ ჯეფერსონი**) კონტრაქტის დადება - თუმცა ეს ერთი შეხედვით. სპლიტერის გაფორმებით ყველაფერი გასაგებია. იმის ფონზე, რომ **ბრენდან ჰეივუდს** „დალასთან" 55-მილიონიანი კონტრაქტი აქვს, სპლიტერი თავისი 10 მილიონით (3 წელიწადში) - უბრალოდ ფანტასტიკური შენაძენია. ჯეფერსონთან მიმართებაში ყველაფერი პირიქითაა - თითქმის 40 მილიონი ოთხ წელიწადში. ეს კალათბურთელი ორი წლის წინ არ ღირდა ამხელა თანხად. სინამდვილეში ირკვევა, რომ კლუბმა ყველაფერი კარგად გათვალა. ჯეფერსონმა გამოისყიდა თავისი წინა კონტრაქტის ბოლო წელი, რომლისთვისაც 15 მილიონი უნდა მიეღო და გააფორმა ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება. ამით მან უახლოესი ოთხ წელიწადში გარანტირებული სამუშაო მიიღო, თანაც კარგი ხელფასით, კლუბმა კი ბიუჯეტში 17 მილიონი დოლარი გამოათავისუფლა. ასე რომ, ახლა „სან ანტონიოს" წელიწადში 13 მილიონად სპლიტერი და ჯეფერსონი ჰყავს - ფულის ეკონომიაც გააკეთა და შემადგენლობაც გააძლიერა.

### პორტლენდი

„პორტლენდმა" უცნაურად დაიწყო ეს ზაფხული - გაათავისუფლა გენერალური მენეჯერი **კევინ პრიტჩარდი**, თუმცა მანამდე მას დრაფტის ცერემონიალში მონაწილეობა აცალა. შემდეგ კი ყველაფერი გამოსწორდა და კლუბმა რამდენიმე სერიოზული შენაძენი გააკეთა. პრიტჩარდის ადგილას მივიდა **რიჩ ჩო** „ოკლაჰომადან" - მეტად ძლიერი და ავტორიტეტული სპეციალისტი. მისი მონდომებით კლუბმა შემადგენლობის გასაძლიერებლად დიდი და ნაყოფიერი სამუშაო გასწია. დრაფტზე აიყვანეს პერსპექტიული **ლუკ ბებიტი** და **ელიოტ უილიამსი**, „იუტადან" კი სნაიპერი **უესლი მეტიუზი** გადაიბირეს. მართალია, მათ სანაცვლოდ **მარტელ უებსტერზე** უარის თქმამ მოუწიათ, მაგრამ ამ მსხვერპლის გაღება ღირდა.

კრივი

# 3D კრივი პირველად!



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ისტორიაში პროფესიონალ მოკრივეთა ბრძოლას 3D ფორმატში აჩვენებენ. ეს მოხდება უახლოეს შაბათს, 31 ივლისს, როცა გერმანიაში რამდენიმე ცნობილი მებრძოლის მონაწილეობით საკრივო შოუ გაიმართება. ამ საღამოს მთავარი ბრძოლა იქნება გერმანელი **სებასტიან ზბიკისა** და არგენტინელი **ხორხე ილანდის** დუელი 72-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

შოუს ორგანიზატორია ერთ-ერთი წამყვანი გერმანული პრომოუტერული კომპანია - Universum. მისი ხელმძღვანელი **კალუს-პეტერ კოლი** მოხარულია, რომ პირველად ისტორიაში წარადგენს 3D ფორმატში კრივის ტრანსლაციას. კოლის თქმით, მან ამ ფორმატში უკვე იხილა საწვრთნელი ბრძოლები და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თავად იმყოფებოდა რინგზე.

პრომოუტერმა დაამატა, რომ კრივი იდეალურად ერგება 3D ფორმატში ტრანსლაციებს - უფრო მეტად ვიდრე ფეხბურთი ან ფორმულა 1-ის რბოლები, რადგან იქ მოვლენები მაყურებლისგან გაცილებით შორს ვითარდება. კოლი მიიჩნევს, ეს ახალი ტექნოლოგია კრივის მომავალს წარმოადგენს.

რაც შეეხება ჰამბურგში გასამართავი საკრივო შოუს სპორტულ მხარეს, ზბიკსა და ილანდს შორის გათამაშდება WBC-ის დროებითი ტიტული 72-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. მანამდე კიდევ რამდენიმე ბრძოლა გაიმართება. მაგალითად, რინგზე გავა ცნობილი კუბელი მძიმეწონოსანი **ხუან-კარლოს გომესი**. მისი მეტოქე ჯერ ცნობილი არ არის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ფორმულა 1

# დებიუტანტები ფინიშს ვერ მიაღწევენ

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის - **ბერნი ექლსტოუნის** თქმით, მას არ გაუკვირდება თუ ამ სეზონის ჩამთავრებას ჩემპიონატის მონაწილე ერთი-ორი გუნდი ვერ შეძლებს. მისი აზრით, დებიუტანტებმა სეზონის წინ აღებულ ვალდებულებებს ვერ გაართვეს თავი და არანაირი მოგება არ მოაქვთ ფორმულა 1-სთვის.

ექლსტოუნთან ინტერვიუ „დეილი ტელეგრაფში გამოქვეყნდა და საუბრის ძირითადი თემა გუნდების ფინანსური პრობლემები იყო. თანაც სირთულეები არა მხოლოდ დებიუტანტ საჯინიბოებს, არამედ ძველ გუნდებსაც შეექმნათ.

მაგალითად, ამ სეზონის ბოლოს „უილიამსი" დაკარგავს ძირითად სპონსორს - იწურება კონტრაქტი ბანკ RBS-თან. ასევე ვადა გასდის Phillips-თან და Air Asia-სთან ხელშეკრულებებს, გუნდმა კი მათი შემცვლელები ჯერ ვერ იპოვა.

ყველამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ცოტა ხნის წინ „რენოს" ხელმძღვანელობამ ექლსტოუნს ფრანგული საჯინიბოსთვის სატელევიზიო მოგებიდან კუთვნილი წილის წინასწარ გადარიცხვა სთხოვა. თუმცა ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი დარწმუნებულია, რომ „რენოს" გამო აღელვება არ ღირს, ჩემპიონატის სხვა მონაწილეებს კი მართლაც სერიოზული პრობლემები აქვთ.



*„რენოსთვის" ფული არ მიმიცია და მათ საკუთარი ძალებით დააღწიეს თავი კრიზისს, ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა. მაგრამ არ გამიკვირდება, თუ ერთი ან ორი გუნდი ვერ მიაღწევს ჩემპიონატის ფინიშამდე. ჩემი აზრით, ფორმულა 1-ში არის მინიმუმ ორი საჯინიბო, რომელიც არ უნდა მონაწილეობდეს სამეფო რბოლებში. ჯერჯერობით ისინი ვერ ართმევენ თავს ამოცანას",* - ამბობს ბრიტანელი.

ექლსტოუნი იმასაც აცხადებს, რომ სრულიად არ აღელვებს მონაწილეთა რიცხვის სავარაუდო შემცირება. მართალია, სულ მალე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას მე-13 გუნდის არჩევა მოუწევს, მაგრამ ბერნისთვის ათგუნდიანი ჩემპიონატიც მისაღები იქნება.

*„ყოველთვის გვინდოდა, რომ მონაწილეთა რიცხვი ათზე მეტი არ ყოფილიყო,* - აგრძელებს ექლსტოუნი, - *არ გვსურდა „ლოტუსის" დაკარგვა - ეს კარგი ბრენდია. მაგრამ, საერთო ჯამში, წელს უამრავი პრობლემა დაგროვდა, რადგან რამდენიმე გუნდს დახმარება დასჭირდა და ეს დიდი თანხა დაგვიჯდა. შესაბამისად, დებიუტანტებს არანაირი ფინანსური მოგება არ მოუტანიათ. თუ ამ გუნდებმა სტარტზე გასვლა აღარ მოინდომეს, არა მგონია ამის გამო ტრიბუნებზე ნაკლები ხალხი მივიდეს. მათ არყოფნას ვერც კი შეამჩნევენ".*

# ამერიკამ გრან-პრი წარადგინა

ამერიკის ქალაქ ოსტინში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც 2012 წელს ამერიკის გრან-პრის ორგანიზატორებმა თავიანთი გეგმები გაამხილეს და მომავალი რბოლის გარკვეული დეტალები გაუმხილეს ჟურნალისტებს. საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა **ტავო ჰელმუნდმა**, პირველ რიგში, თავისი საქმიანი პარტნიორი წარადგინა - ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი **რედ მაკკომბსი**, რომელიც პროექტის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იქნება.

გარდა ამისა, ტეხასელთა იდეას მხარი დაუჭირა მოტორბოლაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა **კევინ შვანცმა**, ტრასას კი პატარა ქალაქ უონდერინგ-კრიკის ახლოს ააშენებენ.

*„დარწმუნებული უნდა ვიყო იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გრან-პრი საუკეთესო ადგილზე ჩატარდება,* - განაცხადა ჰელმუნდმა. - *ჩვენ ამ ადგილს წელიწად-ნახევარი ვეძებდით".*

პრომოუტერს ეჭვი არ ეპარება, რომ წინა წარუმატებლობების მიუხედავად, ეს პროექტი ძალიან მომგებიანი იქნება. მისი აზრით, მთავარი კოზირი სტაციონარული ავტოდრომია: *„ხალხი ამბობს, რომ ფორმულა 1 ფეხს ვერ მოიკიდებს ამერიკაში, მაგრამ ეს მცდარი მოსაზრებაა. ეს სერია 1960-80 წლებში ძალიან პოპულარული იყო, როცა რბოლები სტაციონარულ ტრასებზე ტარდებოდა. 1980-99 წლებში აშშ-ის გრან-პრი დროებით საქალაქო ტრასებზე გადაიტანეს. ეს იყო ინდიკარის სერიისთვის განკუთვნილი ავტოდრომები და ის ფორმულა 1-სთვის გამოუსადეგარი გახლდათ".*

ტავო ჰელმუნდის ახალი პარტნიორი რედ მაკკომბსი ამერიკის ოთხასი ყველაზე მდიდარი ადამიანის სიაში შედის. მას უკვე აქვს სპორტში ფულის დაბანდების გამოცდილება. კერძოდ, „სან ანტონიო სპურსისა" (კალათბურთი) და „მინესოტა ვიკინგსის" (ბეისბოლი) მფლობელი იყო. *„თავისი მასშტაბებით ფორმულა 1-ის ეტაპი შეიძლება ამერიკაში ძალიან პოპულარულ სუპერბოულს შევადაროთ. რბოლები ოსტინის, სან-ანტონიოსა და მთლიანად ტექსასის ეკონომიკას დიდ სარგებლობას მოუტანს",* - განაცხადა მაკკომბსმა.

გარდა ამისა, ოსტინში გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის გრან-პრის ოფიციალური ვებგვერდის პრეზენტაცია შედგა, თუმცა მომავალი ტრასის კონფიგურაცია ჯერჯერობით უცნობი დარჩა.

## ველოსპორტი

# ლენსი და მეგობრები დაისჯებიან

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა (UCI) სადისციპლინო გარჩევა დაიწყო ველოჯგუფ RadioShack-ის მიმართ, რომელმაც უნებართვოდ გადაწყვიტა ტურ დე ფრანსის ბოლო ეტაპზე შავი ფორმით გასვლა.

ამ აქციით ლეგენდარულ **ლენს არმსტრონგსა** და მის თანაგუნდელებს კიბოს პრობლემისთვის საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურდათ. როგორც ცნობილია, თავის დროზე, ლენსმა სწორედ ეს მძიმე ავადმყოფობა დაამარცხა და ახლა ამ სენთან ბრძოლის აქტივისტი გახლავთ. ტურის ბოლო ეტაპის დროს ამერიკული საჯინიბოს აქციას ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა მხარი არ დაუჭირა და RadioShack-ის წევრებს ოფიციალური ფორმის ჩაცმა მოსთხოვა. არმსტრონგსა და თანაგუნდელებს სასწრაფოდ მოუწიათ მაისურების გამოცვლამ, ხოლო პელოტონი 20 წუთი ელოდა RadioShack-ის ველომბროლებს.

*„UCI სინანულით აღნიშნავს, რომ ისეთი ღირსეული ინიციატივა, როგორიც კიბოსთან ბრძოლაა, წინასწარ არ იყო შეთანხმებული ჩვენს სტიუარდებთან და რბოლის ორგანიზატორებთან. RadioShack-ის არაკორექტულმა მოქმედებამ ტურის ბოლო ეტაპის 20 წუთით შეფერხება გამოიწვია. კომისრები იძულებულნი არიან დააჯარიმონ თითოეული ველომრბოლი და გუნდის მენეჯერი",* - წერია კავშირის ოფიციალურ განცხადებაში.

RadioShack-ის გენერალურმა მენეჯერმა იოჰან ბრიუნელმა საკუთარ ვებგვერდზე გაბრაზებულმა შეაფასა UCI-ის გადაწყვეტილება: *„კომისრებმა არა მარტო წესები უნდა იცოდნენ, არამედ ტვინიც უნდა ჰქონდეთ".* ახლა ბრიუნელს UCI-ის სადისციპლინო კომისიის წინაშე მოუწევს გამოცხადება, რადგან კავშირი მენეჯერის სიტყვებს მიუღებელსა და შეურაცხმყოფელს უწოდებს.

# ყველაზე მაღალი ტურ დე ფრანსი

ტურ დე ფრანსი წინა კვირას დასრულდა და ფრანგმა ჟურნალისტებმა უკვე დაიწყეს მომავალი სეზონის ველომარათონისთვის მზადება. კერძოდ, Journal du Dimanche-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმ ეტაპების შესახებ, რომელსაც 2011 წლის მარშრუტში შეიტანენ.

მოგეხსენებათ, ამ სეზონში ორგანიზატორები პირენეის მთებში ჩატარებული პირველი ეტაპის 100-წლიან იუბილეს აღნიშნავდნენ, მომავალ წელს კი 100 წელი უსრულდება პირველ ალპურ ეტაპს. ამასთან დაკავშირებით, მომავალ წელს ველომრბოლებს კოლ-დი-გალიბიესა და ალპ-დიოზის ალპურ უღელტეხილებზე ასვლას შესთავაზებენ. თუ ინფორმაცია დადასტურდა, მაშინ ეს იქნება ტურის ისტორიაში ყველაზე მაღალი ეტაპი, რადგან სპორტსმენებს ზღვის დონიდან 2556 მეტრზე მოუწევთ ასვლა.

ტურ დე ფრანსის მთავარმა „რეჟისორმა" **კრისტიან პრიუდომმა** უკვე დაადასტურა, რომ ველომარათონის საწყის ეტაპზე არ ჩატარდება ტრადიციული განცალკევებითი რბოლა - ე. წ. პროლოგი. 2011 წლის 2 ივლისს ველომრბოლებს ჩვეულებრივი სპრინტერული ეტაპის გავლა მოუწევთ, რომლის სიგრძე 180 კილომეტრი იქნება. მეორე დღეს გაიმართება გუნდური განცალკევებითი რბოლა 23 კილომეტრზე. ფრანგული ველომარათონი 24 ივლისს, ტრადიციულად პარიზში ელისეის მინდვრებზე დასრულდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **III საკვ. რაუნდი. I მატჩები** | |
| აქტობე-ჰაპოელი | 1:0 |
| ბატე-კოპენჰაგენი | 0:0 |
| შერიფი-დინამო | 1:1 |
| დებრეცენი-ბაზელი | 0:2 |
| იანგ ბოიზი-ფენერბაჰჩე | 2:2 |
| აიკ-რუსენბორგი | 0:1 |
| აიაქსი-პაოკ | 1:1 |
| პარტიზანი-ჰიკ | 3:0 |
| ბრაგა-სელტიკი | 3:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აეკ-გლეძბერნი | 2:1 |
| სიდნეი-რეინჯერსი | 0:0 |
| რენი-ლეგია | 1:0 |
| პუგლიკუმი-ვალენსია | 2:1 |
| დუისბურგი-ბოხუმი | 1:1 |
| დინამო (დ)-დორტმუნდი | 1:2 |
| მონაკო-დინამო (მ) | 3:1 |
| ოსნაბრიუკი-ხეტაფე | 1:4 |
| ერფურტი-ჰერტა | 2:1 |
| სტ. ეტიენი-ქსამაქსი | 0:0 |
| სტ. გალენი-ლევერკუზენი | 1:3 |
| ტრაბზონი-სიტარდი | 1:0 |
| ემენი-დენ ჰააგი | 2:4 |
| ფალკირკი-კარლაილი | 1:1 |
| მილტონი-ვესტ ჰემი | 0:2 |
| ნოტინგემი-ლიონი | 1:3 |
| ოლდჰემი-ბოლტონი | 3:0 |
| ბორნმუთი-პორტსმუტი | 0:1 |
| ქროული-ქუინზ პარკი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **სუპერთასი** | |
| მარსელი-პსჟ | 0:0 პენ. 5:4 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სანდნესი-ფრედრიქსტადი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 2:0 |
| ფალკენბერგი-ვასბი | 3:1 |
| ლანდსკრონა-ლიუნგსკილე | 2:1 |
| ნორჩოპინგი-ასირისკა | 0:0 |
| იორგრიტე-დეგერფორსი | 2:1 |
| ტროლჰატანი-ბრაგე | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კტპ-მპ | 0:1 |
| **ისლანდიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ჰაფნარი-ვიკინგური | 3:1 |
| **იაპონია** | |
| ტოკიო-ჯუბილო ივატა | 1:1 |
| კიოტო-ურავა | 0:4 |
| ნაგოია-შონანი | 2:1 |
| ომიია-იოკოჰამა | 1:1 |
| კობე-გამბა | 1:3 |
| იამაგატა-კავასაკი | 0:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. გშტაადი** | |
| მონტანიესი-ჰაიდერი | 3:6, 6:1, 6:0 |
| გასკე-ბრანდსი | 6:7, 6:3, 6:0 |
| ხიმენო ტრავერო-ა. ბეკი | 7:5, 6:4 |
| **ATP. ლოს ანჯელესი** | |
| ჯინეპრი-შუტლერი | 3:6, 6:3, 4:6 |
| **ATP. უმაგი** | |
| დოლგოპოლოვი-სკუგორი | 7:6, 6:3 |
| ჩელა-ბოლელი | 7:6, 6:7, 6:1 |
| ფერერო-კუევასი | 4:6, 6:4, 6:4 |
| დავიდენკო-რობერი | 6:1, 6:2 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| ვესნინა-ფოგელი | 6:3, 6:2 |
| პეტკოვიჩი-მაკაროვა | 7:6, 5:7, 6:3 |
| პირონკოვა-როდიონოვა | 1:6, 6:3, 2:6 |
| დუშევინა-სევასტოვა | 6:3, 6:7, 6:2 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| ა. რადვანსკა-სავჩუკი | 7:6, 6:2 |
| სტოსური-მაკჰეილი | 6:1, 7:5 |

## TV პროგრამა

**29 ივლისი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:35** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-ოლიმპიაკოსი.
**08:30** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
**10:10** საფრანგეთის სუპერთასი. მარსელი-პსჟ.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი. უნირეა-ზენიტი.
**16:10** ახალი ამბები.
**16:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
**18:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
**20:15** უიკ-ენდის მატჩების ანონსი.
**20:20** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:25** საფრანგეთის სუპერთასი. მარსელი-პსჟ.
**22:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ცსკა.
**00:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. მარსელი-ბენფიკა.
**02:05** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ოსერი.
**03:55** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შალკე.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი.

**EUROSPORT**

**10:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. II დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
**18:15** ევროგოლი-საფეხბურთო მიმოხილვა.
**18:25** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
**19:30** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღე. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**00:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღის მიმოხილვა.
**00:30** პრო-რესტლინგი.
**02:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღე. ბარსელონა. ესპანეთი.
**03:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღის მიმოხილვა.

## მძლეოსნობა

*ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი*

| კაცები | |
|---|---|
| **სპორტული სიარული. 20 კმ** | |
| 1. სტანისლავ ემელიანოვი (რუსეთი) | 1.20,10 |
| 2. ალექს შვაცერი (იტალია) | +0,28 |
| 3. ჟოაო ვიერა (პორტუგალია) | +0,39 |
| **10 000 მ** | |
| 1. მო ფარაჰი (ბრიტანეთი) | 28.24,99 |
| 2. კრის ტომპსონი (ბრიტანეთი) | 28.27,33 |
| 3. დანიელე მეუჩი (იტალია) | 28.27,33 |
| **ქალები** | |
| **ბირთვის კვრა** | |
| 1. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) | 20,43 |
| 2. ნატალია მიხნევიჩი (ბელარუსი) | 19,52 |
| 3. ანა ავდეევა (რუსეთი) | 19,39 |
| **სპორტული სიარული. 20 კმ** | |
| 1. ოლგა კანისკინა (რუსეთი) | 1.27,44 |
| 2. ანისია კირდიაპკინა (რუსეთი) | +01:11 |
| 3. ვერა სოკოლოვა (რუსეთი) | +1,48 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ვიოლინო და ოლიმპიადა






რომორც უკვე ვწერდით, 31 წლის ცნობილმა მევიოლინე **ვანესა მეიმ** 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრება და სამთო-სათხილამურო სპორტში პროფესიულ დონეზე ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა.

ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა სახელგანთქმული მუსიკოსის ბავშვობის ოცნებაა. ერთხელ მან აღიარა, რომ ცხოვრება მუსიკისთვის რომ არ მიეძღვნა, აუცილებლად პროფესიონალი მოთხილამურე გამოვიდოდა. *„მხოლოდ სწრაფდაშვება მაინტერესებს“*, - განაცხადა ვანესა მეიმ.

მნიშვნელოვანი კაპიტალის (რომელიც ახლა 64 მილიონ დოლარად არის შეფასებული) დაგროვებისა და ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ახალგაზრდა მუსიკოსის სტატუსის მიღების შემდეგ, მევიოლინე თავისი ოცნების ასრულებას შეუდგა. 1998 წელს ტაილანდის მთავრობას თხოვნით მიმართა - 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება მიეცათ. წარმოშობით სინგაპურელსა და ბრიტანეთის მოქალაქეს მამა ტაილანდელი ჰყავს. ამ ქვეყნის მთავრობამ მეის ულტიმატუმი წაუყენა - მუსიკოსს უარი უნდა ეთქვა ბრიტანულ პასპორტზე, რაც მსოფლიო ვარსკვლავმა არ გააკეთა.

მაგრამ ახლა საკითხი ორმხრივი შეთანხმებით მოგვარდა. ვანესა მეიმ შეინარჩუნა ბრიტანეთის მოქალაქეობა და თან ტაილანდის პასპორტი მიიღო, ასე რომ, ამ ქვეყანამ, შესაძლოა, ზამთრის უახლოეს ოლიმპიადაზე საკუთარი სპორტსმენი წარადგინოს, მით უმეტეს, რომ წელს ვანკუვერის თამაშებზე ტაილანდს არც ერთი ოლიმპიელი არ ჰყოლია. წინა წლებში „თეთრ ოლიმპიადებზე“ ამ ქვეყანამ ერთადერთი სპორტსმენი მიავლინა - მოთხილამურე **პრავატ ნაგვაჟარა**. ის 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტიში და 2006 წელს ტურინში გამოდიოდა და ბუნებრივია, ორივეჯერ გახსნის ცერემონიებზე ტაილანდის ნაკრების მედროშე იყო. 2002 წელს მან სამ რბოლაში მიიღო მონაწილეობა, 2006 წელს - ერთში. ახლა პრავატს შესაფერისი შემცვლელი გამოუჩნდა. 2014 წელს სოჭში ვანესა იმ შემთხვევაში გაემგზავრება, თუ საკვალიფიკაციო ნორმატივს გადალახავს და სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის სერტიფიკატს მიიღებს.

■ ■ ■

თუ ცნობილი მუსიკოსი შეძლებს ოცნების ასრულებას, მისი მაგალითი ბევრისთვის გადამდები იქნება და ტაილანდში, სადაც თოვლი არასდროს მოდის, შეიძლება ახალი მოთხილამურეები გაჩნდნენ. მსგავსი მაგალითი გვიჩვენა 35 წლის განელმა **კვამე ნკრუმახ-აჩიმპონგმა**, რომელმაც წელს ვანკუვერში სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ დისციპლინაში სცადა ბედი. კარგი ფიზიკური მონაცემების ათლეტმა ექვს წელიწადში აითვისა სპორტის ამ სახეობის ტექნიკა, თანაც იმდენად წარმატებით, რომ ოლიმპიური ნორმატივი შეასრულა და თამაშებზე მოხვდა. თავისუფალი დროის ძირითად ნაწილს აფრიკელი ახალგაზრდობასთან ურთიერთობას ახმარს: *„ჩემმა გამოცდილებამ, რომელსაც ელექტრონული ფოსტის საშუალებით ყველა მსურველს ვუზიარებ, იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ განასა და სხვა აფრიკულ ქვეყნებში ათი წლის შემდეგ გამოჩნდება ჩემზე ათჯერ ძლიერი სამთომოთხილამურე“*.

ვანესა მეის მტკიცებით, მას სპორტული მომზადების საკმარისი დონე გააჩნია იმისთვის, რომ საკვალიფიკაციო ბარიერი გადალახოს და ოლიმპიადაზე გაემგზავროს. სოჭში მედლებისთვის ბრძოლა არარეალურია, მაგრამ სამთო ტრასაზე მევიოლინეს ხილვა ყველასთვის საინტერესო იქნება.

■ ■ ■

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ოლიმპიური ოჯახის წევრები VIP-პერსონები ხდებიან. 2006 წელს ტურინში დაასრულა სპორტული კარიერა ახლა უკვე მონაკოს თავადმა - **ალბერ II**-მ. მის კარიერაში ყველაზე ამაღელვებელი მომენტები ბობსლეის უკავშირდება - ის ევროპისა და მსოფლიოს ხუთი ჩემპიონატის მონაწილე იყო და ასევე ხუთ ოლიმპიადაზე გამოვიდა ოთხადგილიანი ბობით. თუმცა თავადი ანალოგიური წარმატებით ასპარეზობდა სპორტის დაახლოებით 15 სახეობაში. 42 წლის ასაკში ის ახლაც აქტიურად არის ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. მაგალითად, სათავეში უდგას ოთხი სახეობის ეროვნულ ფედერაციას - ცურვა, მძლეოსნობა, ბობსლეი და თანამედროვე ხუთჭიდი. გარდა ამისა, ალბერ II მონაკოს იახტკლუბის პრეზიდენტია. და, რა თქმა უნდა, უკვე 16 წელია მისი ხელმძღვანელობით ვითარდება მონაკოში ოლიმპიური მოძრაობა.

ცისფერი სისხლისა და სპორტული წარმატებების შეხამების უნიკალური მაგალითია **აჰმად ალ მაქთუმი**. სასტენდო სროლაში 47 წლის ოლიმპიური ჩემპიონი არაბეთის გაერთიანებული საამიროების ელიტურ საზოგადოებას განეკუთვნება. ის გახლავთ ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის (დუბაის საამიროს მმართველი) წევრი. ალ მაქთუმის ხელმძღვანელობით საამიროების ეროვნული სახელმწიფო ავიაკომპანია, 18 წელიწადში პატარა რეგიონალური ავიაგადამზიდიდან მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ავიაკომპანიად იქცა. მაგრამ ალ მაქთუმი უფრო სპორტულ ასპარეზზე გახდა ცნობილი. 2004 წელს ათენში მოგებული ოქროს მედლის გარდა, მის ანგარიშზეა მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატზე პირველობა და მსოფლიოს თასის რამდენიმე ეტაპზე გამარჯვება.

ამ წარმატების საწინდარი გახდა ბრწყინვალე საწვრთნელი ბაზა - ორი შესანიშნავი სასროლეთი, სადაც ალ მაქთუმი მრგვალ სტენდზე იმაღლებს ოსტატობას. მთავარი საიდუმლო კი მისი იარაღის სასხლეტია, რომელიც სუფთა ოქროსგან არის დამზადებული. საინტერესოა, რომ აჰმედის ერთ-ერთი კონკურენტია მისი ოჯახის მეორე წევრი - შეიხი **საიდ ალ მაქთუმი**. მას დიდი სპორტული სიმაღლეებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ იმდენად არის შეყვარებული ტყვიის სროლაზე, რომ ტახტზეც კი უარი თქვა. სამეფო ოჯახის ნათესავია - იორდანიელი პრინცესა **ჰაია ბინტ ალ ჰუსეინი** - მან 2000 წელს სიდნეიში ცხენოსნობაში მოსინჯა ძალები და პირველი არაბი ქალი გახდა, ვინც სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა. დღეს ის მეორე ვადით არის არჩეული საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე.






ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# შარაპოვას რევანში

უიმბლდონის შემდეგ თითქმის ყველა წამყვანმა ჩოგბურთელმა ივლისში პაუზის აღება გადაწყვიტა და ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ახლა გამოვიდა შვებულებიდან. კალიფორნიული სტენფორდის ტურნირი უმაღლეს Premier კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა ამ სერიის სხვა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საპრიზო ფონდი აქვს - 700 ათასი დოლარი. უფრო ნაკლებ თანხას (600 ათასი) ათამაშებენ სიდნეიში, ვარშავაში, ისტბურნსა და ნიუ ჰევენში.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ ტურნირში რეიტინგის საუკეთესო ათეულის მხოლოდ ორი წევრი - ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** (მე-5 ჩოგანი) და რუსი **ელენა დემენტიევა** (6) თამაშობს, ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოვიდა. აქ არიან ცოტა ხნის წინ ტოპათეულში შემავალი მოთამაშეები - **მარიონ ბარტოლი, დანიელა ჰანტუხოვა, აგნიეშკა რადვანსკა, მარია შარაპოვა, დინარა საფინა, ანა ივანოვიჩი** და **ვიქტორია აზარენკა**.

სტენფორდის ტურნირის თავისებურება ის გახლავთ, რომ ხშირად ტრიუმფატორები წარმატების გამეორებას ახერხებენ. 1996 წლიდან მოყოლებული, საინტერესო ტენდენციას ჰქონდა ადგილი - 11 წლის განმავლობაში აქ ტიტულს მხოლოდ 4 ჩოგბურთელი იყოფდა - **მარტინა ჰინგისი, ლინდსი დავენპორტი, ვენუს უილიამსი** და **კიმ კლაისტერსი**. მაგრამ წელს ბადეში არც ერთი მათგანი არ არის, ისევე როგორც მათი ბრწყინვალე სერიის დამრღვევი - რუსი **ანა ჩაკვეტაძე**. შინა კვირას პორტროჟში ტრიუმფის შემდეგ წარმოშობით ქართველმა ჩოგბურთელმა პაუზის აღება გადაწყვიტა.

საბოლოოდ, სატურნირო ბადეში წინა წლების მხოლოდ ორი გამარჯვებული ვიხილეთ - უკვე ნახსენები მარიონ ბარტოლი და კანადელი **ალექსანდრა ვოზნიაკი**, რომელიც უკვე გამოეთიშა ბრძოლას ამერიკელ **მელანი ოუდინთან** თანაბარ ბრძოლაში - 7:6(6), 5:7, 3:6. ასე რომ, თუ ბარტოლი ვერ შეძლებს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას, სტენფორდის ტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება.

პირველი წრის მატჩებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია სერბი ანა ივანოვიჩის წარმატება. ეს ჩოგბურთელი იმდენად დაბლა დაეშვა რეიტინგში, რომ დიდ ტურნირებზე ან კვალიფიკაციის თამაში უწევს ან უაილდქარდით ხვდება ძირითად ბადეში. ამჯერად ივანოვიჩმა ორგანიზატორებს დაუმტკიცა, რომ მათ ტყუილად არ მიუციათ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნისთვის სპეციალური მიწვევა. სერბმა ყველა კომპონენტში დაჯაბნა რუსი **ალისა კლეიბანოვა** და საათსა და 14 წუთში (6:3, 6:2) დაამარცხა




მეტოქე. ანა გაცილებით უკეთ მოქმედებდა პირველ მოწოდებასა და მიღებაზე, თუმცა ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის პროცენტი ჰქონდა დაბალი - 13-დან 4.

გრძელდება მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგნის - რუსი დინარა საფინას კრიზისი. მისი მატჩი 39 წლის იაპონელ **კიმიკო დატესთან** ძალიან დაძაბული გამოვიდა. ჯერჯერობით მთლიანად ტურნირზე მხოლოდ ორჯერ გათამაშდა ტაი-ბრეიკი და ერთი სწორედ ამ შეხვედრაში დაინიშნა. სწორედ ტაი-ბრეიკიდან დაიწყო საფინას წარუმატებლობები - პირველი სეტის მოგების შემდეგ რუსმა მეორე პარტიის მე-13 გეიმი „მშრალი“ ანგარიშით წააგო და მესამე სეტში უკვე წინააღმდეგობა ვერ გაუწია ვეტერანს - 6:4, 6:7(0), 2:6. სხვათა შორის, დინარამ ამ სეზონში მეორედ წააგო იაპონელთან - პირველად ეს როლან გაროსის პირველ წრეში მოხდა და ახლაც იგივე განმეორდა. საფინა კვლავაც ძველი ძიებაშია, ამასთან, წაგებათა სერია, რომელიც აპრილში შტუტგარტის ტურნირის მეოთხედფინალიდან დაიწყო, უკვე ექვს მატჩამდე ავიდა.

სახიფათო მეტოქე ჰყავდა პირველ წრეში მარია შარაპოვას. საფინას მსგავსად, ამ რუს ჩოგბურთელსაც ჩინელი **ჟიე ჟენგის** წინააღმდეგ რევანშზე უნდა ეზრუნა. აზიელი წელს საუკეთესო სეზონს ატარებს - ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალს მიაღწია, ვარშავაში ფინალში ითამაშა, შარაპოვას კი ინდიან უელსში მოუგო სამ სეტში. მარიამ შეძლო რევანშის აღება, თანაც ეს ორ პარტიაში გააკეთა. პირველ სეტში იყო მომენტი, როცა რუსმა ზედიზედ რვა გათამაშება მოიგო და ამის წყალობით პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4. ჩინელი არ ნებდებოდა და თავის მხრივ ბრეიკებს ისიც იღებდა, მაგრამ მეორე პარტიაში 5:5-ზე შარაპოვამ ისევ მოიგო მეტოქის მოწოდება და შემდეგ მატჩზე დამაჯერებლად მოაწოდა - 7:5.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**I წრე**

**იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7)**-ჩან იუნ-იანი (ტაივ) 6:3, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 4)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:1, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:0, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 6)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 0:6, 6:4, 6:3; **მარია კირილენკო (რუს)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:1, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 7:5, 4:6, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:4, 7:5; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:1; **კიმიკო დატე (იაპ)**-დინარა საფინა (რუს) 4:6, 7:6 (7:0), 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**